

178
1964/2.




სახჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1964

3



საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1964 წელი

ბამოცემის XI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან პრესაბუღი იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი	3
მ. ლომიძე — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ	5
ვ. აბაშაძე — „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ და თანამედროვე კაპიტალიზმი	16
გ. ჟვანია — კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები	25
ა. გობრონიძე — სიახლენი საბჭოების მუშაობაში	37
გ. მოხესიანი — საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ცნების შესახებ	44
ა. გეგია — ზოგიერთი კატეგორიის საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებიდან	50
შ. შველიძე — რევოლუციის სათავეებთან	56

ნ ა რ ა ვ ე ნ ი

ნ. დავითაშვილი — მკვლელობა ბამბუკის ტყეში	62
---	----

კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ა. ხოჭოლავა — იურიდიული ლიტერატურის სერიოზული შენაძენი	75
ს. სტროგოვიჩი — დამნაშავეს ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში	83
ს. ლესელი — წიგნი კამათის თეორიის შესახებ	86
ინფორმაცია	89

1961



СОДЕРЖАНИЕ

Республиканское совещание работников административных органов	3
М. Ломидзе — О проекте гражданского кодекса Грузинской ССР	5
В. Абашмадзе — «Государство всеобщего благосостояния» и современный капитализм	
Г. Жвания — Международно правовые принципы исследования и использования космического пространства	25
А. Гобронидзе — Новое в работе Советов	37
Г. Мосесян — О понятии источников доказательств в советском уголовном процессе	44
А. Гегиа — Из опыта борьбы против некоторых категорий опасных преступлений	50
З. Швелидзе — У истоков революции (Молодежь Закавказья в судебных процессах в России в 60—70 годах)	56

ОЧЕРК

Н. Давиташвили — Убийство в бамбуковой роще	62
---	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. Хочолава — Серьезное достояние юридической литературы	75
С. Строгович — Монография о мотивах совершения преступления	83
С. Лесели — Книга о теории прений	86
Информация	89

სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
- პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
- მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
- ს. ჯორბენაძე.

შეგვ. № 1893
ტირაჟი 5.100
შე 11306

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბუგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 10/VII-64 წ.; ხელმოწერილია დასაბუქდად 20/VIII-64 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина 14.



ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ჩესპუბლიკური თათბირი

მიმდინარე წლის 14 მაისს ქ. თბილისში გაიმართა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, პროკურატურის, სასამართლოს ორგანოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მუჟაჟანაძე, პ. ა. როდიონოვი, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ა. ნ. ინაური, რ. ი. ფრუიძე, თ. ე. ჩერქეზია, შ. ა. დოლიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. მირთნოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. როდიონოვმა.

მოხსენება — სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება საქართველოს სს რესპუბლიკაში — გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოები, — ამბობს ამხ. პ. ბერძენიშვილი, — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დახმარებით დიდ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, ახორციელებენ საქმიან კონტაქტს თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ერთობლივად ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს დანაშაულის გახსნისა და გამოძიების მიზნით, სწავლობენ სასამართლო-პროკურატურის პრაქტიკას ცალკეული კატეგორიის საქმეებზე.

შესამჩნევად გაიზარდა პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების კონტაქტი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტთან, საზოგადოებრიობასთან. ყოველივე ამას დადებითი შედეგები მოაქვს: მნიშვნელოვნად შემცირდა ხულიგნობის, ქურდობის, განზრახ მკვლელობის, სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანების საქმეთა რიცხვი. გამოვლინებულია ყველა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში დანაშაული, მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. დანაშაულობასთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კიდევ გვხვდება პასიურობის ფაქტები. ჩვენი რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში არის წუნი და დარღვევები, რომლებიც ხელს უშლის დანაშაულობასთან ბრძოლის სწორ ორგანიზაციას.

არასაკმარისად ტარდება ოპერატიული ღონისძიებები ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ, კარგად არ არის გამოყენებული ამ საქმეში საზოგადოებრიობა. საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლა დაუნდობელი უნდა იყოს. ამ ამოცანის შესრულება ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ მხოლოდ პარტიულ და საბჭოთა აქტივზე, ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით.

მომხსენებელმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მთელ რიგ პროკურატურებში გამომძიებლები და მათი ზედამხედველი პროკურორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, გაუმართლებლად აჭიანურებენ საქმის გამოძიებას,



ზერელედ და უხარისხოდ იძიებენ საქმეებს, არადროულად აყენებენ რესპუბლიკის პროკურატურის წინაშე გამოძიების ვადის გაგრძელებისა და აღმკვეთი ღონისძიების საკითხს.

მომხსენებელმა საქმიანი შენიშვნები გამოთქვა სასამართლოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მიმართ.

ამხ. პ. ბერძენიშვილი შეჩერდა შრომა-გასწორებით დაწესებულებათა საქმიანობაზე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პატიმართა შრომითი და პოლიტიკური აღზრდის ფორმებსა და მეთოდებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში წარმოადგენს სასჯელმოსხმის პირთა სამსახურში დროული მოწყობა. აუცილებელია მათთვის დახმარების გაწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის.

დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში, — ამბობს მომხსენებელი, — დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის პროპაგანდას. საბჭოთა კანონებისა და მათი პრაქტიკულად განხორციელების ცოდნა ხშირ შემთხვევაში დანაშაულის თავიდან აცილების საწინდარია, იცავს მერყევ ადამიანებს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენისაგან.

შემდეგ ამხ. ბერძენიშვილმა ილაპარაკა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-შემოწმების საკითხებზე. ჩვენ ვალდებულნი ვართ მაქსიმალური გულმოდგინებით განვიხილოთ თითოეული საჩივარი, შევამოწმოთ კანონიერების დარღვევის ფაქტები და თავიდან ავიცილოთ კანონსაწინააღმდეგო ქმედობანი. ზოგჯერ საჩივრებს ჩვენი ორგანოს მუშაკები ფორმალურად, ბიუროკრატიულად ეკიდებიან, არ იხილავენ დეტალურად და კმაყოფილდებიან მხოლოდ მიმოწერებით. საჭიროა კიდევ უფრო მეტად გავამახვილოთ ყურადღება მშრომელთა საჩივრების განხილვისადმი, დროულად და საქმიანად მოვახდინოთ მათი რეაგირება. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს.

მოსხენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი თ. ქავთარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. უკლება, აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი პ. არშბა და სხვ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ნ. რ. მირიანოვმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მუჟანაძემ. თავიანთ გამოსვლებში მათ გამოთქვეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების საქმიანობაზე, ყურადღება გაამახვილეს ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფის საკითხებზე, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მხრივ კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში მთელი საზოგადოების ჩაბმის შესახებ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ

8. ლომიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად აშენდა ახალი, სოციალისტური საზოგადოება და გაშლილი ფრონტით ხორციელდება ყველაზე უფრო სრულყოფილი და ბედნიერი საზოგადოების, კომუნიზმის მშენებლობა.

პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები საერთოდ და კერძოდ კანონმდებლობის სფეროში. ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც მიმდინარეობს ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა. უკვე მიღებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები. ქვეყნის ეკონომიკაში მიღწეულმა გრანდიოზულმა წარმატებებმა მოითხოვეს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოების კანონმდებლობაშიც.

ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი მიღებულია 1923 წელს ე. ი. 40 წელზე მეტი ხნის წინათ. თავისთავად ცხადია, რომ ამ კოდექსის ბევრი ნორმა მოძველდა. კოდექსი ვერ ასახავდა იმ ცვლილებებს, რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის შედეგად. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მიმართაც.

იმ მიზნით, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები შევსებულიყო ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებათა მეცნიერ მუშაკების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების, არბიტრაჟის, ადვოკატურის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ მოამზადა სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი, აგრეთვე 1961 წლის 8 დეკემბერს მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტების პირველი ვარიანტი გასაცნობად დაეგზავნა სამინისტროებს, უწყებებს, სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვ.

1963 წლის თებერვალში ამ პროექტების განსახილველად ქ. თბილისში მოწვეულ იქნა თათბირი, რომლის მუშაობაში გარდა ჩვენი რესპუბლიკის იურისტებისა და სხვა მუშაკებისა, მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის პროკურატურის, სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, ქ. მოსკოვის იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აზერბაიჯანისა და სომხეთის იურიდიული კომისიების წარმომადგენლებმა.

თათბირის მონაწილეებმა პროექტის ირგვლივ გამოთქვეს მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებები. ბევრი არსებითი ხასიათის შენიშვნა და წინადადება მიღებულ იქნა, როგორც საკავშირო, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან.

ყველა შენიშვნა და წინადადება გულდასმით იქნა განხილული და კოდექსებში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებანი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში მთლიანად გადმოტანილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების ნორმები. ამასთან ერთად პროექტში მოცემულია ნორმები ყველა იმ საკითხსა და ურთიერთობაზე, რომელთა გადაწყვეტა და მოწესრიგება კანონით მინდობილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკებს.

მასში შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები, რომელთა უმრავლესობა სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის განზოგადების შედეგია. პროექტში დატოვებულია აგრეთვე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ყველა ნორმა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და მნიშვნელობა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის სტრუქტურა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად რვა კარისაგან შედგება — სახელდობრ: 1) ზოგადი დებულებები; 2) საკუთრების უფლება; 3) ვალდებულებითი სამართალი; 4) საავტორო სამართალი; 5) აღმოჩენის უფლება; 6) გამომგონებლობის სამართალი; 7) მემკვიდრეობის სამართალი და 8) უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უფლება-უნარიანობა, უცხო სახელმწიფოთა სამოქალაქო კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება.

პროექტი შეიცავს 578 მუხლს (ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი შედგება 426 მუხლისაგან).

პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია კოდექსის ამოცანები. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობასაც.

პროექტის მეორე მუხლით დადგენილია, რომ სამოქალაქო სამართლის

კოდექსი აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, მოქალაქეებისას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებისას ურთიერთ შორის. ამასთან ხაზგასმულია, რომ იმ ურთიერთობის მონაწილენი, რომელსაც სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება იყვნენ სხვა ორგანიზაციებიც. ამავე მუხლით დადგენილია, რომ ქონებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი მხარის ადმინისტრაციული დაქვემდებარება მეორე მხარისადმი, აგრეთვე საგადასახადო და საბიუჯეტო ურთიერთობის მიმართ, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამოიყენება.

კოდექსში მითითებულია, რომ საოჯახო, შრომის, მიწის უფლებრივი და წყლით სარგებლობის ურთიერთობანი, აგრეთვე ურთიერთობანი, რომლებიც რეგულირდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, მოწესრიგდება შესაბამისად საოჯახო, შრომის, მიწის, წყლისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობით.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამოქალაქო უფლებების განხორციელებას და დაცვას.

სამოქალაქო უფლებების დაცვა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით სასამართლოს, არბიტრაჟისა და სამედიატორო სასამართლოს მიერ, რიგ შემთხვევებში აგრეთვე ამხანაგური სასამართლოს მიერ.

პროექტის მე-5 მუხლში, საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო უფლებანი დაცულია კანონით, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლებები გამოიყენება კომუნისტური მშენებლობის პერიოდში სოციალისტურ საზოგადოებაში ამ უფლებათა დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

უფლებათა განხორციელებისა და მოვალეობათა შესრულების დროს, როგორც მოქალაქენი, ისე ორგანიზაციები მოვალენი არიან მტკიცედ დაიცვან კანონები, პატივი სცენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და კომუნისტური მშენებელი საზოგადოების მორალურ პრინციპებს.

ამრიგად, კანონი, ვ. ი. ლენინის მითითებიდან გამომდინარე, იცავს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მხოლოდ ისეთ უფლებებს, რომლებიც სოციალისტური ინტერესების წინააღმდეგ არ არიან მიმართულნი. ისეთ შემთხვევაში კი როდესაც უფლების გამოყენება მათი დანიშნულების საწინააღმდეგოდ ხდება, კანონი აღარ იცავს ამ უფლებებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე პროექტის 108-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ მოქალაქის პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი ან აგარაკი (ან მათი ნაწილი) მესაკუთრის მიერ სისტემატურად გამოყენებულია არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, იგი ექვემდებარება სასამართლოს წესით უსასყიდლოდ ჩამორთმევას. კანონი არ იცავს აგრეთვე მოქალაქის უფლებას ავტომატურად თუ იგი მესაკუთრის მიერ გამოყენებულია არაშრომითი შემოსავლის მისაღებად. კანონით არაა დაცული აგრეთვე არაშრომითი შემოსავლით შეძენილი სახლები, აგარაკები და სხვა შენობები.

სამოქალაქო კანონმდებლობაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს



პროექტის მე-7-ე მუხლით დადგენილი წესები მოქალაქეთა და ორგანიზაციით პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ. ამ მუხლით გათვალისწინებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისა და ღირსების დაცვის სამოქალაქო-უფლებრივი საშუალებანი. მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს წესით მისი პატივისა და ღირსების სახელგამტეხი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი შესაბამებიან სინამდვილეს. ამასთან თუ სახელგამტეხი, ცრუ ცნობები გავრცელებულია პრესის საშუალებით, ისინი უარყოფილ უნდა იქნან ამავე საშუალებით; სხვა შემთხვევაში უარყოფის წესს დაადგენს სასამართლო. ამრიგად, მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დაცვა, სისხლისსამართლებრივი წესით დაცვის პარალელურად, უზრუნველყოფილია სამოქალაქო კანონმდებლობითაც, რასაც უდაოდ დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, პროექტში გათვალისწინებულია ნორმები იურიდიული პირის ფილიალებისა და წარმომადგენლობის შესახებ (მუხლი 30-ე), დეტალურად რეგულირებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა (მუხლი 31) და განსაზღვრულია პასუხისმგებლობის ფარგლები სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი საწარმოების, აგრეთვე კოოპერაციული გაერთიანებების და მათ შემადგენლობაში შემავალი ორგანიზაციების, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მათი წევრებისა (მუხ. 32 — 35).

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად პროექტში გათვალისწინებულია, რომ კანონით დაწესებული გარიგების ფორმების დაუცველობა გამოიწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შედეგი პირდაპირაა მითითებული კანონში (მუხ. 45).

საერთო წესის თანახმად მოქალაქეთა შორის გარიგება თანხით ას მანეთზე ზევით წერილობით უნდა დაიდოს (მუხ. 44-ე ნაწ. II). კანონის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს გარიგების ბათილად აღიარებას. ამასთან მარტივი წერილობითი ფორმების დაუცველობა ართმევს მხარეებს უფლებას გარიგების დასადასტურებლად დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებებს (მუხ. 46).

გარიგების დამოწმება სანოტარო წესით სავალდებულოა მხოლოდ კანონით მითითებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევებში კანონით დაწესებული ფორმის დაუცველობა გამოიწვევს გარიგების ბათილობას. თუ ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა გარიგება, რომელიც სანოტარო წესით დადასტურებას მოითხოვს, ხოლო მეორე მხარე კი თავს არიდებს გარიგების გაფორმებას სანოტარო წესით, სასამართლოს შეუძლია, გარიგების შემსრულებელი მხარის მოთხოვნით, სცნოს გარიგება დადებულიად, უკეთეს ეს გარიგება კანონსაწინააღმდეგო არ არის. ასეთ შემთხვევაში გარიგების შემდგომი სანოტარო გაფორმება საჭირო არ არის (მუხ. 47-ე). გარდა ამისა პროექტში დაწვრილებით არის დამუშავებული გარიგების ბათილობის ყველა შემთხვევა და მისი შედეგები.

პროექტის პირველ კარში ორი ახალი თავია: მეოთხე — „წარმომადგენლობა და მინდობილობა“ და მეხუთე — „ვადების გამოთვლა“.

თავში — „წარმომადგენლობა და მინდობილობა“ — სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტი ასახავს „საფუძვლების“ ნორმებს და ავსებს მას ისეთი ნორმებით, რომლებიც საფუძვლებით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არც ეწინააღმდეგებიან მას. კერძოდ ნორმა, რომელიც ეხება წარმომადგენლობას მინდობილობის გარეშე, სადაც მითითებულია, იმ ვარემობაზე, რომ უფლება — მოსილება შეიძლება აგრეთვე ცხადი იყოს გარემოს გამო, რომელშიც წარმომადგენელი მოქმედებს (საცალო ვაჭრობის გამყიდველი, მოლარე და სხვ.) (მუხ. 61).

სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის მე-6 თავის ნორმებს სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ.

პროექტის 76-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის შემცირებული ვადები, როგორც მოთხოვნების ცალკეულ სახეობისათვის, რომელნიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის გამგებლობის მოსაწესრიგებელ ურთიერთობებიდან, ისე სხვა მოთხოვნებისათვის, რომელთა მოწესრიგება ხდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სარჩელის ხანდაზმულობის ყველა შემცირებული ვადების ერთ მუხლში ჩამოთვლა დიდ დახმარებას გაუწევს სასამართლოსა და არბიტრაჟს, მით უმეტეს, რომ „საფუძვლებში“ ასეთი ჩამოთვლა მოცემული არ არის.

პროექტის მეორე კარი მიძღვნილია საკუთრების უფლებისადმი. 89-ე მუხლში შენარჩუნებულია აშუამდ მოქმედი კოდექსის ნორმა იმის შესახებ, რომ კანონით დადგენილ ფარგლებში მესაკუთრეს აქვს ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

პროექტის 90-ე მუხლში მოცემულია სოციალისტური საკუთრების არსის მკაფიო განმარტება.

ამ კარში ჩამოთვლილია სახელმწიფო საკუთრების, კოლმეურნეობათა საკუთრების, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა და მათ გაერთიანებათა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრების ობიექტები და მათი გამგებლობისა და მათზე გადახდევინების მიქცევის წესები. (მუხ. მუხ. 93-ე, 96-ე, 98-ე, 99-ე, 101-ე და 102-ე.).

თავში „პირადი საკუთრების“ შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ მოქალაქეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ქონება. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოქალაქეთა პირადი საკუთრება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაშრომითი შემოსავლის წყაროდ.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლის შესაბამისად პროექტის 103-ე მუხლი ადგენს, რომ თვითეულ მოქალაქეს შეუძლია პირად საკუთრებაში ქონდეს შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი) და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საოჯახო მეურნეობისა და ყოფაცხოვრების პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნები, აგრეთვე შინაური პირუტყვი და ფუტკარი, რომელთა ზღვრულ ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს კანონის



თანახმად შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან ერთი სახლის ნაწილი). პროექტის 104-ე მუხლი ავსებს „საფუძვლებს“ და აწესებს, რომ ზღვრული ზომა საცხოვრებელი სახლისა (ან ნაწილისა), რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში არ უნდა აღემატებოდეს—საცხოვრებელი ფართობის 60 კვ. მეტრს და დამხმარე სათავსოების 40 კვ. მეტრს.

ამ საერთო წესიდან პროექტის მუხლი უშვებს გამონაკლისს იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც დიდი ოჯახი ჰყავთ ან უფლება აქვთ დამატებით საცხოვრებელ ფართობზე. ასეთ შემთხვევებში მოქალაქის შუამდგომლობით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულ საბჭოს აღმასკომს შეუძლია ნება დართოს მოქალაქეს სახლის ან სახლის ნაწილის აშენების ან შექმნის, ან დაუტოვოს საკუთრებაში სახლი, რომლის საცხოვრებელი ფართობი აღემატება ამ მუხლით დადგენილ ზღვრულ ზომებს, მაგრამ არ აღემატება ამ ოჯახისათვის განსაზღვრულ ზომას იმ ნორმებით, რომლებიც დადგენილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთათვის, სათანადო შემთხვევებში დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ჩათვლით.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები მოქალაქეთა პირადი საკუთრების შესახებ იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეთა პირადი საკუთრება მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური საკუთრების ფორმებთან და რომ პირადი საკუთრება მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომ მოქალაქეთა ეს მოთხოვნილებანი უმთავრესად კმაყოფილება საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე და კომუნისმისაკენ წინსვლის კვალობაზე სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით.

კანონის ეს დებულებანი გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან XXII ყრილობაზე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „წარმოდგენა სიუხვეზე, როგორც პირადი საკუთრების უსაზღვრო ზრდაზე, ჩვენი წარმოდგენა როდია, იგი უცხოა კომუნისმისათვის, რადგან გაბერილი პირადი საკუთრება გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაიქცეს და ხშირად იქცევა საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭად, კერძომესაკუთრული ზნე-ჩვეულებების ბუდედ. მას შეიძლება მოჰყვეს წვრილბურჯუაზიული გადაგვარება“ და, როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა ამ ყრილობაზე. „ხდება, რომ ნივთები იმონებენ ზოგიერთ ადამიანს და იგი ხდება ნივთების მონა“.

პროექტის 105-ე მუხლში მოცემულია ნორმა ერთზე მეტ სახლზე პირადი საკუთრების შეწყვეტის შესახებ. ამასთან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტში მითითებულია, რომ „ეს მუხლი არ ვრცელდება პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ მეორე შენობაზე, რომელიც გამოიყენება მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დასვენების ან მკურნალობის მიზნით საკურორტო, სააგარაკო ან სასოფლო ადგილას“. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლს იმდენად, რამდენადაც საფუძვლების ამ მუხლში არ არის ამომწურავი ჩამოთვლა იმ ქონებისა, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში. ამასთან პროექტის ეს ნორმა სწორად ასახავს ჩვენი რეს-

პუბლიკის (და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის) თავისებურებებს. ამ დასკვნამდე მიყვავართ თუნდაც იმ გარემოებას, რომ პოექტის 107-ე, 108-ე და 109-ე მუხლები უშვებენ მოქალაქის პირად საკუთრებაში აგარაკის არსებობას, თუ იგი თვითნებურად არ არის აშენებული, გამოყენებული არ არის არაშრომითი შემოსავლის წყაროდ, ან თუ იგი აშენებული ან შექმნილი არ არის არაშრომითი შემოსავლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განკარგულებაში არსებული მასალებით ამ პოზიციაზე დგანან საბჭოთა ცივილისტები: პროფესორები ს. ნ. ბრატუსი, დ. მ. ვენკინი, ლ. ა. ლუნცი, რ. ო. ხალფინა, ე. ა. ფლეიშიცი და სხვ.

პროექტის 107-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მოქალაქეს, რომელმაც დაწესებული ნებართვის ან სათანადო წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით, ააშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) უფლება ერთმევა ამ სახლის (აგარაკის) განკარგვის, გაყიდვის, გაქირავებისა და სხვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთი სახლი (აგარაკი) შეიძლება უსასყიდლოდ იქნეს ჩამორთმეული და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს ფონდში ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებლები კომიტეტის გადაწყვეტილებით, — დანგრეული იქნეს თვითნებური მშენებლობის განმხორციელებელ მოქალაქის მიერ, ანდა მის ხარჯზე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლთან ერთად სამოქალაქო სამართლის კოდექსში ამ ნორმის შეტანას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ თუ რაიმე საფუძვლითა და მოსაზრებით სისხლის სამართლის საქმე არ იქნება აღძრული ან შეწყვეტილი იქნება, კანონის დამრღვევის მიმართ გამოყენებული იქნება სამოქალაქო სამართლის კოდექსის ეს ნორმა, რაც ეჭვს გარეშეა, უზრუნველყოფს ასეთ დარღვევებთან ეფექტურ ბრძოლას.

პირველად ჩვენს სამოქალაქო კანონმდებლობაში, კოდექსის პროექტში შეტანილია ნორმები საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრებისა და საკოლმეურნეო კომლის წევრის პირადი საკუთრების შესახებ.

საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის, საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფისა და მისი გაყოფის საკითხები პროექტის მიხედვით ხორციელდება საკოლმეურნეო კომლის წევრთა საერთო თანხმობით. უთანხმოების შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს წესით. საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი ან რამდენიმე სრულწლოვანი წევრის სარჩელით (მუხლ. მუხლ. 110, 123—130).

პროექტში განვითარებულია „საფუძვლების“ პრინციპული დებულება იმის შესახებ, რომ იმ პირს, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვსად შეასრულა იგი, ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ბრალის არსებობის დროს (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით, ამასთან ბრალის არარსებობას დამტკიცებს ის პირი, რომელმაც დაარღვია ვალდებულება. ამრიგად, კანონით ვალდებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ერთადერთ პირობას წარმოადგენს ბრალის არსებობა გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც კანონით ან ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული (მუხლი 457).

პროექტის ოცდამეხუთე თავი გაჩუქების საკითხებს აწესრიგებს. ამ თავ-



ში მოთავსებული ნორმების შესაბამისად გაჩუქების ხელშეკრულება დადგენილად ჩაითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. გამარტივებულია გაჩუქების ხელშეკრულების ფორმა. ვარიანტების ნოტარიალური ფორმა აუცილებელია მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ჩუქების შემთხვევაში და ხუთას მანეთზე მეტი თანხით ხელშეკრულების დადების დროს (მუხ. 269-ე, 270-ე).

ოცდამეექვსე თავი მთლიანად მიძღვნილია ქონების ქირავნობის საკითხებისადმი. საჭიროა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ქირავნობის 12 წლის ზღვრული ვადის ნაცვლად ახალი კოდექსი აწესებს 10 წლიან ვადას, ხოლო ნაგებობის გაქირავებისათვის ხუთ წელს.

პროექტის ოცდამეშვიდე თავში მოცემულია დეტალურად დამუშავებული ნორმები საცხოვრებელი ბინების გაქირავების შესახებ. ამ თავში თავმოყრილი და კოდიფიცირებულია თითქმის ყველა ამჟამად მოქმედი, როგორც საკავშირო, ისე საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები. გათვალისწინებულია მოქალაქეთათვის ბინების მიქირავების წესები, დამქირავებელთა და მათი ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობანი, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები და სხვ.

კოდექსით პირველად წესდება საბინაო ფართობის ნორმა ერთ სულზე 12 კვ. მეტრის რაოდენობით. სახლეს წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ გამქირავებლის უარი ბინის გაცვლაზე, დამქირავებელს შეუძლია გაასაჩივროს სასამართლო წესით მხოლოდ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ: იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხდება ბინის გაცვლა იმ სახლში, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეებს ეკუთვნით, უარი გაცვლაზე არ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (მუხლ. 319-ე).

სრულიად ახლებურად არის გადაწყვეტილი მრჩალეთა ანაბრების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით კოდექსის პროექტის 390-ე მუხლით სახელმწიფო შრომით შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში შეტანილი ანაბარი აღიარებულია მეუღლეთა (თანაზიარ) საკუთრებად და მეუღლეთა შორის მისი გაყოფა უნდა მოხდეს იმ წესით, როგორც ეს დადგენილია მეუღლეთა საერთო საკუთრების ქონების მიმართ.

პრინციპული ხასიათის ცვლილებებია შეტანილი ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების რეგულირებაში.

პიროვნებისათვის ან ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანი მთლიანად უნდა იქნეს ანაზღაურებული იმ პირის მიერ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ზიანის მიყენებაში, ამასთანავე დადგენილია წესი, რომლის მიხედვით ორგანიზაცია ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი მიყენებული მისი მუშაკის ბრალით სამსახურებრივი (შრომითი) მოვალეობის შესრულების დროს. ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირთა არასწორი სამსახურებრივი მოქმედებით, სათანადო ორგანოებს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

პროექტის მეოთხე კარი მთლიანად დათმობილი აქვს საავტორო სამართალს. მასში კოდიფიცირებულია ამჟამად მოქმედი საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა საავტორო უფლების საკითხებზე, ამასთან ეს ნორმები ახლებურად არის კოდიფიცირებული სასამართლოსა და საუწყებო პრაქტიკის გათვა-

ლისწინებით, ასევე ცალკე კარად არის კოდიფიცირებული აღმოჩენის უფლება და გამომგონებლობის სამართალი (მეხუთე და მეექვსე კარი).

პროექტის 509-ე მუხლის თანახმად საავტორო უფლება ნაწარმოებზე გადადის მემკვიდრეობით, სსრ კავშირის კანონმდებლობითა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილ ფარგლებში და მოქმედებს თხუთმეტი წლის განმავლობაში, ავტორის გარდაცვალების წელიწადის პირველი იანვრიდან. მნიშვნელოვნად დაზუსტებულია ნაწარმოებთა სხვა ენაზე თარგმანსთან დაკავშირებული საკითხები. დადგენილია წესი, რომლის თანახმად მთარგმნელი თუმცა ვალდებული არაა მოითხოვოს ავტორის თანხმობა ნაწარმოების თარგმანზე, მაგრამ ის მოვალეა აცნობოს მას ამის შესახებ. ამასთან პროექტში გათვალისწინებულია საშუალებები ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად (მუხლ. 501, 503, 505). ამრიგად, მართალია ავტორს არა აქვს უფლება აკრძალოს მისი ნაწარმოების თარგმნა, მაგრამ მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ თარგმნის შედეგად არ იქნეს დარღვეული ნაწარმოების მთლიანობა და აზრი. ავტორის ეს უფლება ქმედითი საშუალება იქნება თარგმნის დროს თვითნებური ცვლილებებისა და დამახინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროექტში დეტალურადაა დამუშავებული საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლის წესი და ფარგლები. თუ თვით ავტორს საავტორო უფლება მთელი სიცოცხლის მანძილზე ენარჩუნება (მუხ. 508), მისი მემკვიდრეებისათვის ეს ვადა 15 წლით არის შეზღუდული. ამასთან მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ საავტორო გასამრჯელო არა უმეტეს 50 პროცენტისა, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნოდა (მუხ. 509 და 510).

გათვალისწინებულია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საავტორო უფლების გამოსყიდვის შესაძლებლობა (მუხლი 513-ე).

პროექტის მეშვიდე კარი მიძღვნილია სამემკვიდრეო სამართლისადმი. ამ კარში ასახულია საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების სათანადო ნორმები. ამავე დროს დადგენილია სამემკვიდრეო სამართლის სხვა ნორმებიც მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ნორმებში, რომლებიც აწესრიგებენ მემკვიდრეობის საკითხებს, არსებითი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი: ამ მხრივ საყურადღებოა ნორმა, რომლის ძალით კანონით მემკვიდრეთა პირველი რიგის მემკვიდრეების რიცხვს მიეკუთვნებიან არა მარტო გარდაცვალებულის შვილები ან მეუღლე, არამედ მშობლებიც, მიუხედავად მათი შრომისუნარიანობისა (მუხ. 544). სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამდე მოქმედი კანონის თანახმად მშობლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდნენ პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ მათ დაკარგული ქონდათ შრომის უნარი.

მეორე რიგის მემკვიდრეთა წრის განსაზღვრის უფლება მინიჭებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას. ამ უფლების თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის პროექტით დადგენილია მემკვიდრეების მეორე რიგი, რომელშიც შედიან გარდაცვალებულის ძმები და დები, აგრეთვე ბებია და ბაბუა, როგორც მამის ისე დედის მხრიდან.

მეორე რიგის მემკვიდრეები სამემკვიდრეოდ გამოიწვევიან მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეების არ არსებობის შემთხვევაში ან თუ მათ უარი განაცხადეს მემკვიდრეობაზე, ან თუ პირველი რიგის ყველა მემკვიდრეს ჩაპოვრთვა მემკვიდრეობის უფლება.

კანონით მემკვიდრეთა რიცხვს მიეკუთვნებიან შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვლილის რჩენაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ ერთი წლისამის გარდაცვალებამდე.

პროექტის 544-ე მუხლის თანახმად შვილად აყვანილები და შვილად ამყვანები გათანაბრებულნი არიან სამემკვიდრეო უფლებებში შვილებთან და მშობლებთან. სიახლეს წარმოადგენს პროექტის 545-ე მუხლის ნორმები, რომელთა თანახმად ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და ყოფა-ცხოვრების საგნები ღადადის კანონით მემკვიდრეებზე, რომელნიც ერთად ცხოვრობდნენ სამკვიდროს დამტოვებელთან, მიუხედავად მათი რიგისა და მემკვიდრეობის წილისა, თუ ამასთან ისინი სამკვიდროს დამტოვებელთან ერთად ცხოვრობდნენ არა ნაკლებ ერთი წლისა და ამასთან ეწეოდნენ საერთო მეურნეობას ან იმყოფებოდნენ მის რჩენაზე.

გაფართოებულია მოქალაქეთა უფლებები ქონების ანდერძით დატოვების საკითხში (მუხ. 546).

პროექტის 547 მუხლით გათვალისწინებულია მეტად მნიშვნელოვანი ნორმა — უფლება სამემკვიდრეო ქონების სავალდებულო წილზე, რომლის თანახმად სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), აგრეთვე გარდაცვლილის შრომისუუნარო მეუღლე, მშობლები (შვილად ამყვანები) და კმაყოფაზე მყოფნი მემკვიდრეობას ღებულობენ მიუხედავად ანდერძის შინაარსისა, სულ ცოტა ორ მესამედს იმ წილისას, რომელიც ეკუთვნოდა თვითვე მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს. სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება აგრეთვე სამემკვიდრეო ქონების ღირებულება, რომელიც შედგება ჩვეულებრივი საოჯახო-საყოფაცხოვრებო საგნებისაგან.

საკოლმეურნეო კომლის წევრებიდან ერთის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაზე მემკვიდრეობა არ გაიხსნება.

საკოლმეურნეო კომლის წევრების პირადი ქონება, კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალების შემდეგ, გადადის მათ მემკვიდრეებზე საერთო საფუძვლით (მუხ. 569).

პროექტის უკანასკნელ, მერვე კარში მოცემულია ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება-უნარიანობას უცხო სახელმწიფოთა სამოქალაქო კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენებას.

* * *

ერთ საუბრალო სტატიაში შეუძლებელია სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის ვრცელი ანალიზი. ცხადზე უცხადესია, რომ პროექტი გარდა ამ სტატიაში გაშუქებული დებულებებისა შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან ნორმას. მოცემული სტატიის მიზანია, გაამახვილოს მკითხველთა ყურადღება სამო-

ქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და მთლიანად პროექტზე, რომელიც უკვე წარდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ ამ პროექტის დამტკიცებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დროა. სასურველია, რომ პროექტს გულდასმით გაეცნონ სამინისტროები და უწყებები, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოები და სხვა იურიდიული დაწესებულებები, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მეცნიერ მუშაკები, რომელთაც სამოქალაქო სამართლის პროექტის საბოლოო ვარიანტი დაეგზავნათ, და თავისი შენიშვნები და წინადადებანი პროექტის მიმართ წარადგინონ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ და საკანონმდებლო ორგანოებში.

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ და თანაბრებელი კავშირები

3. აბაშაში,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სსრ კავშირში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების შედეგად კაცობრიობის ისტორიაში პირველად სოციალისტური სახელმწიფო გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ „სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ“.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს და თავის მრავალგვარ საქმიანობას წარმართავს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისაკენ.

ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე მოიცავს კაპიტალისტთა ინტერესებს და წარმოადგენს მშრომელთა ფართომასების ჩაგვრის იარაღს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც უაღრესად გამწვავდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობები, ბურჟუაზიული სახელმწიფო უკიდურესად რეაქციული ძალა ხდება. ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში მომხდარ ცვლილებებს, წერდა: „ახალი ეკონომიკის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის (იმპერიალიზმი—მონოპოლისტური კაპიტალიზმი) პოლიტიკურ ზედნაშენს წარმოადგენს მობრუნება დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ. თავისუფალ კონკურენციას დემოკრატია შეესაბამება. მონოპოლიის პოლიტიკური რეაქცია შეესაბამება“.¹

მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ერთი მუჭა მსხვილი მონოპოლისტების ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის იარაღია და პოლიტიკურ რეაქციას ემსახურება, ბურჟუაზიული რეფორმისტები და რევინიონისტები ცდილობენ იგი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“ წარმოგვიდგინონ.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევინიონისტული თეორიების მიხედვით ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევამ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის არის დამახასიათებელი, თითქოს მთლიანად შესცვალა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარება და გამოიწვია ახალი ეკონომიური წყობილების შექმნა. ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის შედეგად შექმნილი ახალი ეკონომიური წყობილება თითქოს ძირფესვიანად განსხვავ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 42.

დება ძველი, „კლასიკური პერიოდის“ კაპიტალიზმისაგან და ამდენად აღარ შეიძლება ეწოდოს მას კაპიტალიზმი საერთოდ. რევიზიონისტთა და რეფორმისტთა თვალსაზრისით კაპიტალისტურ ქვეყნებში განხორციელებული ზოგიერთი ღონისძიება (მრეწველობის ცალკეული დარგების ნაციონალიზაცია, სამედიცინო მომსახურების გაფართოება, საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება და სხვ.) ნიშნავს სოციალურ რევოლუციას, რომელმაც ამ ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარა ახალ სოციალურ წესრიგს. ყურადღებას იპყრობს ბურჟუაზიული თეორეტიკოსების განცხადება, თითქმის თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ეს ახალი წესრიგი თავისი ეკონომიური ბუნებით, შორს გასცდა არა მარტო კაპიტალიზმს, არამედ სოციალიზმსაც. მათი აზრით, თანამედროვე აშშ-ის კაპიტალისტურ საზოგადოებაში განხორციელებულია კომუნიზმის პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევიზიონისტული თეორიების მიხედვით, ახალი სოციალური წესრიგის პირობებში კერძო საკუთრება ხალხის ფართი, მასების კუთვნილება გახდა; საწარმოების ხელმძღვანელობა კაპიტალისტებისაგან გადავიდა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ხელში; გაიზარდა მუშათა კლასის წილი ეროვნულ შემოსავალში. მათი აზრით, ახალი სოციალური წესრიგის დამყარებამ განაპირობა კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასების—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა. მათი მტკიცებით ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმი“ განუსაზღვრელ პირობას ქმნის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, კაპიტალისტებსა და მშრომლებს შორის მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობის დამყარებისათვის და შრომის საზოგადოებრივი როლის ამაღლებისათვის. ყველაფერმა ამან, ბურჟუაზიულ-რეფორმისტთა და რევიზიონისტთა აზრით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოსპო ექსპლოატაცია, რომელიც დამახასიათებელი იყო საზოგადოების განვითარების ე. წ. „ნავთის ლამპის პერიოდში“, და იგი შეიცვალა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ახალი, „ადამიანური ურთიერთობებით“.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევიზიონისტების მტკიცებით კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკაში მომხდარმა არსებითმა ცვლილებებმა, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი სოციალური წესრიგის დამყარება, თავისი გამოხატულება ჰპოვა ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკურ ზედნაშენში. ახალი სოციალური წესრიგის დამყარების შედეგად, მოხდა „ხელისუფლების დიფუზია“, ე. ი. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თანაბრად განაწილდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ჯგუფებს შორის. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ამგვარი განაწილების შედეგად, მათი მტკიცებით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში დამყარდა კლასთა შორის პოლიტიკური თანამშრომლობა და თანამედროვე ბურჟუაზიული პარლამენტი ისევე, როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოები, მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავენ. რევიზიონისტების მტკიცებით, ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელისუფლება, წინააღმდეგ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მტკიცებისა, უკვე აღარ წარმოადგენს კომიტეტს, რომელიც ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს, არამედ იგი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ გახდა. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის პრო-

1946



პაგანდისტები ცდილობენ საქმე ისე დახატონ, თითქოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მშრომლებს იცავს მონოპოლიების „უსაფუძვლო მოთხოვნებისაგან“ და ზღუდავს მონოპოლიების ზრდასა და ზეგავლენას. მათი წარმოდგენით, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსათვის“ დამახასიათებელი ე.წ. „მომწესრიგებელი“ და „დაგვემვითი“ ფუნქციები უზრუნველყოფენ ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას მთელი ხალხის ინტერესების შესაბამისად.

კაპიტალიზმის არსებობის პირობებში „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ წარმოშობას ბურჟუაზიული რეფორმისტები და რევოიონისტები ორი გარემოებით ხსნიან: ჯერ ერთი, მათი მტკიცებით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შემოღებული იქნა საყოველთაო-საარჩევნო სისტემა, რაც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მნიშვნელოვან პოლიტიკურ წინამძღვარს წარმოადგენს; შემდეგ, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ წარმოშობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ, რომელიც „ინდუსტრიული საზოგადოების“ ეკონომიურ წინამძღვარს შეადგენს.

ბურჟუაზიულ მეცნიერთა მტკიცებით, კაპიტალისტურ ქვეყნებში საყოველთაო-საარჩევნო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ არის მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფო, „მასობრივი დემოკრატიისა“ და „უმრავლესობის სახელმწიფო“, რომელიც წარმოადგენს არა ერთი კლასის ბატონობის ორგანოს, არამედ „ზეკლასობრივ“ პოლიტიკურ დაწესებულებას და იგი ერთნაირად იცავს მთელი ხალხის ინტერესებს.

სახელმწიფოს შესახებ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევოიონისტული თეორიების სიყალბესა და უსაფუძვლობას ადასტურებს თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა მსხვილ მონოპოლისტებს უკავიათ. იმპერიალიზმის ეპოქაში საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეერთებამ და ფინანსური კაპიტალის შექმნამ გამოიწვია კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, მონოპოლიების არსახული ზრდა. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის ძირითადი დარგები მცირერიცხოვან მსხვილ მონოპოლისტებს ეკუთვნით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდად გაიზარდა კაპიტალის კონცენტრაცია და მონოპოლიების ბატონობა. 1949 წელს აშშ-ის მრეწველობის 452 დარგში დაახლოებით 80 ათასამდე საწარმოო კორპორაცია არსებობდა. მრეწველობის 150 დარგში ეს კომპანიები კონტროლს უწევდნენ წარმოების 75 პროცენტზე მეტს. მრეწველობის 97 დარგში რვა კორპორაცია კონტროლს უწევდა აგრეთვე მთელი წარმოების 75 პროცენტზე მეტს. აშშ-ის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა რამდენიმე უმსხვილესი მონოპოლისტის — მორგანის, როკფელერის, მელონის, დიუპონის, კუნ-ლების, ჩიკაგოს, ბოსტონისა და კლივლენდის ჯგუფებს ეკუთვნით. აშშ-ში არსებული 56 მილარდელი კორპორაციიდან 8 მთლიანად და 9 ნაწილობრივ მორგანს ეკუთვნის; 7 კორპორაცია მთლიანად, ხოლო 5 ნაწილობრივ როკფელერის ჯგუფს; 3 კორპორაცია ცნობილი ომის გამჩაღებლებს — დიუპონების ხელშია; 2 კორპორაცია მთლიანად, ხოლო 2 ნაწილობრივ პენსილვანიელ მაგნატს მელონს ეკუთვნის. ოფიციალური მო-

ნაცემების მიხედვით, „მორგანის იმპერიაში“ შედის 13 გიგანტური სამრეწველო კორპორაცია, 12 საზოგადოებრივი სარგებლობის კომპანია, 37 ელექტროკომპანია, 11 რკინიგზის კომპანია და რამდენიმე მნიშვნელოვანი საბანკო ინსტიტუტი.

ასეთივე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ მსხვილ მონოპოლისტებს სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში მსხვილ მონოპოლისტთა გაბატონებული მდგომარეობა ნათლად მოწმობს, რომ ყალბი და უსაფუძვლო ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევიზიონისტული თეორიები თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოში ე. წ. „სახალხო კაპიტალიზმის“, როგორც ახალი სოციალური წესრიგის არსებობის შესახებ. ფაქტები მოწმობენ, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთელი საკუთრების ბატონ-პატრონი მსხვილი მონოპოლისტები არიან, რომლებსაც საწარმოების ხელმძღვანელობა არც ერთ ქვეყანაში საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციისათვის არ გადაუციათ.

იმპერიალიზმის ეპოქაში ექსპლოატაციის ზრდის შედეგად, მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის არსებული წინააღმდეგობების გამწვავება, უმუშევრობის ზრდა და სიღატაკე ნათლად ხდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტთა და რევიზიონისტთა მტკიცების სიყალბეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „კლასობრივი ზავისა“ და კაპიტალისტთა და მუშათა კლასს შორის ახალი, ე. წ. „ადამიანური ურთიერთობების“ არსებობის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში გაიზარდა საგაფიცვო მოძრაობა. 1958 წლის 9 თვის განმავლობაში ინგლისში გაიფიცა 424 ათასი მუშა; საფრანგეთში 1958 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა 655 გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.027 ათასმა კაცმა; 1957 წელს აშშ-ში მუშების მიერ გამოცხადებული იქნა 3673 გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობდა 1.390 ათასი მშრომელი. 1959 წლის ოქტომბერში კი აშშ-ში ადგილი ჰქონდა გრანდიოზულ გაფიცვას, რომელშიც 1 მილიონზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა.

წინააღმდეგე „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესახებ ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევიზიონისტების შეხედულებებისა, ბურჟუაზიული სახელმწიფო მხოლოდ მსხვილი მონოპოლისტების ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ორგანოს წარმოადგენს და იგი მიზნად ისახავს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის დაცვასა და განმტკიცებას. მსხვილი მონოპოლისტები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ აპარატს იყენებენ კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაფართოების, მოგების მაღალი ნორმების უზრუნველყოფისა და მშრომელთა მზარდი წინააღმდეგობების დათრგუნვისათვის. აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორც არის მრეწველთა ნაციონალური ასოციაცია, სავაჭრო პალატა და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა გაერთიანებები. ამ ორგანიზაციების აქტიური მოქმედების შედეგად აშშ-ში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესების შესაბამისად, რეაქციული შინაარსის მრავალი კანონი იქნა მიღებული. ამ კანონთა შორის აშშ-ის კაპიტალისტები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მუშათა კლასთან ურთიერთობაში ტაფტ-ჰარტლის კანონს, რომელიც მიღებული იქნა 1947 წელს სავაჭრო პალატის მიერ გახადებული ანტიკომუნისტური კამპანიის ვითარებაში. მსხვილი მონოპოლისტების წარმომადგენლები აღნიშნული კანონის პროექტის დასასაბუთებლად

მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ „უფლებათა გათანაბრების“, „პიროვნების თავისუფლების“ დაცვისა და „სამართლიანობისა და თანასწორობის“ აღდგენის შესახებ, რომელსაც თითქოს მიზნად ისახავდა ტაფტ-ჰარტლის კანონი. სინამდვილეში კი აღნიშნული კანონი მიმართულია მუშათა კლასისა და პროფკავშირების წინააღმდეგ. კანონი ბურჟუაზიული სახელმწიფოს კონტროლს უქვემდებარებს პროფკავშირებს, უკრძალავს პროფკავშირულ გაერთიანებებს პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას და განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მუშებსა და მეწარმეებს შორის წარმოშობილი შრომითი კონფლიქტის გადაჭრის საქმეში.

ამრიგად, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევოიონისტების შეხედულებებისა, მუშათა კლასისა და ბურჟუაზიას შორის არავითარ ახალ, „ადამიანურ ურთიერთობებს“ არა აქვს ადგილი. ეს ურთიერთობანი კვლავაც ემყარებიან მსხვილ მონოპოლისტთა კერძო საკუთრებას და მიზნად ისახავენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს იძულების საშუალებით საზოგადოებრივად უთანასწორობისა და მუშათა კლასის ექსპლოატაციის განმტკიცებას.

ბურჟუაზიული სახელმწიფო არა თუ არის სახალხო კეთილდღეობის სახელმწიფო, პირიქით მთელი მისი ყოველდღიური საქმიანობა მიმართულია მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესების დასაცავად, მუშათა კლასის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის რეჟიმის განმტკიცებისაკენ. როგორც ვ. ლანდბერგი აღნიშნავს, მსხვილ მონოპოლისტთა რამდენიმე ოჯახი აშშ-ში წარმოადგენს „თანამედროვე სამრეწველო ოლიგარქიის სასიცოცხლო ცენტრს, რომელიც ბატონობს შეერთებულ შტატებში და თავის საქმიანობას აწარმოებს de jure დემოკრატიული ფორმის ისეთი მთავრობის არსებობისას, რომლის უკან სამოქალაქო ომიდან დაწყებული თანდათანობით შეიქმნა de facto მთავრობა, თავისი ხასიათით აბსოლუტისტური და პლუტოკრატიული“.¹

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევოიონისტების მტკიცება თითქოს „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შექმნის კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მოწესრიგება. ნამდვილად ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა, რომლის ფარგლები მეტისმეტად შეზღუდულია, მუშათა კლასის ექსპლოატაციის განმტკიცებისაკენ არის მიმართული. ბურჟუაზიული სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს მსხვილ მონოპოლისტებს დაიპყრონ საგარეო ბაზრები; დამოკიდებულ და ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებზე შემოქმედების გზით იგი საშუალებას აძლევს მსხვილ მონოპოლისტებს დაეუფლონ ნედლეულის წყაროებს. კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის მოწესრიგება იმასაც გულისხმობს, რომ მსხვილ მონოპოლისტებსა და მათ გაერთიანებებს წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად ბურჟუაზიული სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებიდან ეკონომიურ დახმარებას უწევს. სხვადასხვა ეკონომიური ღონისძიებებით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ცალკეულ მხარეებზე, მაგრამ წარმოების საშუალებებსა და იარაღებზე კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ძალუძს წარმოების ანარქიის აღმოფხვრა, რადგან ეკონომიურ ცხოვრებაში მისი ჩარევა შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ამას ნათლად მოწმობს

¹ Ф. Ландберг, 60 семейств Америки, М., 1948, с. 1.

თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარება. „სახალხო კაპიტალიზმის“ აპოლოგეტების მტკიცებით, ეკონომიურ ცხოვრებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის შედეგად თითქოს მოისპო კრიზისების საფრთხე. ფაქტები მოწმობენ, რომ კრიზისები და უმუშევრობა კაპიტალისტურ სამყაროში ძალშია ე. წ. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ პირობებშიც. მაგალითად, აშშ-მა 12 წლის განმავლობაში სამჯერ განიცადა კრიზისი: 1948-1949 წწ., 1953-1954 წწ. და 1957-1958 წწ. თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა უმუშევრობის ზრდა აშშ-ში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კანადაში, იტალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

საფუძველს მოკლებულია ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევოიონისტების მტკიცება, თითქოს ბურჟუაზიული სახელმწიფო ზღუდავს მონოპოლიების ხელისუფლებას და მათი სიმდიდრის ზრდას ხალხის ინტერესების შესაბამისად. სინამდვილეში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ეკონომიური ღონისძიებანი სასარგებლოა არა მშრომელთა ფართო მასებისათვის, არამედ მხოლოდ მსხვილი მონოპოლისტებისათვის. ამას ნათლად ადასტურებს მრეწველობის ცალკეული საწარმოებისა და დარგების კაპიტალისტური ნაციონალიზაცია, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის გამოხატულებას წარმოადგენს.

ინგლისში ქვანახშირის მრეწველობის „ნაციონალიზაციის“ გატარებისას ლეიბორისტების მიერ წამოყენებული იქნა დემაგოგიური ლოზუნგი ხალხისათვის ქვანახშირის მრეწველობის გადაცემის შესახებ. 1946 წლის 12 ივლისის კანონით მართლაც მოხდა ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაცია. შეიქმნა ამ დარგის ეროვნული სამმართველო, მაგრამ მის პირველ თავმჯდომარედ დაინიშნა ქვანახშირის ერთ-ერთი მსხვილი მრეწველი ლორდი ჰაინდლი. ლეიბორისტულმა მთავრობამ ნაციონალიზებული საწარმოების მესაკუთრეებს კომპენსაციად ობლიგაციების სახით უზარმაზარი თანხა — 2,5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა, რაც ნაციონალიზებული საწარმოების მესაკუთრეებს ყოველწლიურად 81 მილიონ გირვანქა სტერლინგს შემოსავალს აძლევდა. ამგვარ ნაციონალიზაციას, რასაკვირველია, არ შეეძლო ექსპლოატაციის მოსპობა, რამდენადაც ნაციონალიზებული საწარმოების მესაკუთრეთათვის გადახდილი კომპენსაცია უზრუნველყოფდა ყოფილ მესაკუთრეთა მიერ არაშრომითი შემოსავლის მიღებას. ამრიგად, მსხვილი მონოპოლისტების განკარგულებაში დარჩა იგივე კაპიტალი, რაც მათ გააჩნდათ ნაციონალიზაციის ჩატარებამდე, შეიცვალა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ფორმა.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა ააშკარავებს ბურჟუაზიულ-რეფორმისტების მტკიცების სიყალბეს იმის შესახებ, თითქოს ბურჟუაზიული სახელმწიფო თანამედროვე პირობებში აღარ არის მხოლოდ და მხოლოდ „წესრიგის დამცველი“, „ლამის დარაჯი“, თითქოს იგი გეგმის მიხედვით წარმატებით ახორციელებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ხელმძღვანელობას. მაგრამ სინამდვილეში კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველგვარი ეკონომიური გეგმა წარმოების ანარქიისა და კონკურენციის არსებობის პირობებში წინასწარ განწირულია. აშშ-ის სახელმწიფოებრივი აპარატის მიერ შემუშავებული იქნა აშშ-ისა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების 25 წლიანი გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა აშშ-ის

სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიურ ზრდას 4 პროცენტით. მიუხედავად ამისა, 1954 წელს წარმოების მოცულობა 1953 წელთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1958 წლის დასაწყისში კი — 11 პროცენტით. ამასთან, გეგმის შემდგენლები ვარაუდობდნენ, რომ უახლოეს 25 წელიწადში თავიდან იქნებოდა აცილებული ეკონომიური კრიზისები. სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშშ-ის ეკონომიკა ომისშემდგომ პერიოდში მრავალჯერ შეარყია კრიზისმა.

ბურჟუაზიულ-რეფორმისტებისა და რევიზიონისტების მტკიცებით, ახალი, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ წარმოშობის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საყოველთაო საარჩევნო სისტემის შემოღებამ. მათი აზრით, ყველა სოციალური ფენის მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების არჩევნებში, უზრუნველყოფს ისეთი საზოგადოებრივი წესრიგის შექმნას, რომელიც ე. წ. „სახალხო კეთილდღეობის“ საქმეს ემსახურება.

მაგრამ სინამდვილეში ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრება სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს. ჯერ ერთი, საყოველთაო საარჩევნო სისტემა განხორციელდა არა მსხვილი მონოპოლისტების ნებით, არამედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბურჟუაზიის აღარ შეუძლია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მართვა მშრომელთა ფართო მასებისათვის ანგარიშგაუწვევლად. „უარჩევნებოდ ჩვენს დროში შეუძლებელია; უმასებოდ იოლად ვერ წახვალ, ხოლო მასებს წიგნის ბეჭდვისა და პარლამენტარიზმის ეპოქაში ვერ გაიყოლებ, თუ არა გაქვს ფართოდ განშტოებული, სისტემატურად გატარებული, მტკიცედ მოწყობილი სისტემა პირმოთნობისა, სიცრუისა, თაღლითობისა, ახალმოდის და პოპულარული სიტყვებით ჟონგლირობისა, ყოველგვარი რეფორმისა და სიკეთის დაპირებისა მარჯვნივ და მარცხნივ მუშებისათვის, — ოღონდ კი მათ უარი თქვან რევოლუციურ ბრძოლაზე ბურჟუაზიის დასამხობად“.¹ თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის მშრომელთა მოტყუების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ე. წ. ბურჟუაზიულ „საყოველთაო სახალხო არჩევნებს“ თავისი პოლიტიკური ბატონობის უზრუნველყოფის იარაღად აქცევს. იმპერიალისტური სახელმწიფოების საარჩევნო სამართლის დაწვრილებითი ანალიზი ნათელს ხდის საყოველთაო-სახალხო არჩევნების, ამომრჩეველთა თანასწორობისა და სხვ. შესახებ მტკიცების სიყალბეს. მსხვილი მონოპოლისტების ინტერესების შესაბამისად ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაწესებული მრავალი საარჩევნო ცენზი არარაობად აქცევს საარჩევნო სისტემას. იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ფაქტები ცხადყოფენ, რომ ე. წ. ბურჟუაზიული „საყოველთაო-სახალხო არჩევნები“ მხოლოდ მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესებს ემსახურება და მას არ შეუძლია ხელი შეუწყოს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ხელისუფლების დიფუზიას“. თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მთლიანად ეკუთვნით მსხვილ მონოპოლისტებს და მათ წარმომადგენლებს. აშშ-ის კონგრესში 531 წევრიდან ნახევარზე მეტი იურისტი, რომლებიც მსხვილი მონოპოლისტების ინტერესებს იცავენ, ხოლო მეოთხედი ნაწილი — ბანკირები და მრეწველები.

¹ გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 146—147.

ცხადია, რომ ამერიკის კონგრესი ფაქტიურად მიუწვედომელია მუშებისა და გლეხებისათვის, აგრეთვე, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთათვის, რომლებიც ე. წ. ბურჟუაზიული „საყოველთაო-სახალხო“ საარჩევნო სისტემით მოკლებული არიან სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საშუალებას.

მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესებს გამოხატავენ აგრეთვე პარლამენტები სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ა. შ.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში პარლამენტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და იგი გახდა მსხვილი მონოპოლისტებისა და რეაქციული ძალების თავშესაფარი. პარლამენტი თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამოხატავს არა მშრომელი ხალხის, არამედ მსხვილი კაპიტალის ინტერესებს. პარლამენტსა და მშრომელთა ფართო მასებს შორის არ არსებობს მჭიდრო კავშირი, რამდენადაც პარლამენტის წევრები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთი ამომრჩევლების წინაშე. ამომრჩევლებს არა აქვთ დეპუტატის უკან გამოწვევის უფლება, უკეთუ იგი ვერ გაამართლებს ხალხის ინტერესებს. ამომრჩეველთა უმრავლესობამ არ იცის რა საქმიანობას ეწევა პარლამენტში მის მიერ არჩეული დეპუტატი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ბურჟუაზიულ ქვეყნებში, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად, მნიშვნელოვნად შესუსტდა პარლამენტის ძირითადი ფუნქცია — საკანონმდებლო საქმიანობა. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები თანდათანობით ზღუდავენ პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციებს და მიმართავენ ე. წ. „დელეგირებული კანონმდებლობის“ ინსტიტუტს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პარლამენტი აყალიბებს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მხოლოდ ზოგად პრინციპებს, მთავრობას კი უფლება ენიჭება ამ პრინციპების საფუძველზე გამოსცეს საკანონმდებლო აქტები.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების „დიფუზიის“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და რევოიონისტული თეორიების უსაფუძვლოებას ნათლად ცხადყოფს მსხვილი მონოპოლისტების გაძლიერება სახელმწიფო აპარატში. მართალია ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისი წარმოშობისთანავე კაპიტალისტთა ინტერესების გამომხატველი იყო, მაგრამ იმპერიალიზმის ეპოქაში სახელმწიფოებრივი აპარატი მთლიანად ექვემდებარება მსხვილი კაპიტალის ინტერესებს. ახლა მონოპოლისტურ ბურჟუაზიას აღარ სურს ხელისუფლება გაუნაწილოს თავისი კლასის სხვა ფენებსაც კი. ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლები, მსხვილი მეწარმეები და ფინანსისტები იკავებენ სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად პოსტებს.

აშშ-ის კონგრესის სპეციალური კომისიის ცნობით 1932 წელს აშშ-ის მთელი სახელმწიფო აპარატი 3.278.500 კაცით განისაზღვრებოდა. სახელმწიფო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობიდან სამხედრო უწყებებში მხოლოდ 246.800 კაცი მუშაობდა. 1954 წელს აშშ-ის სახელმწიფო მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 7.245 ათას კაცს აღწევდა. 1952 წელს აშშ-ის არმია გაიზარდა 3.852 ათას კაცამდე.

1914 წელს ინგლისში 21 სამინისტრო არსებობდა და სახელმწიფო აპარატში მთლიანად 60 ათასი კაცი ითვლებოდა; 1956 წელს კი სამინისტროთა



როდენობა 29-მდე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო აპარატში მომუშავეთა რიცხვი — 385 ათასამდე. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის მომხრეები კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი აპარატის ზრდას ხსნიან იმ მოსამსახურეთა რიცხვის გადიდებით, რომლებიც ახორციელებენ „სოციალურ“ ფუნქციებს. სინამდვილეში ავტომატიზაციის განვითარებამ, მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოთვლითი მანქანების გამოყენებამ სწორედ იმ მოსამსახურეთა რიცხვის შემცირების შესაძლებლობა შექმნა, რომლებიც „სოციალურ“ ფუნქციებს ასრულებენ. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აპარატის გაფართოება ძირითადად გამოწვეულია იძულების ისეთი ორგანოების გაძლიერებით, როგორცაა შეიარაღებული ძალები, დაზვერვა. პოლიცია, საპატიმროები და ა. შ.

ამრიგად, ბურჟუაზიულ-რეფორმისტთა და რევოლუციონისტთა მტკიცება, თითქოს კაპიტალისტურ ქვეყნებში „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“ არსებობს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, და მიზნად ისახავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მშრომელთა ფართო მასების რევოლუციური ბრძოლის შესუსტებას, კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში მსხვილი მონოპოლისტების ბატონობის განმტკიცებას. ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისი წარმოშობის პირველი დღიდანვე ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად სისტემატურ ძალადობას ახორციელებს მშრომელთა ფართო მასებზე. იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიული სახელმწიფო ხდება უაღრესად რეაქციული ძალა, რომელიც მთელ თავის საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ წარმართავს მსხვილ მონოპოლისტთა ინტერესების შესაბამისად.

საზოგადოების არსებობის ისტორიაში მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფო ემსახურება მშრომელთა დიდი უმრავლესობის ინტერესებს, ხოლო ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად, მას შემდეგ, რაც კვდება პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალისტური სახელმწიფო გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს და ამრიგად იქცევა საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ.

კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო- სამართლებრივი პრინციპები

დოქ. ზ. შვანიძე

1963 წლის 6 დეკემბერს XVIII სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „დეკლარაცია კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებაში სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პოზიტიური საერთაშორისო სამართლის ახალ დარგს — კოსმოსის სამართალს.

კოსმოსის საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემა (თეორიულად და პრაქტიკული მნიშვნელობითაც) წარმოიშვა უმაღლეს, როცა 1957 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგავზრები. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, როცა კი სახელმწიფოს აქცია ხორციელდება მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ეს აქცია უთუოდ ეხება სხვა სახელმწიფოთა ინტერესების სფეროს და, მათასადამე, ჩნდება აუცილებლობა ამგვარი საქმიანობის რეგულირებისა სავალდებულო წესებით, ე. ი. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით.

კოსმოსის საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემისადმი საყოველთაო თეორიულ ინტერესზე მეტყველებს დიდი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში შეიქმნა როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენში¹, აგრეთვე ის ფაქტი, რომ კოსმოსის სამართალი უკვე სპეციალურად ისწავლება, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ცხრა უნივერსიტეტში, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს საგანგებოდ შექმნილ ორგანოებში²; კოსმოსის სამართლის საკითხების თეორიულ დამუშავებასა და სახელმწიფოთა თანამშრომლობას ამ დარგში დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა: ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია, ასტრონავტიკის საერთაშორისო კავშირი, კოსმოსური სივრცის კვლევის სამეცნიერო კავშირების კომიტეტი, საპარლამენტაშორისო კავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებები (იუნესკო, ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია); ამავე პრობლემით დაინტერესებულია აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, ჰაავის საერთა-

¹ ამგვარი ლიტერატურიდან აღსანიშნავია ისეთი ავტორების შრომები, როგორცაა კუბერი, პეილი, ლეჩფორდი, კუიგი, მეერი (აშშ), ჰორსფორდი (ინგლისი), გოდუისი (პოლანდია), ჯენკსი (შვეიცარია), მაიერი (გფრ), რაინტანცი (გდრ), კოპალი, ჟოურეკი (ჩეხოსლოვაკია), ბერეზოვსკი, მაკოვსკი (პოლონეთი), კოროვინი, ოსნიცაია, ზადოროჟნი, ჟუკოვი (სსრკ).

² ასეთი ორგანოებია, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში — აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო (NASA), საბჭოთა კავშირში — მეცნიერებათა აკადემიის ვარსკვლავთმშობის სივრცის იურიდიულ პრობლემათა კომისია.

შორისო სამართლის ინსტიტუტი და სხვა არამთავრობითი საერთაშორისო ორგანიზაციები.

გასაგებია, რომ პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა შესაძლებელი იყო სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის საფუძველზე, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში. ამ რეალურმა გზამ განაპირობა საბჭოთა სახელმწიფოს ინიციატივა, სახელდობრ, მისი წინადადება გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე (ე. ი. ჯერ კიდევ 1958 წელს) იმის შესახებ, რომ დადებული ყოფილიყო საერთაშორისო შეთანხმება სამხედრო მიზნებით კოსმოსური სივრცის გამოყენების აკრძალვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის და კოსმოსური სივრცის შესწავლის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე.

ამ წინადადების განხილვის შედეგად გენერალური ასამბლეის რეზოლუციით შეიქმნა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების კომიტეტი 18 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით, მაგრამ იმის გამო, რომ ეს 18 ადგილი განაწილდა სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის პარიტეტული საწყისის უხეში უგულვებელყოფით (12 წევრი წარმომადგენდა აგრესიული ბლოკების სახელმწიფოებს, 3—სოციალისტურ ქვეყნებსა და 3—ნეიტრალისტურ ქვეყნებს), კომიტეტი მკვდრადშობილი აღმოჩნდა. მხოლოდ მომდევნო, XIV სესიაზე (1959 წელს) გადაისინჯა კომიტეტის შემადგენლობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, — შეიქმნა ახალი კომიტეტი 24 წევრის შემადგენლობით, სადაც სოციალისტურ სახელმწიფოებს უკვე 7 ადგილი მიეცა, ხოლო ნეიტრალისტურ ქვეყნებს — 5 ადგილი.

გენერალურმა ასამბლეამ 1959 წლის 12 დეკემბრის რეზოლუციით 24-ის კომიტეტს მიზნად დაუსახა: კოსმოსური სივრცის კვლევისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფოებს შორის შესაბამისი მეცნიერული მონაცემების გაცვლის ორგანიზაცია, კვლევის ეროვნული პროგრამების შემუშავების წაქეზება და დახმარება მათი განხორციელებისათვის, აგრეთვე — რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა — კოსმოსური სივრცის ათვისების სამართლებრივი პრობლემების შესწავლა.

კომიტეტმა მხოლოდ მაშინ შესძლო შედგომოდა მუშაობას, როცა საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მას წარუდგინეს კოსმოსური სივრცის გამოყენების შეთანხმებული პრინციპები, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო 1961 წლის 20 დეკემბრის რეზოლუციით (XVI სესიაზე). ამავე რეზოლუციით კომიტეტის შემადგენლობაში დამატებით იქნენ შეყვანილი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები და, ამგვარად, უკვე 28-ის კომიტეტში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 12 ადგილი ეკუთვნის აგრესიული ბლოკების სახელმწიფოებს, 8 — სოციალისტურ სახელმწიფოებს და 8 — ნეიტრალისტურ ქვეყნებს¹.

მიუხედავად ზემოხსენებული შეთანხმებულის პრინციპებისა აშშ 28-ის კომიტეტში ცდილობდა კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტი შეზღუდულიყო ერთი საკითხით—მიყენებული

¹ ეს სახელმწიფოებია: ა) აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, კანადა, ბელგია, ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ირანი (12); ბ) სსრკ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მონღოლეთი (8); გ) ინდოეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ავსტრია, შვეიცია, ლიბანი, მაროკო, სიერა-ლეონე, ჩადი (8).

ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხით. საბჭოთა კავშირმა ასეთ ცდას დაუპირისპირა წინადადება, შემუშავებული ყოფილიყო დეკლარაცია კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და საერთაშორისო შეთანხმება ავარიულად დაშვებული კოსმონავტებისა და კოსმოსური ხომალდების შველის თაობაზე. ასეთი წინადადების განსახორციელებლად საბჭოთა წარმომადგენელმა კომიტეტს წარუდგინა დეკლარაციისა და საერთაშორისო შეთანხმების პროექტები.

კომიტეტის მუშაობის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წერილების გაცვლას ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის 1962 წლის თებერვალ-მარტში, რაც საფუძვლად დაედო ერთობლივი პოზიციის გამომუშავებას, კერძოდ, პრობლემის გადასაწყვეტად საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხში და რამაც შესაძლებელი გახადა გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე შესაბამისი რეზოლუციის მიღება (1962 წლის 14 დეკემბერს). რეზოლუციამ დაავალა კომიტეტს ჩამოეყალიბებინა კოსმოსში სახელმწიფოთა საქმიანობის იურიდიული ნორმები „დეკლარაციის“ და „საერთაშორისო შეთანხმების“ საბჭოთა პროექტების მიხედვით.

„კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებაში სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპების დეკლარაციის“ მიღებას დიდად შეუწყო ხელი გენერალური ასამბლეის უაღრესად დიდი მნიშვნელობის რეზოლუციამ „ორბიტაზე ატომგულის იარაღით აღჭურვილი ობიექტების არგაყვანის შესახებ“ (1963 წ. 17 ოქტომბრისა), რომელიც, ასევე, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის შეთანხმებას მოჰყვა შედეგად. ამ რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა მიესალმება აშშ-ის და სსრ კავშირის მიერ გამოთქმულ განზრახვას არ მოათავსონ კოსმოსურ სივრცეში რაიმე ობიექტები, აღჭურვილნი ატომგულის იარაღით და მასობრივი მოსპობის იარაღის სხვა სახეობებით, და მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს თავი შეიკავონ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ატომგულის იარაღით ან მასობრივი მოსპობის იარაღის სხვა სახეობით აღჭურვილი რაიმე ობიექტების გაყვანისაგან, ასეთი იარაღის მოთავსებისაგან ციურ სხეულებზე ან კოსმოსურ სივრცეში რაიმე სხვა სახით, თავი შეიკავონ ზემოხსენებული საქმიანობის შესრულებისათვის წაქეზებისაგან ან მასში რაიმე მონაწილეობისაგან¹.


რამდენადაც აღნიშნული რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული, შეიძლება ითქვას, რომ მისი სავალდებულო ძალა თითქმის საყოველთაო ხასიათისაა და, მაშასადამე, ნიშნავს კოსმოსის ატომურ დემილიტარიზაციას. რეზოლუცია ერთგვარი დამატებაა მოსკოვის შეთანხმებისა ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვაზე სამ სფეროში და ნიშნავს აცლის აგრესიულ სამხედრო დოქტრინას, რომელიც უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ამერიკაში და რომლის მიხედვით თითქოს ფრიად ხელსაყრელი იყოს დედამიწის მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის სწორედ კოსმოსური სივრცის გადაქცევა მომავალი ატომური ომის ასპარეზად².

„დეკლარაცია“³ შედგება პრეამბულისა და ცხრა მუხლისაგან. თუ გაერ-

¹ ქურ. „Международная жизнь“, 1964, № 1, გვ. 155.

² ეს დოქტრინა მოითხოვს კოსმოსურ სივრცეში და ციურ სხეულებზე, პირველ ყოვლისა მთვარეზე, ატომგულის იარაღის ბაზების, საკომანდო პუნქტების და ა. შ. მოწყობას, რასაც ითვალისწინებენ კიდევ პენტაგონის პროექტები „ჰემინი“ და „აპოლო“.

³ ქურბ. „Международная жизнь“, 1964, № 1, გვ. 156—157.



თიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის არსებითად რეკომენდაციას წარმოადგენს და იურიდიულად სავალდებულოა მხოლოდ იმ წევრ-სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მას ხმა მისცეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული დეკლარაცია უთუოდ საერთაშორისო სამართლის წყაროა, იგი წარმოადგენს ხმის მიმცემი წევრ-სახელმწიფოების საერთაშორისო შეთანხმებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ სპეციალურ დარგში და ამიტომ საყოველთაო ნორმად აღგენი აქტის მნიშვნელობას იძენს. დეკლარაციის სავალდებულო იურიდიული ძალა იმითაც დასტურდება, რომ იგი მოწოდების თუ რჩევის ფორმაში კი არაა მოცემული, არამედ გამოცხადება გარკვეული პრინციპებისა, რომლებითაც სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ.

ამ შემთხვევაშიც აღნიშნული „დეკლარაციის“ პრეამბულა მთავრდება სიტყვებით: „გენერალური ასამბლეა... საზეიმოდ აცხადებს, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებისას სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი პრინციპებით“... ამგვარად, თუ გენერალური ასამბლეის 1961 წლის 20 დეკემბრისა და 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციებში გამოთქმული იყო სურვილი, რომ ზოგიერთი დებულების საფუძველზე შემუშავებულიყო კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები, თვით „დეკლარაცია“, განახორციელებს რა ამ სურვილს, აყალიბებს აღნიშნულ პრინციპებს, როგორც სავალდებულო ნორმებს.

გასაგებია, რომ ასეთი პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია ისინი, რომლებიც განსაზღვრავენ კოსმოსური სივრცის სამართლებრივ რეჟიმს, ე. ი. წყვეტენ კოსმოსის სამართლის უმთავრეს პრობლემას — სახელმწიფო სუვერენიტეტისა და კოსმოსური სივრცის ურთიერთობის საკითხს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს უპირველეს ყოვლისა დეკლარაციის მეორე და მესამე მუხლები. სახელდობრ, მეორე მუხლი ადგენს:

„2. კოსმოსური სივრცე და ციური სხეულები ღიაა კვლევა-გამოყენებისათვის ყველა სახელმწიფოს მიერ თანასწორობის სეფუძველზე და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“.

მასასადამე, კოსმოსური სივრცე და ციური სხეულები წარმოადგენენ *res nullius* და მათზე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაავრცელებს თავის სუვერენიტეტს. ეს პრინციპი ასახულია მესამე მუხლში:

„3. კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების ნაციონალური მისაკუთრება¹ არ შეიძლება არც სუვერენიტეტის გამოცხადებით მათზე, არც მათი გამოყენების თუ ოკუპაციის გზით, ან სხვა რაიმე საშუალებით“.

ამ მუხლთან დაკავშირებით აუცილებელია შევნიშნოთ, რომ შესაძლოა ერთგვარად მცდარი შთაბეჭდილება შექმნას ერთ სიბრტყეში მოხსენიებამ ისეთი ცნებებისა, როგორცაა სუვერენიტეტის გამოცხადება კოსმოსურ სივრცესა და ციურ სხეულებზე, მათი გამოყენება და მათი ოკუპაცია: ერთის მხრივ, სუვერენიტეტის გამოცხადება ამ ობიექტებზე დაუშვებელია და ასეთ აქტს იურიდიული ძალა არ ექნება (მთელი „დეკლარაციისა“ და, კერძოდ, მეორე მუხლის თანახმად), ასევე აკრძალულია ამ ობიექტების ოკუპაცია, რადგან ასეთი აქტი, იურიდიული მნიშვნელობით, ვერ შექმნის დაუფლების ტიტულს, ხოლო,

¹ როგორც ჩვეულებრივ, აქაც იგულისხმება სახელმწიფოს მიერ მისაკუთრება.

მეორეს მხრივ, კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების მშვიდობიანი მიზნით გამოყენება, პირიქით, კოსმოსში სახელმწიფოთა საქმიანობის უმთავრესი მიზანია; აკრძალვა აქ ეხება ამ ობიექტების გამოყენებას, როგორც საშუალებას მათი მისაკუთრებისა, როგორც საფუძველს მათზე საკუთრების უფლების პრეტენზიისა.

კოსმოსურ სივრცეში და ციურ სხეულებზე სახელმწიფო სუვერენიტეტის განვრცობის აკრძალვა გამომდინარეობს „დეკლარაციის“ პრემბულიდანაც, სადაც აღიარებულია მთელი კაცობრიობის საერთო დაინტერესება კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი კვლევა-გამოყენების პროგრესით და აღნიშნულია, რომ ეს კვლევა-გამოყენება მიმართული უნდა იყოს კაცობრიობის სასარგებლოდ და სახელმწიფოების სასიკეთოდ მათი ეკონომიკური და მეცნიერული განვითარების-და მიუხედავად. ამასვე ადასტურებს „დეკლარაციის“ პირველი პრინციპიც: „კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება ხორციელდება მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ და ინტერესების შესაბამისად“.

ამგვარად, კოსმოსური სივრცის რეჟიმი მოგვაგონებს თავისუფალი საჰაერო სივრცის რეჟიმს იმ განსხვავებით, რომ კოსმოსური სივრცე გენერალური ასამბლეის ზემოაღნიშნული რეზოლუციის (1963 წ. 17 ოქტომბრისა) ძალით შეიძლება დემილიტარიზებულად ჩაითვალოს¹ (ასევე უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ციური სხეულებიც)².

ამავე დროს „დეკლარაციაში“ განსაზღვრული არაა კოსმოსური სივრცის ცნება, ე. ი. გადაუწყვეტელია თეორიაში დიდად სადავო საკითხი საჰაერო სივრცისა და კოსმოსური სივრცის ფიზიკური გამიჯვნის შესახებ. ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან კოსმოსური სივრცისაგან განსხვავებით, საჰაერო სივრცეში სახელმწიფოს სახმელეთო და წყლის სუვერენული ტერიტორიის თავზე შეუზღუდველად ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ეს პრინციპი საყოველთაოდაა აღიარებული როგორც ნაციონალურ კანონმდებლობებში, ასევე საერთაშორისო სამართალშიც (სახელდობრ, პარიზის 1919 წლისა და ჩიკაგოს 1944 წლის საერთაშორისო საჰაერო კონვენციებში)/და შეესაბამება ძველ დებულებას: cuius est solum eius est usque ad coelum (ვისიცაა მიწა, მისივეა ჰაერიც ზეცამდე).

საერთაშორისო სამართლის თეორიაში ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი შეხედულება გამოითქვა სულ სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე და

¹ მხედველობაში გვაქვს ფაქტიურად სრული დემილიტარიზაცია, რადგან ატომგულის იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გარდა ე. წ. ჩვეულებრივი იარაღის შეტანა კოსმოსურ სივრცეში უმიზნოა არაფექტურობის გამო; ამაზე გვანიშნებს რეზოლუციის პრემბულაც, სადაც ნათქვამია: „გენერალური ასამბლეა... მტკიცედ აქვს რა გადაწყვეტილი გადადგას ნაბიჯები კოსმოსურ სივრცეზე გამალებული შეიარაღების გავრცელების თავიდან ასაცილებლად...“ ე. ი. ორბიტაზე ატომგულის იარაღით აღჭურვილი ობიექტების გაყვანის აკრძალვა გულისხმობს კოსმოსური სივრცის გამორიცხვას საერთოდ გამალებული შეიარაღების (მათ შორის ჩვეულებრივი შეიარაღების) სფეროდან.

² გასაგებია, რომ, თუ კოსმოსურ სივრცეში არ იქნება შეტანილი იარაღი, ამით უზრუნველყოფილია ციური სხეულების დემილიტარიზაციაც. მათი რეჟიმი მსგავსია ანტარქტიკის რეჟიმისა, როგორც ეს 1959 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულებითაა განსაზღვრული: თავისუფალი ტერიტორია, სადაც ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს კვლევა-გამოყენებითი საქმიანობისა და სადაც აკრძალულია ყოველგვარი სამხედრო ხასიათის ღონისძიების განხორციელება.

ზოგჯერ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშეც. მაგალითად, ამერიკელ ბერესფორდს საჰაერო სივრცის სიმაღლედ მიაჩნია 20 კმ, რაც იმის ამოცდას წარმოადგენს, რომ გაამართლოს, როგორც მართლზომიერი, ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავების ფრენა (პაუერსი) სხვა სახელმწიფოების სუვერენულ სივრცეში. შახტერი, ბემე და სხვ. ამ სიმაღლეს განსაზღვრავენ დაახლ. 90 კმ-ით (ჰაერის აეროდინამიკური თვისებების კრიტერიუმით); სხვა ავტორები ასეთ კრიტერიუმად მიიჩნევენ ადამიანისათვის საშიში რადიაციის ზონის დასაწყისს (დაახლ. 560 კმ-დან), ან იმ სიმაღლეს, სადაც უკვე იწვის დედამიწისაკენ მსრბოლი მეტეორიტი (110 კმ). ზოგიერთი ავტორი, პირიქით, უკიდურესად აღიდებს საჰაერო სივრცის სიმაღლეს. მაგალითად, ბურგესს საჰაერო სივრცის მიჯნად მიაჩნია ატმოსფეროს საზღვარი, ე. ი. დაახლ. 38.000 კმ დედამიწიდან, ხოლო კრულს — დედამიწის მიზიდულობის საზღვარი, რომელიც დაახლ. 1 მილიონი კმ-ითაა დაცილებული დედამიწიდან!

ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელება ჰპოვა ე.წ. ფუნქციურმა თეორიამ (ბომონი), რომლის მიხედვით კოსმოსურ ხომალდს უნდა ჰქონდეს თავისუფალი მოძრაობის უფლება ყველა სივრცეში, ე. ი. უპირველეს ყოვლისა ზუსტად უნდა დადგინდეს ფუნქციური განსხვავება კოსმოსური ხომალდისა საჰაერო ხომალდისაგან. ადვილი გასაგებია, რომ ეს თეორია უფულეებელყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტს საჰაერო სივრცეში; გარდა ამისა, აღნიშნული ფუნქციური განსხვავების დადგენა მომავალში სულ უფრო და უფრო გაძნელდება.

უმართებულაა აგრეთვე ე. წ. ეფექტური კონტროლის თეორია, რომელიც მოითხოვს, განისაზღვროს სახელმწიფო სუვერენიტეტის გავრცელების არე ატმოსფეროში ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. ეს თეორია ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის საწყისს (საჰაერო სივრცეში ეფექტური კონტროლის განხორციელების უნარი სხვადასხვა სახელმწიფოს სხვადასხვა აქვს) და არღვევს იმ პრინციპს, რომლის მიხედვით, მაგალითად, ღია ზღვის ეფექტური კონტროლი შესაძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა მასზე არ ვრცელდება სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი საბჭოთა ავტორის (კოვალიოვი, ჩებროვი, ოსნიცკაია) შეხედულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საჰაერო სივრცის როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის გავრცელების სფეროს „ჭერი“ განისაზღვროს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიტერიუმით. ჯერ ერთი, ასეთი კრიტერიუმი არაა სტაბილური და, გარდა ამისა, იგი მიუღებელია, რადგან აგრესიის საფრთხე არ ისპობა იმის გამო, რომ აგრესია მზადდება ძალიან დიდ სიმაღლეზე; პირიქით, როგორც გენერალური ასამბლეის 1963 წლის 17 ოქტომბრის ზემოაღნიშნული რეზოლუცია მოწმობს, სამხედრო ღონისძიებანი დიდ სიმაღლეზე, სახელდობრ ატომგულის და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის შეტანა კოსმოსურ სივრცეში, უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

გაცილებით უფრო დამაჯერებელია გ. პ. ზადროჩენის შეხედულება, რომლის მიხედვით საჰაერო და კოსმოსურ სივრცეთა მიჯნად უნდა მივიჩნიოთ ის სიმაღლე, სადაც ჰაერის წინააღმდეგობა უკვე იმდენად სუსტია, რომ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრს შეუძლია გავიდეს ორბიტაზე. ასეთი სიმაღლეა დაახლ. 200 კმ დედამიწის ზედაპირიდან, ანუ ხელოვნურ თანამგზავრთა ყველაზე დაბალი პერიგეა. ასეთივე შეხედულება გამოთქმული აქვს კუპერსაც.

შეიძლება ითქვას, რომ გენერალური ასამბლეის 1963 წლის 17 ოქტომბრის რეზოლუცია ამ თვალსაზრისს იზიარებს: პირველ პუნქტში გენერალური ასამბლეა „მისალმება... განზრახვას, არ მოათავსონ კოსმოსურ სივრცეში რაიმე ობიექტები ატომგულის იარაღით...“, ხოლო მეორე პუნქტში მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, „ა) თავი შეიკავონ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაყვანისაგან რაიმე ობიექტებისა ატომგულის იარაღით...“.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული რეზოლუცია კოსმოსურ სივრცედ მიიჩნევა უკვე უახლოეს ორბიტას, ე. ი. ხელოვნური თანამგზავრის ყველაზე დაბალ პერიგეას, რაც გარკვეული მინიმუმება საჰაერო და კოსმოსურ სივრცეთა მიჯნაზე. ამავე დროს შეუძლებელია უგულვებელყოთ ის ფაქტი, რომ „დეკლარაციაში“ არაფერია ნათქვამი ასეთი მიჯნის შესახებ. აქედან უთუოდ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საკითხი ჯერ კიდევ არაა მომწიფებული გადასაჭრელად.

შესაძლოა ამის მიზეზი ის იყოს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ორი სახელმწიფო (სსრკ და აშშ) ახორციელებს კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებას და ეს პრაქტიკა არ კმარა აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად. მეორეს მხრივ, ამ პრაქტიკამ ჯერ კიდევ „დეკლარაციის“ მიღებამდე შექმნა საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა იმის შესახებ, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება თავისუფალია და არ არღვევს სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს მათს საჰაერო სივრცეში. ასეთი ნორმის არსებობა იმით დასტურდება, რომ ხსენებული პრაქტიკა სხვა სახელმწიფოების მხრივ პროტესტებს კი არ იწვევს, არამედ, პირიქით, მისალმებებსა და მილოცვებს; პროტესტის განუცხადებლობა კი ასეთი პრაქტიკის სისტემატურობის პირობებში უჭკველად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები მდუმარედ აღიარებენ მის მართლზომიერებას¹.

ყოველ შემთხვევაში, „დეკლარაციის“ მიღების შემდეგ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების თავისუფლება უკვე საერთაშორისო სამართლის კონვენციურ ნორმად იქცა. რაც შეეხება საჰაერო და კოსმოსურ სივრცეთა გამიჯვნას, ეს საკითხი უთუოდ გადაიჭრება საერთაშორისო შეთანხმებით მომავალში, როცა კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებაში ჩაებმებიან სხვა სახელმწიფოებიც და მეცნიერებას საკმაო მონაცემები ექნება იმის შესახებ, თუ დედამიწიდან რა მანძილზე იწყება ის სივრცე, რომლის კვლევა-გამოყენება მთელი კაცობრიობის ინტერესებითაა ნაკარანახები, მაშასადამე, უფართოეს საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს და ამიტომ ვერ შეიზღუდება სახელმწიფო სუვერენიტეტის გავრცელების პრინციპით.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დეკლარაციის“ კატეგორიული მოთხოვნა, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება მხო-

¹ საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამენ გოდუისი და მაილდსი. მათი აზრით, პროტესტის განუცხადებლობა არ მოასწავებს მდუმარე აღიარებას, რადგან არ გამორიცხავს მომავალში პროტესტის უფლებას. ასეთი მსჯელობა უმართებულოა, რადგან იმას ნიშნავს, რომ საერთოდ უარყოფთ მდუმარე აღიარების იურიდიული ძალა. გოდუისის მეორე არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს ჩვეულებითი ნორმისათვის პრაქტიკის გარდა საჭირო იყოს სახელმწიფოთა დარწმუნებულობა ასეთი პრაქტიკის იურიდიულად სავალდებულო ხასიათში. სამწუხაროდ, გოდუისი ვერ გვისხნის, თუ რაში უნდა გამოვლინდეს ეს დარწმუნებულობა, თუ არა მდუმარე აღიარებაში.

ლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით ხორციელდებოდა (პრეამბულა და მუხლები: 1, 4, 6, 9). ამაში მდგომარეობს კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი; იგი ხაზგასმით აღინიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა აქტში კოსმოსთან დაკავშირებით „დეკლარაციის“ მიღებამდეც („კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების კომიტეტის“ შექმნა, გენერალური ასამბლეის 1959 წ. 12 დეკემბრის, 1961 წ. 20 დეკემბრის, 1962 წ. 14 დეკემბრის რეზოლუციების დასათაურება და ძირითადი პუნქტები, აგრეთვე 1963 წ. 17 ოქტომბრის რეზოლუცია).

1958 წლიდანვე ამერიკის შეერთებული შტატების იურისტები და ოფიციალური ორგანოებიც კი ცდილობდნენ გაეყალბებინათ კოსმოსში სახელმწიფოთა საქმიანობის აუცილებელი პირობა. ეს ცდები იმაში მდგომარეობდა, რომ სიტყვა „მშვიდობიანი“ გაგებული ყოფილიყო, როგორც „არააგრესიული“, მაშინ როცა იგი ნიშნავს „არასამხედროს“, ე. ი. აღნიშნული მოთხოვნა კრძალავს სამხედრო ხასიათის ყოველგვარ საქმიანობას კოსმოსში. მაგალითად, აშშ-ის 1958 წლის კანონი აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის შესახებ განმარტავს, რომ მშვიდობიანი მიზნებით საქმიანობაში იგულისხმება სამხედრო გამოყენებაცო. ასევე, NASA-სთვის წარდგენილ მოხსენებაში American Bar Foundation ამტკიცებს, უფლება გვაქვს კოსმოსური სივრცე გამოვიყენოთ არააგრესიულ სამხედრო მიზნებითო; ამერიკელი ბერესფორდიც „მშვიდობიან“ მიზნად მიიჩნევს „თავდაცვით“ სამხედრო საქმიანობას და ასკვნის, ჯაშუშ-თანამგზავრთა ფრენა დაშვებულიაო.

ამგვარი გაყალბებისას ხშირად მიუთითებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლზე (რომელიც ადგენს, რომ წესდებასრულებით არ ეხება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის განუყოფელ უფლებას შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში მანამ, სანამ უშიშროების საბჭო მიიღებდეს სათანადო ზომებს) და იმ ფაქტზე, რომ წესდება არ კრძალავს ჯაშუშურ საქმიანობას.

ასეთი მითითებები აბსოლუტურად უსაფუძვლოა: ჯერ ერთი, ჯაშუშობა საერთაშორისო სამართლის ფარგლებს ვარეთაა და ამიტომ ბუნებრივია, რომ წესდებაში არაფერია ნათქვამი მის შესახებ (პირიქით, წესდება ავალებს წევრ-სახელმწიფოებს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს ჯაშუშურ საქმიანობას); მეორე, შეუძლებელია ჯაშუშური საქმიანობა მივიჩნიოთ იმ თავდაცვად შეიარაღებული თავდასხმის საწინააღმდეგოდ, რომელზედაც ლაპარაკობს წესდების 51-ე მუხლი.

რაც მთავარია, როგორც გენერალური ასამბლეის ზემოაღნიშნული რეზოლუციების, ასევე „დეკლარაციის მთელი აზრი იმაზე მიუთითებს, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით გამორიცხავს სამხედრო დანიშნულების ყოველგვარ საქმიანობას. მაგალითად, 1963 წ. 17 ოქტომბრის რეზოლუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ გენერალურ ასამბლეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ვადაღვას ნაბიჯები კოსმოსურ სივრცეზე გამალებული შეიარაღების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მაშასადამე, კოსმოსი არ უნდა იყოს შეიარაღების გავრცელების, ე. ი. სამხედრო მიზნების განხორციელების სფერო.

კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების მშვიდობიანი ხასიათის გასაგებად ტიპურია „დეკლარაციის“ მე-4 მუხლი, რომლის თანახმად ასეთი კვლევა-

გამოყენება... „უნდა ხორციელდებოდეს... იმისათვის, რომ დაცული იქნეს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და განვითარდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და ურთიერთგაგება“. ცხადია, რომ სამხედრო დანიშნულების ვერავითარი ღონისძიება ამა თუ იმ სახელმწიფოსი (თუნდაც ეს ღონისძიება, ამერიკული ინტერპრეტაციით რომ ვთქვათ, არააგრესიული იყოს) ვერ ეგუება ამ მოთხოვნას. ამასვე ადასტურებს „დეკლარაციის“ პრეამბულა და პირველი მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება უნდა ხდებოდეს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ყველა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ა. შ.

დასასრულ, ანალოგიის წესით უნდა გავიხსენოთ, რომ ვაშინგტონის 1959 წლის ხელშეკრულებაში ანტარქტიკის თაობაზე „მშვიდობიანი გამოყენება“ განმარტებულია, როგორც შეუთავსებელი ყოველგვარ სამხედრო ღონისძიებასთან.

კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების მშვიდობიანი ხასიათის სწორ გაგებას დიდი მნიშვნელობა ექნება კოსმოსის სამართლის შემდგომი კოდიფიკაციისათვის, როცა მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებიც გაუშვებენ კოსმოსურ ხომალდებს და ამასთან დაკავშირებით დაისმება საკითხი ამ ხომალდების მიერ მეზობელ სახელმწიფოთა საპაერო სივრცის გადაკვეთის თავისუფლების შესახებ¹. ასეთი თავისუფლება უთუოდ აღიარებული უნდა იქნეს არა მარტო ტექნიკური აუცილებლობის გამო, ანდა იმიტომ, რომ აღნიშნული გადაკვეთა უაღრესად ხანმოკლე დაყოვნებას ნიშნავს, არამედ უპირველესად იმის საფუძველზე, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება ჭეშმარიტად მშვიდობიანი ხასიათის, არასამხედრო დანიშნულების გამო აბსოლუტურად უსაფრთხო უნდა იყოს და, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას და საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარებას, როგორც ეს „დეკლარაციის“ მე-4 მუხლშია ჩაწერილი.

„დეკლარაციაში“ გადაწყვეტილია კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმის ისეთი საკითხიც, როგორცაა კოსმოსში გაშვებული ობიექტებისა და მათზე მყოფი ფიზიკური პირების სტატუსი. ამ მხრივ მთავარია „დეკლარაციის“ დებულება, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება ხორციელდება სახელმწიფოების მიერ — მათი სახელით და მათი პასუხისმგებლობით. ამ პრინციპს შეიცავს მეხუთე მუხლი:

„სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო პასუხისმგებლობა კოსმოსურ სივრცეში ნაციონალური საქმიანობისათვის დამოუკიდებლად იმისგან, ხორციელდება იგი მთავრობის ორგანოების თუ სხვა არამთავრობითი იურიდიული პირების მიერ, და იმის უზრუნველყოფისათვის, რათა ნაციონალური საქმიანობა ტარდებოდეს ამ დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად. არამთავრობითი იურიდიული პირების საქმიანობა კოსმოსურ სივრცეში უნდა ხდებოდეს შესაბამისი სახელმწიფოს ნებართვით და მუდმივი მეთვალყურეობით...“.

ამავე მუხლის თანახმად სახელმწიფოებს აღნიშნული პასუხისმგებლობა

¹ შესაძლოა, ვრცელი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს მიერ გაშვებულ ხომალდსაც მოუხდეს სხვისი საპაერო სივრცის გადაკვეთა კურსიდან გადახვევისას თუ დედამიწაზე დაბრუნების დროს.



ეკისრებათ მაშინაც, როდესაც საქმიანობას კოსმოსურ სივრცეში ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია.

ზემოაღნიშნული პრინციპის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა „დეკლარაციის“ მე-7 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ კოსმოსში გაშვებული ობიექტი სახელმწიფომ შეიტანოს თავის რეგისტრში¹.

ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელია იმიტომაც, რომ ამის გარეშე შეუძლებელი გახდებოდა ასეთ ობიექტზე მისი დამრეგისტრებელი სახელმწიფოს საკუთრების უფლების საერთაშორისო აღიარება და ფაქტიური განხორციელება. ასეთი უფლება კი დადგენილია „დეკლარაციის“ მე-7 მუხლში. საკუთრების ეს უფლება არ წყდება არც იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ან მისი შემადგენელი ნაწილები დედამიწაზე დაბრუნებისას აღმოჩნდებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარეობს ამავე მუხლის დებულება, რომ აღნიშნული საგნები უნდა დაუბრუნდნენ მესაკუთრეს, ე. ი. დამრეგისტრებელ სახელმწიფოს.

გასაგებია, რომ სახელმწიფოს ვერ ექნება საკუთრების უფლება მის მიერ გაშვებულ ობიექტზე, თუ ამ ობიექტის დანიშნულება ეწინააღმდეგება კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების მშვიდობიან მიზნებს, ე. ი. თუ ეს ობიექტი წარმოადგენს, მაგალითად, ჯამუშურ თანამგზავრს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში არც დაისმება საკითხი ამგვარი ობიექტის ან მისი ნაწილების დაბრუნებისა გამშვები სახელმწიფოსათვის, როცა ისინი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან.

საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით დამრეგისტრებელი სახელმწიფო თავის იურისდიქციასა და კონტროლს ინარჩუნებს კოსმოსში გაშვებულ ობიექტზე და მის ეკიპაჟზე, სანამ ისინი იმყოფებიან კოსმოსურ სივრცეში (მ. 7) გასაგებია, რომ, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმის თანახმად, დამრეგისტრებელი სახელმწიფოს ეს იურისდიქცია და კონტროლი მოქმედებს აგრეთვე ობიექტისა და მისი ეკიპაჟის ყოფნისას სხვა თავისუფალ სივრცეში. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებს არა აქვთ უფლება შეზღუდონ, დააბრკოლონ ან რაიმე ზეგავლენის ღონისძიება განახორციელონ კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტისა და მისი ეკიპაჟის საქმიანობის მიმართ დედამიწიდან, ანდა თავიანთი ობიექტების თუ მათი ეკიპაჟების საშუალებით.

ამავე დროს „დეკლარაციის“ მე-7 მუხლი იმასაც ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოს სუვერენულ სივრცეში ყოფნისას აღნიშნულ ობიექტსა და მის ეკიპაჟზე ვრცელდება არა გამშვები (დამრეგისტრებელი) სახელმწიფოს, არამედ ამ „სხვა“ სახელმწიფოს იურისდიქცია, ე. ი. ასეთ ობიექტს არ გააჩნია სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ხომალდის ექსტერიტორიულობა². ამ მხრივაც სავარაუდოა მომავალში გამონაკლისის დაშვება იმ ობიექტებისათ-

¹ იმ პრინციპზე, რომ კოსმოსში საქმიანობას სახელმწიფოები ახორციელებენ, მიუთითებს თვით „დეკლარაციის“ სახელწოდება („დეკლარაცია კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებაში სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა“); გარდა ამისა, სწორედ სახელმწიფოთა საქმიანობაზე ლაპარაკი „დეკლარაციის“ მუხლებში: 2, 4, 6, 7, 8.

² ესეც იმას მოწმობს, რომ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების მშვიდობიანი ხასიათი გამორიცხავს სამხედრო დანიშნულების ყოველგვარ საქმიანობას.

ვის, რომლებსაც, გამწვები სახელმწიფოს მცირე ტერიტორიის გამო, მოუხდებოდა წამიერი დაყოვნება მეზობელი სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში.

კოსმოსურ სივრცეში მყოფ ობიექტზე და მის ეკიპაჟზე მხოლოდ დამრეგისტრებული სახელმწიფოს იურისდიქციისა და კონტროლის გავრცელება სავსებით ბუნებრივია (და შესაბამემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალს, მაგალითად, ღია ზღვის ან ღია საჰაერო სივრცის რეჟიმს), რადგან სახელმწიფოების მიერ კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს „სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი ინტერესების ჯეროვანი გათვალისწინებით“ (მ. 6). ამ მოვალეობასთან დაკავშირებულია პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება „დეკლარაციაში“.

ზემოთ უკვე მითითებული იყო მე-5 მუხლზე, რომელიც აწესებს საერთაშორისო პასუხისმგებლობას, ე. ი. სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა სახელმწიფოს ან მისი პირების საქმიანობა არ შესაბამემა „დეკლარაციის“ პრინციპებს, არღვევს მათ, რადგან, როგორც აღინიშნა, ეს პრინციპები საყოველთაო საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენენ. ამავე მუხლის დადგენილება იმის შესახებ, რომ არამთავრობითი იურიდიული პირების საქმიანობისთვისაც კოსმოსში პასუხისმგებლობა შესაბამის სახელმწიფოს ეკისრება, ფრიად მნიშვნელოვანია მე-6 მუხლში მოცემულ მოვალეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მსხვილი მონოპოლიები, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ცდილობენ ზემოგებათა წყაროდ აქციონ გარკვეული კვლევა-გამოყენებითი საქმიანობა კოსმოსში და, რა თქმა უნდა, ნაკლებად ზრუნავენ „სხვა სახელმწიფოთა შესაბამისი ინტერესების ჯეროვანი გათვალისწინებაზე“.

ასეთი ინტერესების შელახვის კონკრეტულ შესაძლებლობას ითვალისწინებს „დეკლარაციის“ მე-6 მუხლი: „თუ რომელიმე სახელმწიფოს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ ამ სახელმწიფოს ან მისი მოქალაქეების მიერ დაგეგმილი საქმიანობა კოსმოსში თუ ექსპერიმენტი შეუქმნიან პოტენციურად მავნე დაბრკოლებებს სხვა სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი კვლევა-გამოყენებაში, მაშინ ამ სახელმწიფომ უნდა გამართოს შესაბამისი საერთაშორისო კონსულტაციები მანამდე, სანამ შეუდგებოდეს ასეთ საქმიანობას თუ ექსპერიმენტს“. იგივე მუხლი ასეთი კონსულტაციების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს სახელმწიფოს, რომელიც ჩათვლის, რომ სხვა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი საქმიანობა თუ ექსპერიმენტი პოტენციურად მავნე დაბრკოლებებს შეუქმნიან კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი კვლევა-გამოყენებას.

„დეკლარაციის“ მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულია პრინციპი საერთაშორისო პასუხისმგებლობისა ზიანისათვის, რომელსაც კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტი ან მისი შემადგენელი ნაწილები მიაყენებენ სხვა სახელმწიფოს და მის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ასეთი ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მარტო ობიექტის გამწვებ სახელმწიფოს, არამედ იმ სახელმწიფოსაც, რომლის ტერიტორიიდან ან დანადგარიდან მოხდა ობიექტის გაშვება.

გასაგებია, რომ როგორც ზიანის მიყენების შემთხვევაში, ასევე საერთოდ „დეკლარაციის“ ამა თუ იმ პრინციპის დარღვევისას წარმოშობილი საერთაშორისო პასუხისმგებლობის ფარგლებს „დეკლარაცია“ ვერ დაადგენდა. ასეთი



ფარგლების დადგენა დამოკიდებულია სამართალდარღვევის კონკრეტულ ფაქტზე (მის ხასიათსა, საშიშროებასა და ოდენობაზე) და ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს (ისევე, როგორც თვით პასუხისმგებლობა) იმ საშუალებებით, რომლებიც ცნობილია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში (მორალური სატისფაქციიდან სუვერენიტეტის შეზღუდვამდე და სისხლისამართლებრივ სანქციებამდე).

დასასრულ, „დეკლარაციის“ მე-9 მუხლი ადგენს სახელმწიფოთა მოვალეობას ყოველგვარი შესაძლებელი დახმარებას გაუწიონ კოსმონავტებს ავარიის თუ სხვა ვასაჭირის, ანდა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე თუ ზღვაში მათი იძულებითი დაშვების შემთხვევაში. ყველა სახელმწიფო მოვალეა აგრეთვე გაუფრთხილდეს მის ტერიტორიაზე თუ ზღვაში იძულებით დაშვებულ კოსმონავტებს და დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ისინი მათი ხომალდის დამრეგისტრირებელ სახელმწიფოს.

* * *

„დეკლარაციის“ მრავალი პრინციპი მომავალში ალბათ საფუძვლად დაედება კოსმოსის სამართლის შემდგომ განვითარებას დეტალური რეგლამენტაციის გზით. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ საბჭოთა კავშირის წინადადებაზე, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო შეთანხმების დადებას ავარიულად დაშვებული კოსმონავტებისა და კოსმოსური ხომალდების შველის თაობაზე. ეს საკითხი უთუოდ მომწიფებულია და ასეთი შეთანხმების საბჭოთა პროექტს უკვე განიხილავს 28-ის კომიტეტი. უფრო შორეული მომავლის საქმეა კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება, როგორცაა კერძო საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები (გარეგებათა დადება კოსმოსურ სივრცეში ან ციურ სხეულებზე და ა. შ.), ან კიდევ სისხლისსამართლებრივი საკითხები (დამნაშავეთა გადაცემის თაობაზე საერთაშორისო შეთანხმებათა მოქმედება კოსმოსში, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა და ა. შ.).

კოსმოსის სამართლის ჩამოყალიბება, ისევე როგორც პოზიტიური საერთაშორისო სამართლის სხვა დარგების პროგრესული განვითარება, გარკვეულ დროს მოითხოვს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საერთაშორისო სამართალში ღია ზღვის პრინციპის დამკვიდრებიდან ორასი წელი გავიდა მანამდე, სანამ ასე თუ ისე სრული სახით ჩამოყალიბდებოდა ღია ზღვის სამართლებრივი რეჟიმი ქენევის 1958 წლის კონვენციაში. უეჭველია, რომ 1963 წლის 6 დეკემბრის „დეკლარაცია“, როგორც კოსმოსის სამართლის პირველი წყარო, დასაბამს მისცემს კოსმოსის სამართლის ევოლუციას შესაბამისი კოდიფიკაციითურთ.

სიახლენი საბჭოების მუშაობაში

ა. გობრონიძე,

მახარაძის რაიონის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სულ ახალ და დიდმნიშვნელოვან ამოცანებს აყენებენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წინაშე, ზრუნავენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის.

ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი განვითარების, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში განუზომელია საბჭოების როლი. მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომი, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოები მთელ საქმიანობას წარმართავენ იქითკენ, რომ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ხელი შეუწყონ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, პარტიისა და მთავრობის მიერ ხალხის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეს.

საბჭოები ამოცანად ისახავენ სწორად და სრულყოფილად უხელმძღვანელონ სახელმწიფო დავალებების პირნათლად შესრულებას, მტკიცედ დაიცვან საბჭოთა კანონები, იბრძოლონ პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, არ დაუშვან მიწათსარგებლობის დარღვევები, სახალხო დოვლათის ხელყოფა, იზრუნონ აღამიანთა სწორად აღზრდისათვის, მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ დიდი და საბასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელია მასებთან მჭიდრო კავშირი, მათი სწორად ხელმძღვანელობა, ყოველივე პროგრესული სიახლისათვის მსარდაჭერა და დახმარება. რაისაბჭო ყოველ ღონეს ხმარობს საქმის ნაყოფიერად გაძღოლისათვის. მმართველობაში დებუტატების, მუდმივი კომისიების, საბჭოების შტატგარეშე განყოფილებების, თვითმოქმედი ორგანიზაციების და მასობრივი მუშაობის სხვა ფორმების გამოყენებას საუკეთესო ნაყოფი მოაქვს. რაისაბჭო ყოველთვის ყურადღებით ადევნებს თვალს ყოველივე ახალს საბჭოების მუშაობაში, ხალხისთა და მონდომებით იზიარებს სხვა საბჭოების გამოცდილებას და საინტერესო ახალწამოწყებას, ამავე დროს თვითონაც აქტიურად ეძიებს პროგრესულს, ცდილობს დანერგოს ყოველივე ის, რაც საიმედო და მომავლიანია, მუდამ მოითხოვს ადგილობრივი საბჭოებისაგან ინიციატივის გამოვლინებას, საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას.

ერთ-ერთი ასეთი ახალი, ჭეშმარიტად პროგრესული და ნამდვილად კარგად მიგნებული ფორმაა სოფლის ყრილობების ჩატარება, რაც უკვე ფართოდ დაინერგა ჩვენი საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ მშრომელთა ყრილობები 1963 წელს ყველა სოფელში ორ-ორჯერ ჩატარდა. ხალხის ერთიანი აზრი, ერთსულოვანი მისწრაფება, ერთიანი მიზნების დასახვა — ყოველისმძლე ძალაა. სოფლის მშრომელთა ყრილობებზე რეგულარულად იზილება სხვადასხვა ხასიათის მეტად აქტიუალური, სადღეისო, სოფლის მოსახ-



ლეობისათვის საჭირობოროტო საკითხები. მართო გასულ წელს ყრილობებზე განხილული ზოგიერთი საკითხის ჩამოთვლაც ნათლად გვიჩვენებს, რა დიდ საქმიანობას ეწევიან ისინი.

აი, ეს საკითხები: „კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა ახალი ადამიანის აღზრდის მძლავრი ფაქტორია“, „თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო საზოგადოებრივ ქონებას“, „საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, „მიწათსარგებლობისა და საკომლო მეურნეობის დარგში არსებულ დამახინჯებათა აღმოფხვრისათვის“, „მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების შესახებ“, „საკოლმეურნეო შრომის თავის ამრიღებლებისა და ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების შესახებ“, „სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გზების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი“, „ყოველდღიურად ვიზრუნოთ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის“, „დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული გზები“, „სოფლის სკოლების კეთილმოწყობისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ“, „იმ პირების სოფლიდან გასახლების შესახებ, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან“ და სხვა.

სოფლის ყრილობების ჩატარების პრაქტიკაში დანერგვამ დიდად შეუწყობი ხელი მოსახლეობის ფართო მასების აქტიურობის ამაღლებას, მათ უფრო გაბედულად ჩაბმას სოფლის საკეთილდღეო საკითხების გადაწყვეტის საქმეში.

„სოფლის მშრომელთა კომუნისტური პრინციპებზე აღზრდის, კოლექტიურ შრომაში აქტიურად ჩაბმისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ — ასეთი საკითხი იდგა მშრომელთა ყრილობის დღის წესრიგში, რომელიც ჩატარდა ასკანის სასოფლო კლუბში. ყრილობაზე თავი მოიყარეს ერთ სასოფლო საბჭოში გაერთიანებული სოფლების — ასკანისა და მზიანის მშრომელებმა. მომხსენებელმა, ასკანის საშუალო სკოლის დირექტორმა კ. ჯაველიძემ აღნიშნა, რომ კომუნისტური მორალის პრინციპების დანერგვა მოსახლეობაში, საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მძალი მორალური თვისებების ურყევად გამოვლენა ოჯახში, კოლექტივში, ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობაში განამტკიცებს მშრომელებში ურთიერთ პატივისცემას, მეგობრობას, ხელს შეუწყობს საერთო წარმატებების მოპოვებას.

ყრილობაზე მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ კომუნისტური აღზრდის დედააზრია ადამიანთა შრომითი აღზრდა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვა, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარება. ასკანისა და მზიანის კოლმეურნეობათა მშრომელების დიდ უმრავლესობას სწორედ ასეთი თვისებები ახასიათებს. ისინი აღჭურვილი არიან მძალი მორალური შეგნებით, პატიოსნად, მთელი მონდომებით იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო წინ წასწიონ კოლმეურნეობათა ეკონომიკა, ნაყოფიერი შრომით სარგებლობა მოუტანონ სამშობლოსა და ხალხს, განუხრელად აიმაღლონ მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. „მაგრამ ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ ჩვენს სოფელში არსებულ ნაკლოვანებებზე — აცხადებდნენ ყრილობის ტრიბუნიდან მშრომელები, — მართალია, კოლმეურ-

ნეთა ძირითადი მასა აქტიურად შრომობს, პატიოსან ცხოვრებას ეწევა, მაგრამ სოფელში აქა-იქ კვლავ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი უქნარობით, პარაზიტული ცხოვრებით, არაკანონიერი მოქმედებით გვარცხვენენ, გაურბიან შრომას, უგულვებელყოფენ ჩვენს რჩევა-დარიგებებს, მითითებებს“.

ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვასაძემ, კოლმეურნე გ. ნინიძემ და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში დაასახელეს ისინი, ვინც მრავალჯონის გაფრთხილების მიუხედავად კვლავ არიდებს თავს საზოგადოებრივ შრომას, ეთიმება კოლექტივს, ეწევა სპეკულაციის, ხულიგნობს და სხვ. მათ გაკიცხეს კოლმეურნეები, რომლებსაც არ გამოუშუშავებიათ შრომის სავალდებულო მინიმუმი. ბრიგადირმა კ. ნაცვალაძემ, დასახელა ბრიგადის წევრები, რომლებმაც არ შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური პირადი დავალებები. მან აღნიშნა, რომ სოფლად ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული მოსახლეობისაგან ხილისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის შეუფერხებელი ორგანიზაცია.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს შეეხენ პედაგოგი ა. ჭეიშვილი და სასოფლო კლუბის გამგე დ. სირაძე. მათ მოითხოვეს რელიგიური ცრურწმენის წინააღმდეგ ბრძოლის, მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაღრმავებით გაძლიერება.


ყრილობა ჩატარდა არსებული ნაკლოვანებების გაბედულად გამაშვარავების, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისა და პარაზიტების დაუზოგავად მხილებისა და გაკიცხვის ნიშნით. ამაზე ლაპარაკობს ყრილობის მიერ ერთსულოვნად მიღებული დადგენილება:

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რომ ასკანისა და მზიანის კოლმეურნეობებმა შეიტანონ სათანადო ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში, გათვალისწინებულ იქნას, რომ კოლმეურნის ოჯახმა თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან დაფნის, ხილისა და სხვა პროდუქტების მთელი სასაქონლო მოსავალი მიყიდოს სახელმწიფოს. იმ პირებს, რომლებიც ცხოვრებაში არ გაატარებენ ამ წესს, საკარმიდამო ნაკვეთიდან ჩამოეჭრას ის ნაწილი, რომელზედაც გაშენებულია აღნიშნული კულტურები. ასეთივე ზომები გატარდეს სპეკულაციის ხელშემწყობი პირების მიმართაც.

2. საზოგადოებრივი შრომის თავის არიდებისა და საყოფაცხოვრებო პირობების უხეშად დარღვევისათვის მკაცრად იქნენ გაკიცხულნი რ. სვანიძე ნ. გოგიბერიძე; გაფრთხილებულ იქნან, რომ თუ სამი თვის ვადაში არ დაადგებიან შრომისა და წესიერი ცხოვრების გზას, მათ ჩამოერთმევათ საკარმიდამო ნაკვეთები და გასახლებული იქნებიან სოფლიდან სამი წლის ვადით.

3. ყოფა-ცხოვრების ნორმების უხეში დარღვევისა და ამორალური ქცევისათვის გაკიცხულ იქნას თამაზი ნინიძე, მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში დაისაჯოს უფრო მკაცრად. ყრილობამ გააფრთხილა გ. დოლიძე, ლ. გოგიბერიძე, ნ. ნაცვალაძე, ვ. ნაცვალაძე, ნ. დოლიძე, ს. ნაცვალაძე, რომ თუ მომავალშიც არ იშრომობენ კოლმეურნეობაში მონდომებით და არ შეასრულებენ შრომის სავალდებულო მინიმუმს, დაისმება საკითხი მათთვის საკარმიდამო ნაკვეთების ჩამოჭრისა და კოლმეურნეობიდან მათი გარიცხვის შესახებ.

ასეთივე პრინციპულ დონეზე ჩატარდა მშრომელთა ყრილობები, პარაზიტული ელემენტების დასჯის საკითხზე სხვა სოფლებშიც. შრომის, ნატანების, მერიის, ჯუმათის, მაკვანეთის, მელექედურისა და რიგ სხვა სოფლების



მშრომელებმა ხმა აიმაღლეს თაღლითების, ციტრუსებითა და ხილის სასაღებო ლანტების წინააღმდეგ და სოფლიდან გაასახლეს გამოუსწორებელი ელემენტები. რაიონში ასეთი მკაცრი ზომები 8 კაცის მიმართ იქნა გატარებული.

სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები სახავენ ღონისძიებებს, რათა მომავალში კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩატარდეს მშრომელთა სოფლის ყრილობები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილი მუდმივი კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან საქმის მცოდნე, ინიციატივიანი და ავტორიტეტისანი ადამიანები. ამჟამად 7 მუდმივი კომისია მუშაობს: სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბიუჯეტო-საფინანსო, საგზაო კეთილმოწყობისა და მშენებლობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, სოფლის მეურნეობისა და ახლახან დეკემბერში შექმნილი, კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისია.

კომისიებმა გეგმაზომიერად, წინასწარდასახულად გაშალეს თავიანთი საქმიანობა. რეგულარულად ტარდება კომისიების სხდომები, სადაც იხილება აქტუალური საკითხები. საჭიროების შემთხვევაში კომისიას ესა თუ ის საკითხი აღმასკომის სხდომაზე განსახილველად შემოაქვს, რასაც სათანადო რეაგირება, კონკრეტული ღონისძიება და მდგომარეობის გაუმჯობესება მოსდევს.

ჯანმრთელობის დაცვის კომისიამ, რომელსაც დებუტატი დ. სულუხია ხელმძღვანელობს, აღმასკომის სხდომას განსახილველად წარმოუდგინა ასეთი საკითხი—„მოსახლეობის სანიტარული მომსახურების მდგომარეობა მთისპირის, ფამფალეთისა და ჭანიეთის სოფლებში“.

საკითხის განხილვის შემდეგ საჭიროდ იქნა ცნობილი მოწვეულიყო სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და სამედიცინო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების თათბირი, სადაც საფუძვლიანად იქნა გაცნობილი და განხილული ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ყოველივე ამის შედეგად, რიგ სოფლებსა და თვით რაიონის ცენტრში შესამჩნევად გაუმჯობესდა სისუფთავის დაცვის მდგომარეობა, წესრიგში იქნა მოყვანილი ტერიტორიები, ქუჩები, მოედნები.

კარგი შედეგი გამოიღო აგრეთვე სახალხო განათლების მუდმივი კომისიის (თავმჯდომარე დებუტატი დ. გოგუაძე) მიერ რაიონში სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების მდგომარეობის დროულად შესწავლამ და რაიონული საბჭოს სესიაზე განსახილველად შემოტანამ.

საფუძვლიანად სწავლობენ საკითხებს და შედეგიანად მუშაობენ სხვა მუდმივი კომისიებიც. მათ გარდა რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილია აგრეთვე ისეთი საჭირო და ქმედითი კომისიები, როგორცაა ადმინისტრაციული, არასრულწლოვანთა საქმეების, მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აგებული ან შექმნილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობის გამოვლინების, მსუბუქი ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვის მომწერსრიგებელი, შრომა-გასწორების კოლონიების სამეთვალყურეო კომისიები. ისინი თვალსაჩინოდ ახმაურებენ გვიწევენ დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

მასების აქტიობის განუხრელი ზრდის ნათელი დადასტურებაა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი თვითმოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა. დიდ

მხარდაჭერას პოულობენ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების საბჭოები. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან ადგილებზე; მათი თაოსნობით იმართება სპექტაკლები და კონცერტები, პერიოდულად ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, წარძობების მოწინავეებთან, შუქურებთან, იმართება თემატურ-ლიტერატურული შეკრებები, თეორიული კონფერენციები, კონფერენციების სადამოები.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული აქტივისტ-პენსიონერთა საბჭო. მოსაწონია აგრეთვე მხარაძის მალაროთა სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს საქმიანობა. საბჭოს თაოსნობით მარტო 1963 წელს შემუშავდა 16 მნიშვნელოვანი რაციონალური წინადადება, რომელთაგან 14 დაინერგა წარმოებაში.

მაგრამ გასაკეთებელიც ჯერ კიდევ ბევრია.

საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს მართებთ მეტი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ თვითმოქმედი ორგანიზაციების საქმიანობას.

ამ ბოლო ხანებში პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა და შესანიშნავი შედეგიც გამოიღო რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებების, მუდმივი კომისიებისა და სხვა საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარებამ.

განათლების, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის, მილიციის განყოფილებებმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა და სხვა საწარმო-დაწესებულებებმა ანგარიშები ჩააბარეს ძიმითის, დვაბჟუს, ჯუმათის, მთისპირის, ვაკიჯვრის, ლაითურისა და სხვა სოფლების და დაბების მოსახლეობას, აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის, ავტო-სატრანსპორტო კანტონის, მალაროთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს.

საბჭოების კარგი მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ მათ საქმიანობაში დეპუტატები, როგორ იყენებენ ისინი აქტივს, როგორ ამზადებენ სესიებს, სხდომებს, როგორ სახავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს.

რაიონის სადაბო საბჭოს დეპუტატებს კარგად აქვთ ყოველივე ეს შეგნებული, მათ იციან, რომ საქმისათვის აუცილებელია ანგარიში ჩააბარონ თავიანთ ამომრჩევლებს, მთელი გულისყურით მოუსმინონ მათ და რეაგირების გარეშე არ დასტოვონ არც ერთი საქმიანი წინადადება, არც ერთი სამართლიანი მოთხოვნა. რაიონული საბჭოს 80 დეპუტატიდან 1963 წელს ანგარიში ჩაბარებული აქვს 75 დეპუტატს, ხოლო მიმდინარე წელს უკვე 37 დეპუტატმა ჩააბარა ანგარიში.

საანგარიშო კრებებზე წამოყენებულ იქნა ორმოცდახუთზე მეტი მნიშვნელოვანი წინადადება. ამომრჩეველთა წინადადებანი განხილულ იქნა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლითაც შესაბამის განყოფილებებსა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალებათ დაყენებული საკითხების დროულად გადაწყვეტა. რაისაბჭოს აღმასკომი თვალყურს ადევნებს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობას.

დეპუტატები განუწყვეტილად ეძიებენ ახალ ფორმებს ამომრჩევლებთან მჭიდრო კავშირისათვის, მათთან სისტემატური შეხვედრისა და ურთიერთობისათვის. ორ ადგილას — ნატანებსა და ბახვში შექმნილია დეპუტატთა ჯგუფები 15—15 კაცის შემადგენლობით. ისინი იწვევენ სხდომებს, თავს უყრიან

და იხილავენ მშრომელთა მოთხოვნებს; თუ ცალკეული დეპუტატი საკითხს ვერ წყვეტს, ზომებს ღებულობს მთელი ჯგუფი. საკითხები ამრიგად ადგილზევე ოპერატიულად წყდება, ზოგჯერ კი დეპუტატთა ჯგუფს საკითხები სოფლსაბჭოს აღმასკომის სხდომაზე გამოაქვს.

დეპუტატთა ნაყოფიერი მუშაობის, ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცების საშუალებაა დეპუტატის ოთახების შექმნა, რაც მთელ რიგ სასოფლო-საბჭოებში განხორციელდა. ამასთან, საქალაქო, სადაბო და სასოფლო-საბჭოებში შემოდებულია დეპუტატთა მორიგეობა. დეპუტატის ოთახი მოწყობილია რაისაბჭოსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომებშიც. აქ არის სტენდები, საჭირო ლიტერატურა, რაიონის მოწინავეთა მაჩვენებლების ამსახველი ფოტოკუთხეები. ეს ოთახები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ დეპუტატებსა და აქტივისტებს თავიანთი მოვალეობის შესრულებაში.

მორიგე დეპუტატები ხვდებიან მშრომელებს, ესაუბრებიან მათ, სპეციალურ ყურანალებში შეაქვთ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებები, საჩივრები, მოთხოვნები და საჭირო ღონისძიებებს ატარებენ დაყენებული საკითხების გადაწყვეტისათვის.

აქვე, დეპუტატებისა და აქტივისტებისათვის * ეწყობა თათბირ-სემინარები, საინსტრუქტაჟო საუბრები დეპუტატთა ამოცანების, უფლება-მოვალეობის, საარჩევნო ოლქებში მათი მუშაობის ორგანიზაციისა და სხვათა შესახებ.

საინტერესოა რაისაბჭოს დეპუტატის, პარტიის ძველი წევრის კ. უჯმაჯურიძის საქმიანობა. კ. უჯმაჯურიძე არ დაკმაყოფილდა ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მისვლისას თავისი ამომრჩევლების მიღებით. საჩივრებისა და განცხადებების მიღების დამთავრების შემდეგ მეურნეობის პარტიურის მდივნის ა. მიმინოშვილისა და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარის ჰ. სარიშვილის თანხლებით თვითონ წავიდა ამომრჩევლებთან, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ბინებში, გაეცნო მათ საყოფაცხოვრებო პირობებს, შეისწავლა მდგომარეობა ადგილზე. ამან საშუალება მისცა კ. უჯმაჯურიძეს მთელი რიგი საყურადღებო საკითხები წამოეჭრა თავის ამომრჩევლებთან ერთად, ქმედითი დახმარება გაეწია მშრომელებისათვის.

ამომრჩევლებთან თავისი შეხვედრისა და მდგომარეობის გაცნობის შედეგები დეპუტატმა ჩამოაყალიბა რაისაბჭოს აღმასკომში შემოტანილ მოხსენებით ბარათში, რომელშიც წამოჭრილი იყო საკითხები ნასაკირალის საავადმყოფოში ქირურგისა და გინეკოლოგის გაგზავნის აუცილებლობაზე, მახარაძენასაკირალს შორის საავტობუსო მიმოსვლის მოწესრიგებაზე, მუშათა კოლპერატის მიერ მომხმარებელთა ბოსტნეულით უზრუნველყოფაზე, ავადმყოფი მუშის ოლია ფილიპოვას ბავშვების სკოლა-ინტერნატში მოწყობაზე, მუშების ბინების გარემონტებისა და გათბობის მოწესრიგებაზე და ა. შ.

ახლა, როცა გაფართოვდა ადგილობრივი ორგანოების უფლებები და გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა, მათ საქმისადმი მეტი შემოქმედებითად მიდგომა მოეთხოვებათ. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის გამოვლენის მაგალითია გურიანთის სასოფლო-საბჭოს გაფართოებული სესიის მონაწილეთა მოწოდება რაიონის ყველა ადგილობრივი საბჭოსადმი, ყველა მშრომელისადმი. სესიამ 1963 წელს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელის ამოცანების შესახებ სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარის უ. მაღაზონისა, მოხსენების შემდეგ ყოველმხრივ აწონ-დაწონა სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობანი, რეზერვები და ერთსულოვნად გადაწყვიტა აეღო ახალი გაზრდილი ვალდებულებანი სახელ-

მწიფოსათვის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიყიდვის, სოფლის კეთილმოწყობისა და მშენებლობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევების აღმოფხვრისათვის. „გადაწყვეტილი გვაქვს პირველ ოქტომბრამდე შევასრულოთ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და საფინანსო გეგმები“. „მოწოდებით მივმართავთ რაიონის ადგილობრივ საბჭოებს, თვითეულ მშრომელს გადასინჯონ თავიანთი შესაძლებლობანი და მიიღონ ყველა ზომა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, სახელმწიფოსათვის მიყიდვის, სოფლის კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების უზრუნველსაყოფად“.

ახლა რაისაბჭოს აღმასკომი მიზანდასახულ მუშაობას ატარებს იმ მიმართებით, რომ გუტიანთელთა პატრიოტულ მოწოდებას ახალი ვალდებულებებითა და კონკრეტული საქმეებით გამოეხმაურონ რაიონის სხვა სასოფლო საბჭოების მშრომლებიც.

ასევე, ახლის ძიების ერთ-ერთი მაგალითია საბჭოთა მუშაკების სკოლის შექმნა, რაც წლის დასაწყისში განხორციელდა. ეს არის საბჭოთა კანონმდებლობის შემსწავლელი სკოლა, რომელშიაც გაერთიანებული არიან საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები. სკოლას აქვს წლიური თემატიკა, მეცადინეობები ტარდება თვეში ერთხელ.

პრაქტიკაში ვნერგავთ კიდევ ერთ სასარგებლო სიახლეს: 14 თებერვალს, რაისაბჭოს აღმასკომის სესიის ჩატარების შემდეგ სესიის გადაწყვეტილებების გაცნობას და თვითეულ მშრომელამდე დაყვანას მოახდენენ დეპუტატები თვითეულ საარჩევნო ოლქიდან. ეს გაგრძელდება შემდეგშიც. ყოველი სესიის მუშაობის შედეგებს უშუალოდ დეპუტატი გააცნობს თავის ამომრჩევლებს.

საბჭოებში მასობრივ-ორგანიზაციულ სამუშაოებში აქტივის დიდი არმიაა ჩაბმული. რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატების — მშრომელთა მასების ამ მოწინავე რაზმის წევრთა რაოდენობა 942 კაცს აღწევს, რაისაბჭოს აღმასკომთან, საქალაქო, ორ სადაბო და 24 სასოფლო საბჭოსთან არსებობს და შედეგიანად საქმიანობს 145 კომისია, 609-ს შეადგენს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი თვითმოქმედი ორგანიზაციების რიცხვი.

რაისაბჭო ითვისებს, რომ რაც უფრო ინიციატივიანი იქნება დეპუტატებისა და აქტივის საქმიანობა, რაც უფრო მტკიცე იქნება ამომრჩევლებთან მათი კავშირი, მით უფრო მაღალნაყოფიერი იქნება საბჭოების საქმიანობა, მით უფრო შედეგიანი იქნება მშრომელთა ბრძოლა კომუნის გამარჯვებისთვის.



8. მოსახიანი

დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ცნებისა და საერთოდ დამამტკიცებელი საბუთების წყაროების საკითხები, დღემდე სადავოა საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში.

მოკავშირე რესპუბლიკების ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობაში მოცემული იყო დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ჩამოთვლა, მაგრამ მათ არასწორად უწოდებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს, კოდექსები არ იძლეოდნენ დამამტკიცებელი საბუთების და დამამტკიცებელი საბუთების წყაროების განმარტებას.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ასეთი გაგება საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში მაშინვე იყო გაკრიტიკებული, მაგრამ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა თეორიამ, რომლის თანახმადაც, როგორც დამამტკიცებელი საბუთების წყაროები, ასევე საქმის ფაქტიური მონაცემები იწოდებოდნენ დამამტკიცებელ საბუთებად.¹

ზოგიერთ შემთხვევაში ასევე წყდებოდა ეს საკითხი სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაშიც².

უფრო მეტიც, დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ასეთი გაგება მოცემული იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის 22-ე მუხლში, მაგრამ იგი კანონმდებლის მიერ უკუგდებული იქნა.

სასამართლო წარმოების საფუძვლებმა განსაზღვრეს დამამტკიცებელი საბუთების და დამამტკიცებელი საბუთების წყაროს ცნება, შეავსეს დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ჩამოთვლა. მიუხედავად ამისა ზოგიერთი პროცესუალისტი მიიწვ ურევს ამ ცნებებს. ზემოთ ზოგი ავტორი, როგორც დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს, ასევე საქმის ფაქტიურ მონაცემებს კვლავ უწოდებს დამამტკიცებელ საბუთებს³, ხოლო ნაწილი დამამტკიცებელ საბუთების წყაროებსა და საქმის ფაქტიურ მონაცემებს მათ ერთიანობაში უწოდებს დამამტკიცებელ საბუთებს.⁴

დამამტკიცებელი საბუთების წყაროები და საქმის ფაქტიური მონაცემები უდაოდ იმყოფებიან განსაზღვრულ ურთიერთკავშირში, რადგან დამამტკიცებელი საბუთების წყაროები წარმოადგენენ კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს, რომლის გამოკვლევისა და შეფასების გზით დგინდება დამამტკიცებელი საბუთები.⁵

¹ М. С. Строгович, Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе. Издательство АН СССР. 1955 г.

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წ. 2-ს/IV ვ.გ.წინება ეს. ოგანესიანის და სხვების საქმეზე.

Бюллетень Верховного суда СССР. 1957 г., № 3, стр. 27.

³ Я. О. Мотовиловкер. Некоторые вопросы теории советского уголовного процесса в свете нового уголовно-процессуального законодательства. Кемерово. 1962 г., стр. 92 и др.

⁴ В. А. При ту з о в а. Заключение эксперта как доказательство в уголовном процессе. Госюриздат. 1959 г., стр. 11; П. Т. Ульянова. Оценка доказательств судом первой инстанции. Госюриздат. 1959 г., стр. 11; А. Вынберг, Г. Кочаров, Г. Миньковский. Актуальные вопросы теории судебных доказательств в уголовном процессе. „Социалистическая законность“. 1963 г. № 3, стр. 23.

⁵ დამახასიათებელია რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 17 მუხლის 2 ნაწილით დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს ეწოდება იტკიცების საშუალება, მაგრამ ჩვენის მოსაზრებით უფრო მიზანშეწონილია ტერმინი „დამამტკიცებელი საბუთების წყაროები“. იგი ტერმინთან „მტკიცების საშუალებები“ შედარებით უფრო ზუსტად გადმოგვცემს ამ ცნების აზრს.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა თუმცა უშვებს დამამტკიცებელ საბუთების წყაროების ცნების ცალკეულ არაზუსტ განსაზღვრას, მაგრამ ეს საკითხის არასწორი გადაწყვეტაა. აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ საფუძვლების მე-16-ე მუხლით, რომელშიც მოცემულია დამამტკიცებელი საბუთების განსაზღვრა და ამომწურავადაა ჩამოთვლილი დამამტკიცებელი საბუთების წყაროები.¹

ეს საკითხი საფუძვლების მიხედვით გადაწყვეტილია, უკრაინის სსრ სსს კოდექსის 82-ე მუხლით, რომლის მიხედვით საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები, შედგენილი და გაფორმებული კოდექსით გათვალისწინებული წესით ეწოდება დამამტკიცებელი საბუთების წყაროები.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში მიღებულია დაყოფა დამამტკიცებელი საბუთების წყაროებისა თავდაპირველად და ნაწარმოებად.² მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა ასეთი კლასიფიკაცია გამოგვეყენებინა იმისათვის, რომ დამამტკიცებელი საბუთების წყაროები დაგვეყო სრულყოფილ და არასრულყოფილ დამამტკიცებელ საბუთებად, ანდა დაგვედგინა წესი, რომლის თანახმად ნაწარმოები დამამტკიცებელი საბუთების წყაროები მიგვეჩნია ნაკლებ მნიშვნელოვან თავდაპირველ დამამტკიცებელ წყაროებთან შედარებით.

ლოგიკურად შესაძლებელია, რომ თავდაპირველი წყარო ფაქტის შესახებ მივიჩნიოთ უტყუარად, მაგრამ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ხდება პირიქით. ამიტომ ეს დებულება, არ შეიძლება მივიღოთ წესად. პრაქტიკაში ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა მოწმემ, რომელმაც სხვა პირისაგან გაიგო ამა თუ იმ ფაქტის არსებობა სწორ ზეგნებას გვაძლევს, მაშინ, როდესაც ამ ფაქტის დამსწრე პირი იძლევა ცრუ ან შეცდომით ზეგნებას, ანდა შემთხვევა მაგალითად, როცა დედანში შეაქვთ რაიმე ცვლილება ასლის გადაღების შემდეგ.³ ამის გამო დამამტკიცებელი საბუთების წყაროების კლასიფიკაციის დროს მხედველობაშია მისაღები ალბათობა — უფრო სწორი ცნობების მიღება უახლოეს წყაროებიდან. ცნობების უტყუარობა კი ფაქტების შესახებ უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.⁴

ყოველი დამამტკიცებელი საბუთის წყარო შეიძლება შეიცავდეს უტყუარ ცნობებს საქმის ფაქტიური მონაცემების შესახებ, რომლის არსებობაც უნდა განისაზღვროს მისი მოკვლევა-შეფასების გზით.

¹ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ჩამოთვლა კინო-ფოტო დოკუმენტებით, ხმოვანი დოკუმენტებით და შედარებითი გამოკვლევის ნიმუშებით. ჩვენ ვფიქრობთ რომ ამ წყაროების გამოყენება უდაოდ ხელს უწყობს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანების შესრულებას, მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი დამოუკიდებელ წყაროებად მივიჩნიოთ, თითოეული მათგანი არის დამამტკიცებელი საბუთების ისეთი სახის წყარო, როგორცაა დოკუმენტები ან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები.

² ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი. 1963 წ. გვ. 195; М. С. Строгович. Курс советского уголовного процесса. Издательство АН СССР. 1958 г., стр. 203; М. А. Чельцов. Советский уголовный процесс. Госюриздат. 1962 г., стр. 143 და სხვ.

³ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წ. 24 სექტემბრის განჩინება. ელ. მანუკიანის საქმეზე. Бюллетень Верховного суда СССР, 1961 г., № 2, стр. 23.

⁴ М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, Госюриздат, 1962 г., стр. 145.



დამამტკიცებელი საბუთების წყაროების შეფასება ნიშნავს მათი ვარგისიანობის და მათში მოყვანილი ცნობების უტყუარობის დადგენას. ამავე დროს დადგენილ უნდა იქნას დამამტკიცებელი საბუთების წყაროების დასაშვებლობა, უნდა გაირკვეს თუ რამდენად დაცულია ცნობების შეგროვების წესები, და რამდენად სწორადაა საქმეში გამაგრებული ცნობები ფაქტების შესახებ.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროების დასაშვებლობის ქვეშ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში იჯულისხმება გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მხრივ ცნობების გამოყენება მხოლოდ განსაზღვრულ კანონით გათვალისწინებული დამამტკიცებელი საბუთების წყაროებიდან (საფუძვლების მე-16-ე მუხლის 2 ნაწილი). რაც შეეხება სხვა ცნობებს, რომელიც ადრე ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო პრაქტიკაში (მაგალითად, ანონიმური წერილი, მაძებარი ძაღლის გამოყენება), ესენი უარყოფილია, როგორც პრაქტიკით, ასევე თვით კანონმდებლობის მიერ. ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ოპერატიული მიზნით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1955 წლის 10 დეკემბრის განჩინებაში წერია: „თვით ფაქტი—მაძებარი ძაღლის მიყვანა ფ-ს სახელში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დამამტკიცებელ საბუთად ფ. წინააღმდეგ“¹.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროდ დასაშვებლობის საკითხის განხილვისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ზოგჯერ კანონი ზღუდავს გარკვეულ ცნობების გამოყენებას (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 65-ე მუხლი). სხვა შემთხვევაში კანონი კატეგორიულად მიუთითებს დამამტკიცებელი საბუთების წყაროებზე, რომლის გამოკვლევის და შეფასების გზით უნდა დადგინდეს გარკვეული ფაქტები, (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 71-ე მუხლი). მაგრამ ეს გარემოება იმას არ ნიშნავს რომ მაგალითად ექსპერტის დასკვნა, ან სხვა რომელიმე საბუთის წყარო, არის უკეთესი და სხვა — უარესი. თითოეული დამამტკიცებელი საბუთის წყარო ფასდება კონკრეტულ შემთხვევაში და დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დგინდება ფაქტი, დამამტკიცებელი საბუთი.

მიუხედავად ამისა, უახლოეს წარსულში საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა სხვა შეხედულებებსაც.

ამ საკითხზე უხეში შეცდომა ჰქონდა დაშვებული ვიშინსკის. მან ვადაწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ექსპერტის დასკვნასა და ნივთიერ მტკიცებულებებს. უწოდებდა რა მათ ბუნებრივს, არა ხელოვნურს, უტყუარს. ვიშინსკიმ შექმნა თავისებური „თეორია“, რაც უხეშად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ნორმებს. მან ზიანი მიაყენა საბჭოთა სასამართლოების პრაქტიკულ საქმიანობას.

ვიშინსკი სთვლიდა, რომ ბრალდებულის აღიარება კარგავს თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადგენილია დამამტკიცებელი საბუთებით, რომლის ცნობებიც მიღებულია სხვა დამამტკიცებელი საბუთების წყაროებიდან.

დამამტკიცებელი საბუთების სწორად შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ რამდენად დაცულია კანონი დამამტკიცებელი საბუთების წყაროებიდან ცნობების მიღების საშუალების, მათი შემოწმების

¹ Судебная практика Верховного суда СССР. 1956 г., № 2, стр. 20.

შესახებ, რადგან ყოველივე ეს უშუალო გამოხატულებას პოულობს ფაქტების შესახებ ცნობათა უტყუარობაზე. ამიტომ საქართველოს სსრ სსს კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი კონკრეტულად კრძალავს ბრალდებულისაგან ჩვენების გამოძალვას ძალადობისა და სხვა უკანონო ღონისძიებათა გამოყენების გზით.

მხოლოდ მაშინ, როცა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დაგრწმუნდებით დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ვარგისიანობასა და ფაქტების შესახებ ცნობების უტყუარობაში, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქმის ფაქტიური მონაცემები დადგენილია.

ამაში მდგომარეობს ურთიერთკავშირი, დამამტკიცებელი საბუთების წყაროებსა და საქმის ფაქტიურ მონაცემებს შორის, რომლის დასადგენად არის მიმართული დამამტკიცებელი საბუთების წყაროების გამოკვლევა და შეფასება.

იმ შემთხვევაში თუ არ იქნება გარკვეული საქმის გარემოებანი, თვით ფაქტების აღიარება საეჭვო იქნება, მსგავსი „ფაქტები“ არ შეიძლება დაედოს საფუძვლად საქმის დასკვნების გამოსატანად¹.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროების გამოკვლევა პირველ რიგში გულისხმობს მის ანალიზს, ხომ არ იყო ის მოქცეული რაიმე გავლენის ქვეშ, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მასში გადმოცემულ ცნობებს, ან დამამტკიცებელ საბუთების წყაროს ვარგისიანობას.

ასე მაგალითად, მოწმე შეიძლება დაინტერესებული იყოს საქმის მსვლელობით, ბრალდებული დაშინებულია და სხვა². ეს შემოწმება ხდება იმის დასადგენადაც შეეძლო თუ არა მოწმეს სწორად აღეჭვა ფაქტი, დაემახსოვრებინა და ვადმოეცა ცნობები მის შესახებ, რადგან ყოველივე ამან შეიძლება გავლენა იქონია მოწმის ჩვენებაზე, და ამის გამო დანაშაულის სურათის ზუსტ აღდგენაზე.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროების ვარგისიანობის გამორკვევა მიმდინარეობს აგრეთვე ამ წყაროების ურთიერთ დაპირისპირებით და ახალი დამამტკიცებელი საბუთების წყაროების აღმოჩენით. ყოველ შემთხვევაში დამამტკიცებელი საბუთების წყაროების შემოწმების პროცესი უნდა ჩატარდეს გულდასმით, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (საქართველოს სსრ სსს კოდექსის მე-18 მუხლი) დამამტკიცებელი საბუთების წყაროების გამოკვლევას თან სდევს მასში მოცემულ ცნობების შეფასება, რომლის მიზანია მათი უტყუარობის დადგენა.

ცნობების უტყუარობის დადგენა არის მთავარი ამოცანა დამამტკიცებელი საბუთების წყაროების შეფასებისთვის, რადგან მხოლოდ მათი დანმარებით შეიძლება დადგინდეს ობიექტური სინამდვილე.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს გააჩნიათ განსაზღვრული სპეციფიკა. სპეციფიურია მათი შემოწმება და შეფასებაც, მაგრამ მათ შორის არის ბევრი საერთოც და, პირველ რიგში ის, რომ ყველა ისინი გამოიყენებიან დამამტკიცებელი საბუთების დასადგენად, რომლის საფუძველზეც ხდება საქმის ირგვლივ დასკვნების გამოტანა.

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1942 წ. 22 დეკემბრის განჩინება ვ. ა. საროიანის საქმეზე. Бюллетень Верховного суда СССР. 1963 г., № 1, стр. 26.

² საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლეუმის 1957 წ. 11 აპრილის დადგენილება გოლოვჩენკოს საქმეზე. Бюллетень Верховного суда СССР. 1957 г., № 3, стр. 8.

თითოეული დამამტკიცებელი საბუთის წყაროს შეფასებით შეიძლება დადგინდეს, როგორც ერთი, ცალკე აღებული დამამტკიცებელი საბუთი, ასევე რამოდენიმე დამამტკიცებელი საბუთი, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირიც. ვადგენთ რა დამამტკიცებელი საბუთის წყაროს ვარგისიანობას და მიღებული ცნობის უტყუარობას ჩვენ ამით ვადგენთ ფაქტის — დამამტკიცებელი საბუთის არსებობას.

თითოეული დამამტკიცებელი საბუთით შეიძლება დადგინდეს რამდენიმე დამამტკიცებელი საბუთების წყაროების გამოკვლევა-შეფასება.

მაგრამ შეიძლება თუ არა დამამტკიცებელი საბუთის ერთ-ერთი წყაროს შესწავლისა და შეფასების დროს დადგინდეს ფაქტიური მონაცემების ერთობლიობა, რაც საკმარისი იქნება საქმეში არსებული ყველა საკითხის გადასაჭრელად?

ეს საკითხი დღემდე რჩება სადავოდ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში¹.

რასაკვირველია, სასურველია, რომ ერთი დამამტკიცებელი საბუთის წყაროდან მიღებული ცნობების შემოწმება მოხდეს საქმეში არსებულ სხვა მასალებთან შესაბამისად, მათ შორის მიღებული სხვა დამამტკიცებელი საბუთების წყაროების საშუალებითაც, მაგრამ ამ პირობის უქონლობა სრულიადაც არ გამოორიცხავს ცნობების შემოწმების შესაძლებლობას საერთოდ.

ცნობების უტყუარობას ფაქტების შესახებ ჩვენ ვამოწმებთ მათი ურთიერთდაპირისპირებით, მაგრამ ეს არ არის დამამტკიცებელი საბუთების წყაროებიდან ამა თუ იმ პირობებში ცნობის უტყუარობის დადგენის ერთადერთი საშუალება. ამიტომაც თუ დამამტკიცებელი საბუთების წყაროები გვაძლევს ცნობებს ფაქტის შესახებ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ დამამტკიცებელი ფაქტები და თითოეული მათგანი იქნება დამოუკიდებელი დამამტკიცებელი საბუთი, რომლებიც ერთობლიობაში შეიძლება საკმარისი საფუძველი გახდეს სისხლის სამართლის ყველა საკითხის გადასაწყვეტად.²

მაგრამ პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, როცა მტკიცების საგანი მთლიანად დგინდება საქმის ისეთი ფაქტიური მონაცემებით, რომლის შესახებ ცნობები მიღებულია ერთი და იგივე დამამტკიცებელი საბუთის წყაროდან, თუმცა ასეთი შესაძლებლობა გამოორიცხული არ არის.³ ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში ისმება საკითხი ყველა დამამტკიცებელი საბუთის წყაროს აუცილებელ მოკვლევა შეფასებების შესახებ, მიუხედავად, მათი რაოდენობისა.⁴

ყოველი სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელია გამოკვლევა და შეფასება ისეთი დამამტკიცებელი საბუთების წყაროების რაოდენობის და ისეთი

¹ М. П. Шаламов, Теория улик, Госюриздат, 1960 г., стр. 41; Л. Т. Ульянова Оценка доказательств судом первой инстанции, Госюриздат, 1960 г., стр. 9 и др.

² М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, Госюриздат, 1951 г. стр. 160.

³ А. Н. Васильев, Г. Н. Мудьюгин, Н. А. Якубович. Планирование расследования преступлений. Госюриздат. 1957 г., стр. III.

⁴ С. А. Голунский. Вопросы доказательственного права в основах уголовного судопроизводства Союза ССР и союзных республик. Сборник. „Вопросы судопроизводства и судоустройства в новом законодательстве Союза ССР и союзных республик. Госюриздат. 1959 г. стр. 151.

საქმის ფაქტიური მონაცემების ერთობლიობისა, რომლებიც საქმეზე ყველა საკითხის გადასაწყვეტად ქმნიან საკმარის შინაგან რწმენას¹.

მაგრამ ამა თუ იმ ცნობების გამოკვლევამ და შეფასებამ შეიძლება არ მიგვიყვანოს დამამტკიცებელი საბუთების დადგენამდე. მსგავსი ცნობები არ შეიძლება მიეკუთვნოთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროების რიცხვს, რადგან საფუძვლების მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის წინააღმდეგ ისინი არ ადგენენ დამამტკიცებელ საბუთებს.

საგამომძიებლო და სასამართლო განხილვის პროცესში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა დამამტკიცებელი საბუთების წყაროების გამოკვლევის და შეფასების შედეგად დგინდება მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც არ არის საკმარისი გარკვეული დასკვნების გამოსატანად საქმის არსებით მხარეზე, მაგრამ ამავე დროს გვაძლევენ შესაძლებლობას ალბათობითი დასკვნების გამოსატანად მათი არსებობის შესახებ. ძირითადად ეს ეხება ექსპერტების დასკვნას, რომლებიც ასეთ შემთხვევებში იწოდებიან ალბათობითად.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში სადავოა საკითხი ექსპერტის ალბათობითი დასკვნის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ექსპერტის ალბათობითი დასკვნა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქმეზე დასკვნებისათვის, რადგან, იგი უტყუარ დამამტკიცებელ საბუთს ვერ ადგენს.² მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ექსპერტის ალბათობით დასკვნას მოჰქონდეს რაიმე ზიანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, რომ მას არ შეუძლია გადაიქცეს უტყუარად.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა უტყუარ ცნობად ღებულობენ ნაწილს მხოლოდ მოწმის ჩვენებისა ან სხვა დამამტკიცებელი საბუთის წყაროს.

სწორად მსგავსი დამამტკიცებელი საბუთის წყაროს მთლიანად უკუაგდებენ.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ჩვენ მიგვაჩნია არასწორად, რადგან იმ შემთხვევაში თუ ცნობების ნაწილი, მიღებული ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის წყაროდან, პოვებს თავის დადასტურებას საქმის ობიექტურ მონაცემებში, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს არასრულყოფილად და, ამგვარად, გამოყენებული უნდა იქნეს დამამტკიცებელ საბუთების დასადგენად.

ამგვარად, საქმის ფაქტიური მონაცემების დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთების ის წყაროები ან მისი ის ნაწილი, რომელიც ამართლებს თავის დანიშნულებას.

¹ И. Д. Перлов, Судебное следствие в советском уголовном процессе, Госюриздат. 1955 г. стр. 52.

² Бюллетень Верховного суда РСФСР, 1963 г., № 4, стр. 10.

ზოგიათი კავშირის საშიშ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოსწორება



ა. გეგია,

გორის სარაიონთაშორისო პროკურორი

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ ხანებში აღმინისტრაციული ორგანოების ყურადღება არა ერთხელ გაამახვილა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე. განხორციელდა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვისათვის.

ბევრი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი საშიშ დანაშაულობათა ჩადენის უამრავ ფაქტს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ბრძოლა არადაამაყყოფილებლად წარმოებს, რომ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულია — განზრახი მკვლელობა — ადამიანის სიცოცხლის დანაშაულებრივი ხელყოფა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკვლელობის საქმეთა დროულად გახსნას, მის სრულყოფილად გამოძიებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ გაუხსნელი მკვლელობის რიცხვი საქმაოდ გვზვდება. როგორც საქმეთა დეტალური შესწავლით ირკვევა, მკვლელობის საქმე არ იხსნება და დამნაშავენი მხილებულნი არ არიან, არა იმიტომ, რომ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით რთული მეთოდებით, ანდა იმიტომ, რომ დამნაშავეებმა მოხერხებულად შესძლეს კვალების მოსპობა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ გამოძიების მიერ დაშვებულია სერიოზული ხასიათის შეცდომები. ხშირად შემთხვევის ადგილზე მოკვლევის და პროკურატურის ორგანოების მუშაკები დაგვიანებით ცხადდებიან, შემთხვევის ადგილს ათვალიერებენ ზერელედ და არაკვალიფიციურად, სათანადოდ არ იყენებენ კრიმინალისტიკის მიღწევებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს.

მკვლელობის საქმის დამახასიათებელია მისი სირთულე. პირს, რომელიც ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს, შეგნებული აქვს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ამიტომ ცდილობს დანაშაული ისე ჩაიდინოს, რომ მისი მხილება შეუძლებელი გახდეს.

მკვლელობა ძირითადად ხდება მოწმეთა დაუსწრებლად. ამიტომ საქმის გახსნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის სწორად შეფასებას, იმ კვლების და ნივთმტკიცებების შეგროვებასა და უნარიანად გამოყენებას, რომლებიც დამნაშავემ შემთხვევის ადგილზე დასტოვა. მკვლელი ცდილობს შეცვალოს შემთხვევის ადგილის სურათი, მოსპოს დანაშაულის კვალი; ის კვლები, რომლის განადგურება დამნაშავემ ვერ შესძლო, შეიძლება შემდეგში შეიცვალოს ან სრულებით გაქრენ. ასე მაგალითად, თითის ანაბეჭდები იშლება ატმოსფერული ზემოქმედებით, ხოლო ფეხისა და სატრანსპორტო საშუალებათა კვლები იტკეპნებიან ან იშლებიან წვიმის გამო და სხვა.

მკვლელობის გახსნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გამოძიების ოპერატიულობა, სავამომძიებლო ვერსიების ყოველმხრივი და ამომწურავი დამუშავება, სავამომძიებლო მოქმედებათა სწორად შერჩევა, მათი მოხერხებულად გამოყენება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მკვლელობის საქმეთა გაუხსნელობის მთავარი მიზეზია ის, რომ გამომძიებლები ვერ იჩენენ საჭირო ოპერატიულობას, ვერ ირჩევენ სწორ ტაქტიკურ ხერხებს, ოსტატურად ვერ იყენებენ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევას. ზოგჯერ პროკურატურის მუშაკები ერიდებიან დაესწრონ გვამის გაკვეთას. ეს არასწორია. გამომძიებლის დასწრება გვამის სასამართლო-სამედიცინო შემოწმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსსკ 185-ე მუხლით, სადაც ნათქვამია: „გვამის გაკვეთასთან დაკავშირებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების დროს გამომძიებლის დასწრება, როგორც წესი, აუცილებელია“.

გამომძიებელი გვამის სასამართლო-სამედიცინო გაკვეთის მოწმე კი არ უნდა იყოს, არამედ აქტიურად მონაწილეობდეს გამოკვლევაში. მან თავისი თვალთ უნდა ნახოს ყოველივე, რაც გამოსახულია გვამზე; შესაძლებელია გვამის გამოკვლევის დროს საჭირო გახდეს ექსპერტიზის წინაშე დამატებითი საკითხების დაყენება და სხვა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გვამის დეტალურად და სრულყოფილად გამოკვლევას, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს:

თელავის რაიონის სოფ. შალაურის ტყეში ნაპოვნი იქნა მოქ. ოდოშაშვილის გვამი მკვლელობიდან 30 დღის შემდეგ, ძალზე გაზრწნილ მდგომარეობაში.

შემთხვევის ადგილი დათვალიერებულ იქნა პროკურატურის და მილიციის მუშაკების მიერ ექიმ-ექსპერტის მონაწილეობით.

სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის აქტის მიხედვით არ აღინიშნებოდა გვამის რაიმე გარეგანი დაზიანება. სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელი გახდა. ვინაიდან გვამის გვერდით ნაპოვნი იქნა კონიაკის ცარიელი ნახევარლიტრიანი ბოთლი, მიჩნეულ იქნა, რომ ადგილი აქვს ფიზიოლოგიურ სიკვდილს. გამოძიება მივიდა იმ დასკვნამდე, თითქოს ოდოშაშვილი გარდაიცვალა ალკოჰოლური სასმელის მიღებისა და ძლიერი სიმთვრალის შედეგად, თუმცა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ იძლეოდა ვერსიის განვითარების საშუალებას. იმის გამო, რომ ოდოშაშვილი მკვლელობის დღეს იმყოფებოდა საეჭვო პირებთან, ხოლო უკანასკნელნი ამ ფაქტს ნაწილობრივ უარყოფდნენ, ამასთან მათი ჩვენებები სავსე იყო წინააღმდეგობებით, მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი საქმის აღდგენა და გამომძიებლის ჩატარება მკვლელობიდან წელიწად-ნახევრის გასვლის შემდეგ.

დანაშაულის გახსნა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული: როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ექიმ-ექსპერტს არ ჰქონდა დადგენილი სიკვდილის მიზეზი, არ აღინიშნებოდა გარეგანი დაზიანება, შინაგანი ორგანოები არ იყო გამოკვლეული, შემთხვევის ადგილზე რაიმე კვალი ან ნივთმტკიცება, რომელსაც მნიშვნელობა ექნებოდა საქმისათვის არ აღმოჩნდა.

შედგენილ იქნა ოპერატიული ვერსია. მოფიქრებულად ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ოდოშაშვილი მოკლული იქნა თავში ბლაგვი საგნის დარტყმით. ბრალდებულებმა აღიარეს, რომ ოდოშაშვილს ბრ. ქევხიშვილმა თავში დაარტყა ავტომატის ძრავის ასამუშავებელი სახელური, რითაც იგი ჩააგდო ტრავმულ შოკში. შემდეგ ოდოშაშვილი გადაიყვანეს ახლო მდებარე ტყეში და დაახრჩვეს ყელში ხელის წაჭერით.

იმის გამო, რომ გამოძიების მასალები და სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის დასკვნა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, ჩატარდა გვამის ეგზვუმაცია. გვამის ეგზვუმაციამდე დაკითხულ იქნენ შემთხვევის ადგილის დამთვალეირებელი პირები, აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიც. დაკითხვით გამოირკვა, რომ ვინაიდან გვამი ძალზე გახრწნილი იყო, იგი დეტალურად არ გამოუკვლევიათ, არ დაუთვალეირებიათ ძვალოვანი ნაწილები, არ გაუხსნიათ თავის ქალა და ისე შეადგინეს აქტი, რის გამოც სიკვდილის მიზეზი ვერ იქნა დადგენილი.

ეგზვუმაციის შედეგად დეტალურად იქნა დათვალეირებული ყველა ძვალოვანი ნაწილები, მათ შორის თავის ქალა. დადგინდა, რომ ქალა კეფის ძვლის მარცხენა ნახევარში ვაზნარული იყო. თავის დროზე რომ გვამი დეტალურად გამოკვლეულიყო იგი ვადადვილებდა დანაშაულის გახსნას და დამნაშავეთა დასჯას. ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, ორი წლის განმავლობაში მკვლელები არხეინად თარეშობდნენ და რამდენიმე სხვა დანაშაულიც ჩაიდინეს.

გორის რაიონის სოფ. კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ყანაში ნაპოვნი იქნა მოქ. ა. მეზვრიშვილის გვამი. გვამის გამოკვლევით გამოირკვა, რომ მეზვრიშვილი მოკლული იყო ცეცხლმსროლელი იარაღით. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იქნა გასროლილი ცარიელი მასრა, გვამთან ასი მეტრის დაშორებით აღმოჩნდა შებოლილი, დაკმუჭნული ქალაღის ნაგლეჯი. ჩანდა, რომ ამით უნდა ყოფილიყო დატენილი კარტეჩი. გამოკვლევით გამოირკვა, რომ იგი იყო ვაზეთ „კომუნისტის“ 13 აგვისტოს ნომრის ნახევი. მას ფანქრით ეწერა „შურა“ და „ივ“. გამოძიებამ გადაწყვიტა დაედგინა ვის მიერ იყო შესრულებული ვაზეთზე წარწერა. დაკითხული იქნა ვაზეთის დამტარებელი, რომელმაც უჩვენა, რომ წარწერა შესრულებულია მის მიერ. ამ წარწერით ვაზეთი ჩაბარდა ადრესატს — შურა ლოლიჯაშვილს.

გამოძიების სამსახურში იქნა ჩაყენებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაც. გვამის გაკვეთის შედეგად ამოღებული იქნა ტყვიის ნაჭრები — კარტეჩები.

გაიჩხრიკა ლოლიჯაშვილის ბინა. ამოღებული იქნა პატრონტაში. მასრებიდან ამოღებული ტყვიის ნაჭრები ექსპერტის დასკვნით იდენტური აღმოჩნდა შემთხვევის ადგილის დათვალეირების დროს აღმოჩენილ ტყვიის ნაჭრებთან. სხვა მასრებიც იმავე ვაზეთის ნახევით იყო დატენილი. მკვლეელი იძულებული გახდა თავი დამნაშავედ ეცნო და მიგვითითა, თუ სად დამალა თოფი მკვლელობის ჩადენის შემდეგ.

დანაშაულის გახსნასა და დამნაშავეთა მხილებაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ბალისტიკური, ტექნიკური, ქიმიური და სხვა სახის ექსპერტიზები. ისინი მეტად დიდ დახმარებას გვიწვევენ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტის დასკვნები ხელსაც კი უშლის გამოძიებას. ეს განსაკუთრებით შეეხება კრიმინალისტური ლაბორატორიის ავტო-ტექნიკურ ექსპერტების საქმიანობას.

სასამართლოებისადმი მითითება, რომ ყოველ ავტო-ავარიის საქმეზე აუცილებლად უნდა ჩატარდეს ავტო-ტექნიკური ექსპერტიზა, ეწინააღმდეგება მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, კერძოდ კი 71-ე მუხლს.

როდესაც საქმეში არსებული მასალებით დადგენილია მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ

შედგეს შორის, ავტო-ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა არაფრით არ არის გამართლებული.

გორის რაიონის სახალხო სასამართლოს ინიციატივით ჩატარდა ავტო-ტექნიკური ექსპერტიზა ბრალდებულ ჯიქიას საქმეზე.

ჯიქიას ბრალი დაედო იმაში, რომ მიმდინარე წლის პირველ თებერვალს მართავდა რა პირადი საკუთრების მანქანას — „ზიმს“, დაარღვია მოძრაობის წესები. როდესაც გვერდს უვლიდა გაჩერებულ ავტობუსს, საიდანაც ჩამოსული მგზავრები გადადიოდნენ ქუჩაში, არ შეანელა სიჩქარე და ავტომანქანა დააჯახა გზაზე გადამავალ მოქალაქე დილმილაშვილს. დაზარალებული ადგილზევე გარდაიცვალა.

საქმეში არსებული მასალებით აუცილებელი არ იყო ექსპერტიზის ჩატარება, რადგან დადგენილი იყო, თუ კონკრეტულად მოძრაობის რა წესები დაარღვია მძღოლმა.

ავტო-ტექნიკური ექსპერტის დასკვნის მიხედვით, მძღოლს მოძრაობის წესები თითქოს არ დაურღვევია. სასამართლომ დასკვნა მიიღო ყოველგვარი კრიტიკის გარეშე და მძღოლი გაამართლა.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ ჩიბურდანიძის ბრალდების საქმეზე ჩაატარა ავტო-ტექნიკური ექსპერტიზა.

ჩიბურდანიძეს ბრალი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა ქვემო ხანდაკის სანერგე მეურნეობის დირექტორად, მართავდა ამავე მეურნეობის სატვირთო ავტომანქანას, დაარღვია მოძრაობის წესები, განავითარა გადამეტებული სისწრაფე და მანქანა დააჯახა მოქ. გულარიშვილს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი ადგილზევე გარდაიცვალა. სახალხო სასამართლომ ჩიბურდანიძე ავტო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაამართლა.

ორივე შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ მასალებს; სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ პროკურატურის პროტესტი დააკმაყოფილა და განაჩენები ორივე საქმეზე გააუქმა.

საჭიროა, რომ გამოძიებამ და სასამართლომ კრიტიკულად შეაფასონ ექსპერტის დასკვნები და მხოლოდ ამის შემდეგ მისცენ მათ დამამტკიცებელი საბუთის ძალა.

სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკის შესწავლით ჩანს, რომ ისეთი სახის საშიში დანაშაულობანი, როგორცაა განზრახი მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ბოროტი ხულიგნობა და სხვა ჩადენილია უმთავრესად ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების მიერ. ამის ნათელსაყოფად მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება.

იმისათვის, რომ შეგვემცირებია საშიშ დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობანი, გორდს რაიონში შემოწმებულ იქნენ პირები, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

გამოირკვა, რომ 1963 წელს შრომისუნარიან პირთა უმეტესობას თითქმის არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

თუ ჩვენ შევძლებთ შრომაში ჩაებათ ყველა შრომისუნარიანი პირი, ამით ორ საქმეს გავაკეთებდით: ჯერ ერთი, გავადიდებდით შრომისნაყოფიერებას და შევამცირებდით ბაზას მძიმე და საშიშ დანაშაულობათა ჩადენისათვის. საყვედურის ღირსნი არიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე მილიციის განყოფილებები,

რომლებმაც ჯეროვანი ნაბიჯი ვერ გადადგეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწვეიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“, განხორციელების საქმეში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კრებებზე იშვიათად იხილავენ ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარების ღონისძიებათა საკითხს. ბევრგან კრების მსჯელობის საგანი არ გამხდარა პარაზიტების სოფლიდან გასახლების საკითხი, რაც გაცილებით მეტ შედეგს გამოიღებდა, ვიდრე სასამართლოს განჩინება ან აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება პარაზიტების გასახლების შესახებ.

მეტად მძიმე დანაშაულია აგრეთვე ხულიგნობა. იგი ხშირ შემთხვევაში გადაიზრდება ხოლმე უფრო საშიშ დანაშაულში, როგორცაა მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვა.

განზრახი მკვლელობის შემცირებისათვის აუცილებელია დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ხულიგნობას და საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. ხულიგნობა საზოგადოების აშკარა უპატივცემლობაა. ხულიგანი, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო იმ მოქალაქეს, რომელსაც ეჩხუბება, არამედ მთელ საზოგადოებას, სადაც იგი მოქმედებს. იგი აბუჩად იგდებს მოქალაქის კანონიერ უფლებასა და ინტერესებს, უპატივცემლობას იჩენს სახელმწიფო ხელისუფლების კანონებისადმი.

ჩვენი საზოგადოებრიობა სამართლიანად მოითხოვს, რათა აღიკვეთოს ხულიგნობის ყოველი ფაქტი.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ხელშემწყობ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საზოგადოების ზოგიერთ წევრს შორის გავრცელებული ლოთობა. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მძიმე დანაშაული—განზრახი მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ხულიგნობა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევები, უმთავრესად ბრალდებულთა მიერ ჩადენილია მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის დროს.

ლოთობა, როგორც სოციალური სენი ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოიხპო, მაგრამ მისი ფესვები ჯერ კიდევ ცოცხლობს ზოგიერთ ადამიანში. ლოთობა საზოგადოებრივი ბოროტებაა, რომელიც სულიერად, გონებრივად და ფიზიკურად აჩლუნგებს ადამიანს, იგი აქვეითებს აზროვნების უნარს, უკარგავს თავშეკავების უნარს. ლოთი მიდრეკილებას იჩენს ჩხუბისადმი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისადმი, ანგარიშს არ უწევს თავის მოქმედების შედეგს.

თითქმის არც ერთი ქორწილი და დღეობა არ ტარდება ისე, რომ მას არ მოყვეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ხულიგნობა, მოქალაქეთა დაჭრა და ზოგჯერ მკვლელობაც.

სოფ. ხოვლეში მცხოვრებ გ. ბარამიძის შვილის ქორწილში მიპატიებულმა სტუმარმა ვ. მერებაშვილმა, რომელიც გაბრუებული იყო ალკოჰოლით, იმის გამო, რომ მუსიკოსებმა შესწყვიტეს სიმღერა, ცეცხლმსროლელი იარაღით სასიკვდილოდ დასჭრა ოჯახის უფროსი — ბარამიძე და მილიციის მუშაკი კაციაშვილი, რომელიც მოუწოდებდა მერებაშვილს წესრიგისაკენ. მთვრალ მდგომარეობაში

რეობაში მყოფმა რ. ციცაგმა და ა. ჯალაბაძემ, სრულიად უმიზეზოდ აუტყუეს ჩხუბი მოქ. დუღაშვილს და დანის გულში ჩარტყმით მოჰკლეს იგი.

პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ტრანსპორტზე მომხდარი ავტო-ავარიებიც ხშირად გამოწვეულია მძღოლების მიერ ტრანსპორტის მთვრალ მდგომარეობაში მართვით.

ასეთი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ლოთობიდან დანაშაულობამდე ერთი ნაბიჯია. სამწუხაროდ, ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებლად წარმოებს, მას კამპანიური ხასიათი აქვს.

ყურადღების გამახვილებას საჭიროებს რელიგიური დღეობები და სექტები. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული რელიგიური ცრურწმენისაგან; ისინი იკრიბებიან რელიგიურ დღეობებზე, აცდენენ ძვირფას დროს, ლოთობენ, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს. ხშირად რელიგიურ დღესასწაულებზე ხდება საზოგადოებისთვის დიდი უბედურება — მკვლელობა, ხულიგნობა და სხვა.

გორის რაიონის სოფ. ქახვრელში მცხოვრებნი 21—22 აპრილს არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ ეწეოდნენ. მთელი სოფელი მიპატიყებულ სტუმრებთან ერთად ორი დღე ქეიფობდა რელიგიური დღის „კვირაცხოვლობის“ აღსანიშნავად. ალკოპოლით გაბრუებულმა სტუმარ-მასპინძლებმა ასტეხეს დებოში, რა დროსაც მოკლული იქნა მოქ. ტლაშაძე, რუისში რელიგიურ დღეობაზე „ფერიცვალობაზე“ მოკლული იქნა ავთანდილ მამაცაშვილი, გორიჯვარში რელიგიურ დღეობაზე „გიორგობაზე“ სასიკვდილოდ დაჭრეს მოქ. კოვზიაშვილი, სოფ. ბატიურში გამართულ რელიგიურ დღეობაზე მოკლული იქნა მოქ. ქოქოვეგი.

საჭიროა იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლება, ათეიზმის პროპაგანდის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება რელიგიურ ცრურწმენათა დასაძლევად.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ საქმეში მონაწილეობას არ ღებულობს საზოგადოებრიობა, ფართო აქტივი, რომ იგი მთელი მოცულობით არ არის გამოყენებული სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მიერ.

პარტიის პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული — „უზრუნველყოფილი იქნეს სოციალისტური კანონიერების ზუსტი დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დანაშაულობათა ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმოშობის ყველა მიზეზი, კომუნისმის მშენებელ საზოგადოებაში არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა, მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც ჩადიან საზოგადოებისათვის საშიშ დანაშაულობებს, არღვევენ სოციალური საერთო ცხოვრების წესებს, არ სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას“. ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო პროგრამა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი განხორციელება ყველა ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის საპატიო მოვალეობაა.

კავშირების სათავეებთან¹

ამერიკაგვასიელი ახალგაზრდები 60-70-იანი წლების რევოლუციონერთა პრაცესებში

ფოლადი იწოთობა

„მოსკოველთა“ ორგანიზაციის ფოლადისებურ ბირთვს შეადგენდნენ ამიერკავკასიელი ახალგაზრდები. მათი რაოდენობა ოცზე მეტს უდრიდა. ჟანდარმერიის მიერ დაწყებული კვლევა-ძიებით ამ ორგანიზაციას მიაკუთვნეს: ივანე ჯაბაძე, მისეილ ჩიკოტიძე, გიორგი ზდანოვიჩი (ფსევდონიმით მაიაშვილი), ალექსანდრე ციციშვილი, ანთიმოზ გამყრელიძე, ისიდორე ქიქოძე, სტეფანე კარტაშიანი, ეკატერინე თუმანიანი, რიფსიმე თუმანიანი, პარმენ მიქელაძე, ქაისტრო ფურცელაძე, ვენატე იოსელიანი, გიორგი ათაბეგოვი, გიორგი კობიევი, ჯატამირ შანავევი, ნიკოფორე თუმანიანი, ნიკოლოზ ხუდადოვი, ბეგლარ სტეპანიანი, ი. ბაგდასარიანი, აივაზოვი. ამათგან, როგორც ყველაზე აქტიურნი, მხოლოდ პირველი ცხრა კაცი იქნენ ფიგურირებულნი ბრალდებულმა „50-თა“ პრაცესზე.

ჩამოთვლილი ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების ახალგაზრდათა უმრავლესობამ 60-70-იანი წლების მიჯნაზე მიიღეს პირველი რევოლუციური წრეობა თბილისის საშუალო სასწავლებლებში სწავლის პერიოდში. აქ კი, იმ დროს, ძლიერი იყო ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, მიქაელ ნაღმანდიანისა და სხვა რევოლუციონერ ხალხოსანთა იდეების გავლენა.

70-იანი წლების დამდეგს თბილისის რეალური გიმნაზიის რევოლუციურად განწყობილმა მოსწავლეებმა ივანე ჯაბაძის ინიციატივით, თავიანთი ღარიბი ბიუჯეტიდან მოაგროვეს თანხა და საკუთარი არალეგალური ბიბლიოთეკისათვის შეიძინეს ლუი ბლანის, ვერცენის, ჩერნიშევსკისა და სხვათა რევოლუციური შრომები. აკრძალულ ლიტერატურას იღებდნენ აგრეთვე ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცელაძის, ე. იოსელიანისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა ინიციატივით თბილისში ივანოვის სახელზე შექმნილ ბიბლიოთეკიდან, რომელსაც ჟანდარმერიამ „კრამოლის“ წყარო უწოდა. ახალგაზრდები ხაზად კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას, უშვებდნენ რევოლუციური შინაარსის

ხელნაწერ ჟურნალებს, აწყობდნენ ფარულ შეკრებებს, რომლებზეც მსჯელობდნენ საჭირობოტოტო სოციალ-პოლიტიკურ საკითხებზე და ა. შ. ასე თანდათან იწრთობოდნენ ისინი მომავალი დიდი რევოლუციური ბრძოლისათვის.

ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების თბილისელი ახალგაზრდების უშიშარ რევოლუციონერებად გამოწრთობის გზაზე მეთორ თვალსაჩინო საფეხური იყო რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები. ი. ჯაბაძარი, ა. ციციშვილი, ა. გამყრელიძე, ს. კარტაშიანი, გ. ზდანოვიჩი და სხვები შევიდნენ პეტერბურგ-მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც აქტიურად ჩაებნენ იქაურ სტუდენტთა რევოლუციური ბრძოლის ფერხულში.

ი. ჯაბაძარის, მ. ჩიკოტიძის, ა. ციციშვილის, ს. კარტაშიანისა და „50-თა“ პრაცესის მონაწილე სხვა ახალგაზრდათა რევოლუციურ-დემოკრატიული თეორიებით აღჭურვის საქმეში დიდი როლი ითამაშა საზღვარგარეთ მათმა გამგზავრებამ და იქ მყოფ რუს რევოლუციონერ ემიგრანტთა წრეებთან დაახლოებამ.

ამერიკაგვასიელი ახალგაზრდობა თანდათან და შეუპოვრად, კარგი ოსტატების ხელში იწრთობდა რევოლუციონერ-რაზნორჩინელთა კუნთმაგარ მუშტად, რომლის მძლავრი დარტყმაც 70-იანი წლებში მწარედ იწვნია „ჯარისკაცთა ხიშტებით დაცულმა“ ცარიზმმა.

პარიზის სამჯედლოში „კავკასიელები“ და „ფრიჩები“

რა უსაზღვრო იყო პარიზის გარეუბანში მომუშავე ფრანგი მჭედლის გაოცება, როდესაც 1874 წლის საფხულის ერთ მშვენიერ დღეს მასთან მივიდნენ უცხო ტომის ორი ახალგაზრდა და ერთმანეთში არეული ფრანგულ-რუსულით სამუშაო ითხოვეს. ინტელიგენტური შეხედულებისა და ჩაცმულობის ახალგაზრდებს არ ეტყობოდათ, რომ ისინი უროს დამრტყმელის მძიმე სამუშაოდ მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნის აუცილებლობამ მიიყვანა. არ იცოდა პარიზელმა მჭედელმა მათი ჩანაფიქრი: ეს ორი ახალგაზრდა სასწავლებრივი სინ-

¹ დასასრული. იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 2.



ქართ ითვისებდა მჭედლის ხელობას, რევოლუციური პროპაგანდისათვის, „ხალხში გასასვლელად“ ემზადებოდა. მართლაც, რუსეთში დაბრუნების შემდეგ სამჭედლო საქმეს დაუფლებულმა ივანე ჯაბაძარმა და მიხეილ ჩიკოტიძემ — „უნიკალი მიხეილისა“ და „თედორუს“ ფსევდონიმებს ამოფარებულმა „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ სხვა წევრებთან ერთად მძლავრი რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღეს მოსკოვში ძმები ტიულენიევის ქარხნის მუშებს შორის.

სამჭედლოში მომქანცველი მუშაობის შემდეგ, გართობისა და დასვენების ნაცვლად, ი. ჯაბაძარი და მ. ჩიკოტიძე თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად დამეებს ათენებდნენ რევოლუციური წიგნების შესწავლაში, კამათობდნენ წაკითხულის ირველივ.

ი. ჯაბაძარის ინიციატივით საზღვარგარეთ შეიქმნა „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ ბირთვი. მასში შევიდნენ: ი. ჯაბაძარი, მ. ჩიკოტიძე, ა. ციციშვილი, დ. გურამიშვილი, ა. ელიოზიშვილი, დადესტანელი მ. დოღვატი და სხვ. ასე შედგა „კავკასიელთა“ წრე, რომელმაც ქართველი და ამიერკავკასიელი დემოკრატიული ახალგაზრდობის ქვენეის 1874 წლის კონგრესზე გაბედულად გაილაშქრა კავკასიის ფედერაციის მოთხოვნის წინააღმდეგ და გადაჭრით დაიცვა რუს ხალხთან ერთად საერთო სოციალური რევოლუციის მიხედვის იდეა.

ი. ჯაბაძარი საზღვარგარეთ დაუკავშირდა რუსეთთან შვეიცარიაში სასწავლებლად წასული ქალიშვილების რევოლუციურ წრეს, რომელშიც შედიოდნენ: სოფია ბარდინა, ვარვარა ალექსანდროვსკაია, ვერა ლიუბატოვიჩი, ლილია ფიგნერი, რიფსიმე თუმანიანი და სხვები. ეს წრე „ფრიჩის“ სახელწოდებას ატარებდა იმ დიასახლისის გვარის მიხედვით, რომლის სახლშიც ცხოვრობდნენ.

„კავკასიელთა“ წრე და „ფრიჩები“ გაერთიანდნენ. ამის შემდეგ მათ ახალი ძალით გააჩაღეს სოციალ-რევოლუციური თეორიის შესწავლა, იწყეს გზების ძიება ხალხში პროპაგანდის გაშლისათვის. მალე გადაწყვიტეს რუსეთში დაბრუნება და შეედგნენ პრაქტიკულ მუშაობას. ამასთან უნდა გვეთვალისწინებიათ ის შეცდომები, რომლებიც ცნობილი მოძრაობის — „ხალხში გასვლის“ დროს მოვიდათ რევოლუციონერ-ხალხსონებს.

ბაკუნინთან

რევოლუციური ცეცხლით გაკლენითლ ახალგაზრდებს გეზის მიმცემი სჭირდებოდათ. ცოცხალი აღარ იყო გერცენი, კატორღაში იფურღლებოდა ჩერნი-შევსკი, მოსუცი ლავროვი კი მშვიდობიანი ავითაცის გაშლას ემზადებოდა, რაც ახალგაზრდობის ბოძოქარ ბუნებას არ აკმაყოფილებდა. ამ ვითარებაში, ახალი ორგანიზაციის წევრებმა იმედის თვა-

ლით შეხედეს „მოუსვენარ მოსუცს“, რევოლუციონერ-ხალხსონობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, რუსული ანარქიზმის მამას — მიხეილ ბაკუნინს. იგი ამ დროს შვეიცარიის ქალაქ ბელინცონში ცხოვრობდა. გადაწყდა ჩრევა-დარიგების მისაღებად ბაკუნინთან წარმომადგენლის გაგზავნა. ეს ვალდებულება ი. ჯაბაძარმა იკისრა. ახალგაზრდებმა ჯიბეები გამოიბერტყეს, სახარჯო ფული შეაგროვეს და ი. ჯაბაძარი გააგზავნეს ბაკუნინთან. „მოუსვენარმა მოსუცმა“ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ჯაბაძარის მიღება. სამაგიეროდ ჯაბაძარი შეხვდა და დიდხანს ესაუბრა ბაკუნინის პირად მდივანს, მისი სრული ნდობით აღჭურვილ ადამიანს, ცნობილ რევოლუციონერს მიხეილ საჟინს. მას თავის განკარგულებაში ჰქონდა „ძლიერ ახალი მასალა“ რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებზე. რუსეთის გაძლიერებაზე, მასობრივ დაპატიმრებებზე და ა. შ. საჟინისაგან დაწვრილებითი ცნობების მიღებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ი. ჯაბაძარისა და რუსეთში გასამგზავრებლად გამოზადებულ სხვა რევოლუციონერებისათვის.

გარდა საჟინისა, ი. ჯაბაძარი ეთათბირა აგრეთვე „რუსული ბლანკიზმის“ ფუძემდებელს პ. ტკაჩოვს, „ხალხში გასვლის“ დროს დაპატიმრებას გადარჩენილ რევოლუციონერებს: ვორონცოვს, რაბინოვიჩსა და სხვ. დასუსტებულ იქნა რუსეთში რევოლუციური პროპაგანდის ახალი ძალით გაჩაღებასთან დაკავშირებული რიგი კონკრეტული საკითხი.


გადაწყდა რუსეთში დაღუბულ რევოლუციონერთა შეცვლა, ცარიზმის მიერ დროებით ძირს დახრილი რევოლუციური ბრძოლის დროშის კვლავ აღმართვა, დესპოტიზმზე ახალი იერიშების მიტანა.

მოსკოვში

„სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ საზღვარგარეთის შეკრებებზე გაჩაღდა მსჯელობა რუსეთში გადასვლის პრაქტიკულად განხორციელების თაობაზე. ცარიზმის გამძვინვარებული ტერორის ვითარებაში, როდესაც კვალ-დაკვალ დასდევდნენ, არა მარტო რუსეთში მყოფ, არამედ ემიგრაციაში მყოფ რევოლუციონერებს, უადრესად რთული იყო ამ საქმის სისრულეში მოყვანა. ეს ძნელი დაავლება ი. ჯაბაძარმა იკისრა.

და აი, 1874 წლის ნოემბერში, ი. ჯაბაძარი უკვე რუსეთშია. საჭირო იყო დაპატიმრებას გადარჩენილი და ღრმა იატაკქვეშეთში შენიღბული ძველი რევოლუციონერების მოსახვა და მათთან მოთათბირება, ახალი ძალების შერჩევა და მათი ჩაბმა რევოლუციურ მუშაობაში. და ყველაფერი ეს უანდარმერია-პოლიციის თვალწინ უნდა გაკეთებულიყო.

ი. ჯაბაძარმა წარმატებით გადალახა მის წინაშე



საერთო ყრილობა და ორგანიზაციის ოფიციალური გავსორმება

მდგომი სიძნელეები. პეტერბურგში დაუკავშირდა ძველ რევოლუციონერებს: კლემენცს, სტენიაკ-კრაჰინსკის, მოროზოვს, სერდიუკს; ეთათბირა მათ ახალი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მათ უფრო შესაფერისად მიიჩნევს ორგანიზაციის ცენტრის დაარსება მოსკოვში, ნაცვლად პეტერბურგისა, სადაც სასტიკი რეაქცია მძვინვარებდა. ეს არჩევანი მნიშვნელოვნად განაპირობა იმა-ნაც, რომ მოსკოვსა და მის ახლო-მასლო მრავალი ფაბრიკა-ქარხანა იყო, ახალი ორგანიზაციის წევრები კი თავიანთი მუშაობის ობიექტად უმთავრესად მუშებს თვლიდნენ.

გადაჭრილ იქნა ადგილზე ახალი რევოლუციური კადრების მომზადების პრობლემაც, თუმცა ეს ძნელი იყო. ამის შესახებ ი. ჯაბადარი მოგვითხრობს: „პეტერბურგში ყველაფერი განადგურებული იყო. ერთი (რევოლუციონერები ზ. შ.) ციხეებში ისხდნენ. ციხეებიდან ახლად გამოსულნი კი პოლიციის მკაცრ მეთვალყურეობაში იყვნენ. ზოგიც იმაღლებოდა. ფიქრიც არ შეიძლებოდა იმ დიდ შვერებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სატყეო ინსტიტუტსა და იზმაილოვის პოლკში (სტუდენტთა საცხოვრებელი უბანი—ზ. შ.) 1873 წლის ბოლოს და 1874 წელს. დიდი ცდისა და რისკის შედეგად, მხოლოდ 10-20 კაცის შვერება თუ მოხერხდებოდა“¹.

ასეთი რთული ვითარების მიუხედავად ი. ჯაბადარმა იარაღი არ დაჰყარა. იგი ენერგიულად შეუდგა ადგილზე ახალი კადრების თავმოყრას. ამ საქმეში მას მხარში ამოუდგნენ ა. გამყრელიძე, გ. ზდანოვიჩი, ცნობილი მუშა-რევოლუციონერი პეტრე ალექსევი და სხვები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ კავშირი გაბმული რადიკალურად განწყობილ მუშებთან: გარჩევსკისთან, ჟუკოვთან, გრიაზნოვთან და სხვ.

ნოემბრის თვეშივე ი. ჯაბადარი და მისი თანამებრძოლნი პეტერბურგიდან მოსკოვში გადავიდნენ. აქვე ჩამოვიდნენ საზღვარგარეთიდან „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ სხვა წევრებიც, რომლებიც აქ იყვნენ დარჩენილნი. მოსკოვში დაფუძნდა ორგანიზაციის ცენტრი. გაჩაღდა რევოლუციური მუშაობა. ამ ორგანიზაციის წევრები მუშაობდნენ ივანოვო-ვოზნესენსკოში, ტულაში, ზარკოვში, კიევში, ოდესაში, თბილისსა და იმპერიის სხვა ქალაქებში. იქვე შეიქმნა ადგილობრივი ომშინები. ყველა ისინი მოსკოვში არსებულ ცენტრს ემორჩილებოდნენ. ამიტომ, თვით „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია“ რიგ მასალებში „მოსკოველთა“ ორგანიზაციად მოიხსენება.


— „რევოლუციონერებს არ ესაჭიროებოდა ცენტრალიზებული ორგანიზაცია“ „გაღებს ბუნტებს ცალკეული რევოლუციონერები და რევოლუციონერთა ჯგუფებიც გამოიწვევენ“ — ამტკიცებდნენ „ხალხში გასვლისდროინდელი“ რევოლუციონერები. ამიტომ, მაშინ მათ არაორგანიზებული პროპაგანდა გააჩაღეს. ცხოვრების პრაქტიკამ დაანახა მათ თავიანთი შეცდომა, ხელისუფლებამ იოლად შეძლო არაორგანიზებულად მომუშავე რევოლუციონერთა მასობრივი განადგურება.

„მოსკოველებმა“ გაითვალისწინეს წინამორბედთა შეცდომები. მათ შექმნეს მტკიცე ორგანიზაცია ხელმძღვანელი ცენტრით, რომელსაც „ადმინისტრაცია“ ეწოდებოდა. მართალია, ადმინისტრაციის შემადგენლობა სტაბილური არ იყო, მასში რიგ-რიგობით მორიგეობდნენ ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ცხოვრებამ მოითხოვა ორგანიზაციის აქტიურ წევრებს შორის მათი უნარის მიხედვით მოვალეობათა განაწილება. ასე მაგალითად: საერთო ხელმძღვანელობამ თავიდანვე ი. ჯაბადარის ხელში მოიყარა თავი, მისი დაპატიმრების შემდეგ კი ა. გამყრელიძის ხელში გადავიდა; საზღვარგარეთიდან ლიტერატურის არალეგალურად შემოზიდვის საქმე გ. ზდანოვიჩის ხელში მოექცა, საზოგადოების მთავარი მოლაპარაკებელი და საერთოდ საფინანსო საქმეების განმგებელი ს. კარტაშინი გახდა, მუშათა ჯგუფებთან და ცალკეულ მუშა-რევოლუციონერებთან კავშირის გაბმის ორგანიზაცია პეტრე ალექსეევმა იკისრა და ა. შ.

ორგანიზაციის პროგრამა და წესდება ივანე ჯაბადარმა შეადგინა. იგი დამტკიცა საერთო ყრილობამ, რომელიც 1875 წლის გაზაფხულზე შეიკრიბა. წესდების მიხედვით „მოსკოველთა“ ორგანიზაციის ოფიციალურად ეწოდა „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაცია“, რითაც ხაზი გაესვა მის საერთო საიმპერიო მნიშვნელობას.

პროგრამის მოთხოვნილებათა შესაბამისად აქტიურმა რევოლუციონერებმა: ბ. კამენსკიამ, ო. ლიუბატოვიჩმა, ს. ბარდინამ, ე. თუმანიანმა, ლ. ფიგნერმა და სხვებმა მუშურად გადაიციეს, დაიწყეს მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში და რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღეს მუშებს შორის. პროპაგანდის ძირითადი მეთოდი იყო აკრძალული ლიტერატურის გავრცელება. ისინი მუშებს ურიგებდნენ ან უკითხავდნენ აკრძალულ წიგნებს, ბროშურებს, პერიოდულ გამოცემებს. მათ მიერ გავრცელებული ლიტერატურა მრავალფეროვანი იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაპატიმრებისას ამ ორგა-

¹ „ბილოე“, 1907 წ., № 9.



ნიზაციის წევრებს 40-ზე მეტი სახელწოდების რევოლუციური ლიტერატურა ჩამოართვეს, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ჩამოერთვათ „ხალხში გასვლის“ მონაწილეებს.

საპირიოა ფული

რამდენადაც ფართოდებოდა რევოლუციური პროპაგანდა, იმდენად იზრდებოდა აკრძალულ ლიტერატურაზე მოთხოვნილება. კიევიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან, ივანოვოდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან სულ უფრო მეტად ითხოვდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. მართალია, „გეორგი რიჟას“ (ზდანოვიჩს) კარგად ჰქონდა ორგანიზებული საზღვარგარეთიდან ლიტერატურის შემოტანის საქმე, მაგრამ ეს დაკავშირებული იყო სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთან. ფულს მოითხოვდა ადგილებზე პროპაგანდისტების დასავენაც, რადგანაც „მოსკოველები“ ძირითადად პროფესიონალური რევოლუციონერებისაგან შედგებოდნენ და სხვა შემოსავლის წყარო არ ჰქონდათ.

ამ ვითარებაში ა. ციციშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ ორგანიზაციის წევრებს, ვისაც მდგომარეობა ხელს უწყობდა, მიეზღინათ პირადი ქონების რეალიზაცია. თვითონ მან ჩალის ფასად გაჰყიდა თავისი მემკვიდრეობა გორის მაზრაში, რომელიც სამასი ათასი მანეთის ღირებულებისა იყო. აღებული თანხა კი ორგანიზაციას გადასცა. პირადი შემოსავლიდან ორგანიზაციას აფინანსებდნენ ს. შარდინა, თ. ლიუბატოვიჩი და სხვები.

გამოინახა ბიუჯეტის გაზრდის სხვა შესაძლებლობაც: ორგანიზაციის წევრ ქალიშვილებს მზითვად საკმაოდ მნიშვნელოვანი უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონდათ, მაგრამ გათხოვებამდე არ შეეძლოთ სურვილისამებრ მათი მოხმარება. და აი, გადაწყდა შუითვიანი ქალიშვილების სასწრაფოდ „დაქორწინება“. ორგანიზაციის წევრ ვაჟებიდან შეარჩიეს მალალი წოდებიდან გამოსული ახალგაზრდები, რათა ქალის მშობლებს უარი არ ეთქვათ მათთვის. ასე მოაწყვეს რამდენიმე ფიქტიური ქორწინება.

— „რა საკვირველი ქორწინებაა? — ეკითხებოდა თავის თავს ბინის დიასახლისი, როდესაც 1875 წლის 13 ივლისის საღამოს დაესწრო ულამაზესი გარეგნობის „ახნაურ“ ანთიმოზ გამყრელიძისა და ეკატერინე თუმანიანის საქორწილო ცერემონიალს. დიასახლისის გაკვირვების მიზეზი ის იყო, რომ ნეფე-პატარძალს არ ეტყობოდათ სიყვარულის ცეცხლით „წვა და დაგვა“. ისინი გართული იყვნენ, დიასახლისისათვის გაუგებარ პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობით. „ქორწილის“ დამთავრების შემდეგ კი „პატარძალი“ დიჯად გამოემშვიდობა თავის ახალგაზრდა მეუღლეს და წავიდა. სამაგიეროდ მეორე დღესვე ორგანიზაციის საღარბში შევიდა „პატარძლის“ მზითვი 1100 მა-

ნეთი, ხოლო მთავარი მოლარის გასავლის წიგნში გაჩნდა ჩანაწერი: «Расход по свадьбе 41 р.».

კიდევ უფრო არაჩვეულებრივ ვითარებაში მოხდა ალექსანდრე ციციშვილის „დაქორწინება“ ოდესის რევოლუციური „ომხინის“ წევრ ალექსანდრა ხორჟევსკაიაზე. სიძემ საჭიროდაც არ მიიჩნია ჯგერისწერაში მონაწილეობის მიღება. მან თავისი საბუთები გადაუგზავნა ოდესაში მყოფ რევოლუციონერ ისიდორე ქიქოძეს, რომელმაც თავადი ციციშვილის სახელით იქორწინა ა. ხორჟევსკაიაზე. ამ ფიქტიური ქორწინების შედეგად საზოგადოების საღარბს რამდენიმე ათასი მანეთი შეემატა. ამასთან აცილებულ იქნა ოდესაში სიძის წასვლასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

გათვალისწინებული იყო სხვა ფიქტიური ქორწინებებიც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ისინი არ შემდგარა.

ასე იქნენ ეკატერინე თუმანიანი და ალექსანდრა ხორჟევსკაია — ე. გამყრელიძე და ა. ციციშვილი. ასე გახდნენ „კოლიან“ მამაკაცებად ანთიმოზ გამყრელიძე და ალექსანდრე ციციშვილი. ამ ჭეშმარიტად მამაცმა რევოლუციონერებმა თვით მოისპეს მომავალში თავიანთი პირადი ცხოვრების მოწყობის შესაძლებლობა.

ჩავარდნა ჩავარდნაზე

„—რატომ არ გახლავთ პროკურორი!“ „თქვენ არ გაქვთ გაჩხრეკა-დაპატიმრების უფლება!“ „ეს უკანონობაა!“ „ჩვენ ვიჩივლებთ!“ —რიხიანად მიმართა ი. ჯაბაღარმა გენერალ ვოიკოვს, როდესაც იგი 1875 წ. 3 აპრილს, ჟანდარმებსა და პოლიციელების თანხლებით შეიჭრა „მოსკოვლთა“ საიდუმლო ბინაში პანტელევის ქუჩაზე მდებარე კორსაკის სახლში. კარიერისტი ვოიკოვი შეშინდა, რომ ფორმალბობის დარღვევით არ დაეკარგა მოსალოდნელი ჯილდოები. ამიტომ ჟანდარმებს უბრძანა დაკავებული ახალგაზრდების მკაცრი თვალთვალი, ხოლო თვითონ პროკურორის მოსაყვანად წავიდა.

გასჭრა ი. ჯაბაღარის „კაკვასიურმა ოინმა“ — მოგებული იქნა კონსპირაციული დოკუმენტების გასანადგურებლად საჭირო მეტად ძიარუსი დრო. ახალგაზრდებს მრავალი საიდუმლო ჩანაწერი, მისამართი, ყალბი პასპორტი ჰქონდათ ჯიბეებში. მაგრამ როგორ უნდა განეხორციელებიათ მათი მოსპობის საქმე? ჟანდარმები მკაცრად ადევნებდნენ თვალს მათ ყოველივე მოძრაობას. საბედნიეროდ ამ დროს ნათქვამაზე ადულდა ჩაიდანა. რევოლუციონერებმა თხოვეს ჟანდარმებს მათთვის მიეცათ ჩაის დალევის უფლება. ნებართვის მიღებისთანავე ცხრა ახალგაზრდა მიუხდა მაგიდას და დიჯად შეუდგნენ ჩაის სმას. ჟანდარმებმაც დაინახეს, რომ პატიმრები გაქცევას არ აპირებდნენ და შეგებით ამოისუნთქეს; მათაც პაპიროსები გააბოლეს. შემსუბუქდა დაძაბული ატმოსფერო. პატიმრებმაც ცოტა



შეღავათი იგრძნეს, ნელ-ნელა ამოაცოცეს ჯიბეებიდან კონსპირაციული ქაღალდები და „სიამოვნებით“ შეუდგნენ მათ ღვეკვას და თან ჩაის დაყოლებას. ყველაზე მეტი ქაღალდის ჩაყალბავა მოუხდათ გოლიათური შეხედულების პეტრე ალექსეევსა და მისიელ ჩიკოტიძეს, რომლებსაც ბლომად აღმოუჩნდათ ისინი ჯიბეებში. ნაშუაღამევს კი, როდესაც ვოიკოვი დაბრუნდა პროკურორის ამხანაგ კლარკთან ერთად და რევოლუციონერები გაჩხრიკა, მათ არ აღმოჩნდათ ბრალდებისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მასალები.

კორსაკის სახლში ჩავარდნა მძიმე დარტყმა იყო რევოლუციონერებისათვის. დააპატიმრეს ორგანიზაციის ბირთვის ძირითადი ნაწილი: ი. ჯაბაღარი, პ. ალექსეევი, მ. ჩიკოტიძე, ს. ბარდინა, ბ. კამენსკაია და სხვ. სულ 9 კაცი; 7 აგვისტოს კი კისინის სახლში დააპატიმრეს ლ. ფიგნერი, ვ. ალექსანდროვა და სხვ. 11 აგვისტოს სასტუმრო „უკრაინაში“ შეიპყრეს ა. ციციშვილი, ვერა ლიუბატოვიჩი და სხვები. აქ მოხდა მანამდე არასული აქტი: ა. ციციშვილმა, პირველად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, დაპატიმრებისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ჟანდარმებს. მან რევოლუციური ესროლა ჟანდარმთა პორუჩიკს — ლოვიგინს.

**„გამაკა“ ორგანიზაციის
სათავეში**

კორსაკის სახლში ჩავარდნის შემდეგ გარეთ დარჩენილმა რევოლუციონერებმა, რომელთა შორისაც ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ანთიმოზ გამყრელიძე ანუ ზედმეტსახელად „გამაკა“ იყო, „ოსტრანკისათვის“ თვალის ახვევის მიზნით ტაქტიკური ნაბიჯი გადადგეს. მათ მოსკოვის მაკივრად პერიფერიებში გადაიტანეს ძირითადი პროპაგანდისტული მუშაობა. თუმცა ხელმძღვანელი ცენტრი, რომლის სათავეშიც ახლა ანთიმოზ გამყრელიძე იდგა, კვლავ მოსკოვში დარჩა.

ა. გამყრელიძემ გაითვალისწინა, რომ კერძო პირთა ბინაში რევოლუციონერთა შესაკრები ადგილის მოწყობა სასიფათო გასდა. ამ ბინებში ახალგაზრდობის სმირი მოძრაობა იქცეოდა ჟანდარმერია-პოლიციის ყურადღებას. სწორედ ამიტომ გახშირდა ჩავარდნები. ა. გამყრელიძემ გადაწყვიტა სპეციალური ნომრის დაკავება სასტუმრო „უკრაინაში“. სასტუმროში ბევრი უცხო პირი მიდი-მოდიოდა, რასაც ოსტრანკის აგენტები შეჩვეული იყვნენ ორგანიზაციის ცენტრის გადაწყვეტილებით, პროპაგანდისტთა ახალი კადრები დაიკავანენ ქალაქებში: ივანოვო-ვოზნესენსკში, კურსკში, ხარკოვში, ოდესასა და სხვ.

განსაკუთრებით მძლავრი რევოლუციური მუშაობა გაიშალა რუსეთის საფიჭრო მრეწველობის ცენტრში — ივანოვო-ვოზნესენსკში, რომელიც სავე-

იყო სოფლებიდან სამუშაოდ ჩამოსული ხალხით. აქ ვაჩაღეს პროპაგანდა ვ. ალექსანდროვამ, ეთუმანიანმა-გამყრელიძემ, ა. ტოპორკოვამ, ლ. ფიგნერმა და სხვ. ივანოვო-ვოზნესენსკში შეიქმნა საიდუმლო ბინა, არალეგალური ლიტერატურის საწყობო და ა. შ. იქ ჩადიოდა და ადვილზე საჭირო განკარგულებებს იძებოდა თვით ა. გამყრელიძეც. ივანოვო-ვოზნესენსკში რევოლუციური პროპაგანდის გაფართოება მხედველობიდან არ გამოეპარათ ჟანდარმთა აგენტებს. იწყეს კვალის ძებნა და მალე მიაგნეს რევოლუციური ბროშურების გამავრცელებლებსაც.

ზედიზედ დააპატიმრეს რევოლუციონერი ქალიშვილები, რომლებიც მუშებად იყვნენ შესული ფაბრიკა-ქარხნებში და იქ ეწეოდნენ რევოლუციური პროპაგანდის. შეიტყო რა ამ ჩავარდნების შესახებ, ა. გამყრელიძე დაუყოვნებლივ გაეშურა ივანოვო-ვოზნესენსკში. ამ დროს პატიმრები სადგურში იყვნენ მოთავსებულნი სპეციალურ ვაგონში, რომლითაც მოსკოვში უნდა გადაეგზავნათ ისინი.

მდიდრულად ჩაცმულმა ა. გამყრელიძემ ხელში ჯოხის თამაშით იწყო სეირნობა ბაქანზე საპატიმრო ვაგონის გასწვრივ, თანაც ფარული ნიშნებით საუბარი გამართა პატიმრებთან. ეჭვი არ არის, რომ მას შემუშავებული ჰქონდა პატიმრების გაქცევის გეგმა; ახლა კი საიდუმლოდ აცნობდა მას ამხანაგებს. მაგრამ ჟანდარმებმა საეჭვოდ მიიჩნიეს უცხო პიროვნების ასეთი დანიტერესება საპატიმრო ვაგონთან სეირნობით. ა. გამყრელიძემაც სწრაფად უშველა თავს. ეტყობა მას ხელი არ აუღია პატიმრებთან დაკავშირების იმედზე, ამიტომ იმავე მატარებელს გაჯავ მორთე კლასის ვაგონით. ჟანდარმთა აგენტებმა, რომლებითაც სასვე იყო მატარებელი, ა. გამყრელიძე გზაში მოიყარეს და დააპატიმრეს.

მალე ჟანდარმებმა მიაგნეს ა. გამყრელიძის ნომერს სასტუმრო „უკრაინაში“, საიდანაც 300 ეგზემპლარამდე ხსავდასხვა სახელწოდების რეაქციური ლიტერატურა წაიღეს. ამასთან ჩასაფრდნენ ნომერში, რის შედეგადაც დააპატიმრეს: ს. კარტაშვიანი, ე. სუბოტინა, თ. ლიუბატოვიჩი და სხვები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ სასტუმროს ნომერში ჟანდარმების ყოფნის შესახებ.

ივანოვო-ვოზნესენსკის კვალდაკალ ჩავარდნები მოხდა სხვა პერიფერიულ ქალაქებშიც. სხვადასხვა დროს ხარკოვში, ოდესაში, კურსკსა და ა. შ. დააპატიმრეს ა. ზორჟიკსაია-ციციშვილი, ვ. ალექსანდროვი, თ. ლიუბატოვიჩი და სხვ.

დაიწყო მკაცრი კვლევა-ძიება.

**„ალიბართიკა კუნთიგზარი
ხელი...“**

მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ძლიერ ახალგაზრდები იყვნენ პატიმრებს მტკიცედ ეჭირათ თავი. გამომძიებლებს არ გაუმართლდათ მათი ო-

ლად გამოტყვის იმედი. ძიებაში მიცემულ 100-ზე მეტ ახალგაზრდაში არ გამოსულ გამცემი. ისინი არ ასახელებდნენ თანამოაზრეებს და მხოლოდ საკუთარ თავზე ლაპარაკობდნენ. ეს გარემოება „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ წევრთა მაღალ მორალურ სიფაქიზეზე მეტყველებს. გამოძიებას იმის იმედიც ჰქონდა, რომ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები ერთმანეთს გადააბრალებდნენ პასუხისმგებლობას და ამით ხელისუფლებას გაუადვილებდნენ საბრალდებო მასალების მეტი რაოდენობით შეგროვებას, მაგრამ იმედი არ გაუშართლდა.

რუსი, ქართველი, სომეხი, ებრაელი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები, რომლებიც ინტერნაციონალური სულისკვეთებით იყვნენ შემჭიდროებული, გაბედულად აღუდგნენ წინ გამომძიებელთა სრიკებს. ისინი ყოველმხრივ ურევდნენ კვალს, არ ასახელებდნენ არა თუ ამხანაგებს, არამედ თავიანთ ვინაობასაც კი — ირქმევდნენ მიგონილ სახელებს ან უბრალოდ რომელიმე ასოს („ა“, „ბ“, „გ“ და ა. შ.). ამით აჭიანურებდნენ გამოძიებას და საშუალებას აძლევდნენ დაპატიმრებას გადარჩენილ ან ჟანდარმების მიერ მხოლოდ საეჭვოდ მიჩნეულ ამხანაგებს მოესწროთ თავიანთი რევოლუციური საქმიანობის კვალის დაფარვა. რევოლუციონერების ასეთმა მოქმედებამ გამომძიებლებს მართლაც დიდად გაურთულა საქმე. კვლევა-ძიებაში მყოფი 104 ახალგაზრდიდან გამოძიებამ მხოლოდ 50-ის მიმართ შეძლო სასამართლოზე გადასაცემად საჭირო მასალების შეგროვება.

გამოძიების პერიოდში ხელისუფლებას ყველაზე მეტი თავსატეხი საქმე „სანჩო“ გაუჩინა. მან დიდხანს არ გამოხლო თავისი ვინაობა. იგი მაშინაც კი არ გატყდა, როდესაც მისი სურათები საქართველოში წარუდგინეს მის ნაცნობებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სურათში ა. ციციშვილი იყო. ჟანდარმები ბოლოს იძულებული გახდნენ იგი პირადად ჩამოეყვანათ თბილისში და დედისა და სხვა ნათესავებისათვის ეჩვენებინათ. მართალია, თბილისელმა რევოლუციონერებმა ადრევე გააფრთხილეს ა. ციციშვილის დედა უარი ეთქვა შვილის ცნობაზე, მაგრამ დედის გულმა ვერ გაუძლო დიდი ხნის უნახავი შვილის ბორკილებში ხილვას და იგი დანახვისთანავე გულში ჩაიკრა. ამის შემდეგ ა. ციციშვილმაც აღიარა თავისი ნამდვილი ვინაობა.

ძირთადი მიზანი ა. ციციშვილის მიერ თავისი ვინაობის დამალვისა უეჭველია მისი თბილისში ჩამოყვანა იყო. რევოლუციონერებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეწყობა გზიდან მისი გაქცევა. ამ საქმისათვის მოსკოვიდან საჭირო თანხაც კი გადმოუგზავნეს კავკასიის რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ე. იოსელიანსა და მ. ყიფიანს. თავის მხრივ ჟანდარმერიამაც მიიღო

წინასწარი ზომები. ამიტომ, რევოლუციონერებმა ვერ განახორციელეს მისი გაქცევა.

50 რევოლუციონერის მიმართ სასამართლო პროცესი დაიწყო 1877 წ. 21 თებერვალს და დამთავრდა 14 მარტს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ი. ჯაბადარმა, ა. გამყრელიძემ, მ. ჩიკოტიმ, ა. ციციშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს, რომ სასამართლო პროცესზე ხელისუფლების მიმართ მამხილებელი სიტყვა ეთქვა ერთ-ერთ მუშა რევოლუციონერს. მათ არჩევანი შეაჩერეს პეტრე ალექსეევზე, როგორც უაღრესად ენერგიულსა და გაბედულ ადამიანს.

პ. ალექსეევმა დაწერა სასამართლოზე სათქმელი სიტყვის მონახაზი, რომელიც შეავსეს, შეასწორეს და საფუძვლიანად გაამალაშინეს ჯაბადარმა, ციციშვილმა, გამყრელიძემ და ჩიკოტიმ. პროცესზე გამოსვლამდე პ. ალექსეევმა საფუძვლიანად გაიხეპირა ეს კოლექტიურად დაწერილი სიტყვა, ჩაატარა მისი წაკითხვის რამდენიმე რეპეტიცია. 9 მარტს კი სენატის განსაკუთრებული სამსჯავროს სხდომაზე გაიხაზა პ. ალექსეევის ეს ცნობილი სიტყვა, რომლითაც ფარდა ახადა ცარიზმის დესპოტიზმსა და ქვეყნად გაბატონებულ სოციალ-ეკონომიურ უსამართლობას. სამარცხვინო ბოძზე გააკრა გაბატონებული კლასისა და ჩინოვნიკების უსამართლობა. სასამართლოს თავმჯდომარე პეტრესმა რამდენჯერმე სკადა რ-სთვის სიტყვის შეწყვეტა. „Молчать“, „Молчать“, — უყვიროდა იგი პ. ალექსეევს, მაგრამ მან თავისი მგრგინიავი ხმით დაძაფრა თავმჯდომარის ყვირილი და ბრწყინვალედ ჩაათავა მგზნებარე სიტყვა, რომელიც დაასრულა სიტყვებით: «...Подымится мускулистая рука миллион рабочего люда и ярмо деспотизма, огражденное солдатскими штыками, разлетится в прах!».

* * *

და აღსრულდა თვადებული რევოლუციონერ-ხალხოსნის, მუშა — პეტრე ალექსეევის წინასწარმეტყველება დესპოტიზმის უღლის დამსობისა და რევოლუციის გამარჯვების შესახებ. პ. ალექსეევისა და სხვა რევოლუციონერი ხალხოსნების მიერ დაღერილ სისხლს ამოდ არ ჩაუვლია. რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო წინა თაობის რევოლუციონერთა ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში დაამხო ცარიზმი და ბურჟუაზიული ყოობილება, საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. დღეს კი საბჭოთა ხალხი, რომელიც წმინდად ინასავს ხალხთა ბედნიერებისათვის თავდადებულ რევოლუციონერთა ხსოვნას, წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

მკვლელობა ბამბუკის ტყეში

1.

კვირა დღე იყო.

ახალ სოფელში, ბამბუკის ტყის განაპირას ბევრეები დილიდანვე თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს, მაგრამ თამაშით მაინც ვერ იჭერეს გული. ბოლოს, როცა მზემ ისე დააჭირა, რომ ბული აუვიდა ყველაფერს, ბევრეებმა თამაში შეწყვიტეს და ზღვას მიამოხრეს. უფროსებმა ნაცნობი ბილიკით გადაჭრეს ბამბუკის ტყე და ორიოდ წუთში ზღვის ნაპირზე ამოყვეს თავი. პატარა თემური ჩამორჩა მათ, მოდიდებულ ღელეს ვერ გადაახტა და უფრო ვიწრო გადასასვლელს დაუწყო ძებნა. ვიწრო გადასასვლელთან, წყლის პირას ბუჩქებში გაუნძრევლად მშობლივარე კაცი შენიშნა, რომელსაც სახე ბალახში ჰქონდა ჩამალული.

ბიჭი შეშინდა, ადგილზე გაქევადა და კრინტი ვერ დაძრა. მერე, როგორც იქნა გამოერკვა, ორიოდ ნაბიჯი უკან გადადგა და ისე მოკურცხლა, თითქოს ვინმე მოსდევდა. თვალის დახამამებაში გადაახტა ღელეს, წებან რომ შეაშინა, და წინ მიმაჯალ ამხანაგებს მიაძახა:

- გივი, ჭუმბერ, დამიცადეთ, დამიცადეთ!
- რა გაყვირებს — შეუბღვირა გვიმ.
- ბიჭებო, ბიჭებო, იქ ვილაც კაცი აგლია, ძლივს ამოიღულღულა თემურიმ და ხელი ბუჩქებისაკენ გაიშვირა.



— ვინ კაცი, რა კაცი, მოგეჩვენა ალბათ, ნუ აიჩემებ ხოლმე სისულელეებს.

ბიჭის ნათქვამს არავინ მიაქცია ყურადღება. გახურებული ბევრეები ზღვის ტალღებს დაეხარბნენ. თემური კი ნაპირზე იჯდა გაბუტული,

კენჭებს ათამაშებდა და რაღაცას ბურტყუნებდა. — კარგი, ჰა, ნუ გააჭირე საქმე, მოვდივართ, — თქვა ბოლოს გვიმ და ჩაიცვა.

მაღე ჭუმბერიც ამოვიდა, ერთი პეშვი წყალი შეასხა თემურის და მიაძახა — უჰ, შე დოყლაპია, შენა.

თემური წამოხტა და წინ გაუძღვა ამხანაგებს. როგორც კი მიუახლოვდა ბუჩქებს, სადაც კაცი ეგულეობდა, შეჩერდა, იქ არისო, მიუთითა ამხანაგებს და შორიახლოს დადგა.

საშინელი სურათი წარმოუდგათ ბევრეებს თვალწინ: ბუჩქებში სისხლში ამოსვრილი მამაცის გვამი ეგლო.

2.

არ გასულა ნახევარი საათი, რომ გვიმ მილიციის მუშაკები შემთხვევის ადგილზე მიიყვანა, დანარჩენებმა კი მთელ სოფელს შეატყობინეს ეს ამბავი.

ხალხმა სასწრაფოდ მოიყარა თავი, მაგრამ გვაშთან არავის უშვებდნენ.

ადგილმდებარეობის ფოტოგადაღებისა და ფეხის რამდენიმე საეჭვო კვალის აღების შემდეგ გამოძიებელი მელიქიშვილი გვამის დათვალიერებას შეუდგა.

მოკლულს არავითარი საბუთი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს არც იყო საჭირო; როგორც კი გვამი გადამაბრუნეს, ხალხმა იმწამსვე იცნო თანასოფელი შალვა ბასაძე.

ოჯახის წევრების გამოკითხვით გამოირკვა, რომ კოლმეურნეობის ბრიგადირი ბასაძე ერთი კვირის წინ სამკურნალოდ წასულიყო თბილისში.

მოკლულს ჯიბეში უპოვნეს რკინიგზის ბილეთი, რომლითაც ჩანდა, რომ იგი თბილისიდან ჩამოსულა პარასკევს, ღამით. მკვლელობაც იმავე ღამით იყო ჩადენილი, მატარებლის მოსვლის შემდეგ, დაახლოებით თორმეტიდან პირველ საათამდე. შემოწმებით დადგინდა, რომ ბასაძე სადგურიდან ფეხით წამოსულა შინისაკენ. მანძილი არც თუ ისე დიდია, ასე რომ მის ვავლას ოც წუთზე მეტი არ დასჭირდებოდა.

გამოძიებელმა მელიქიშვილმა გამოძიებას სწრაფად მისცა მსვლელობა. პირველად მონაცემებით ბასაძის მკვლელობაზე ეჭვი მეტრნეო-

ბის ღარაჯ გორგილაძეზე მიიტანა. რამდენიმე დღეში შეკრებილი მასალების საფუძველზე საქმე გასსნილად ჩათვალა და გორგილაძის დაპატიმრების დადგენილება სანქციისათვის რაიონის პროკურორს წარუდგინა.

3.

ოთახის სიმყუდროვეს მხოლოდ კედლის საათის ხმა არღვევდა. საწერ მაგიდასთან შუახნის კაცი იჯდა შევერცხლილი თიშითა და სათვალეებით. წინ ვადაშლილი ჰქონდა საქმე, რომელსაც ეწერა „ბასაძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით“.

...საქმეში არსებული მასალებით მტკიცდება: ბასაძის მკვლელობა წინასწარი განზრახვით ჩაიდინა მეურნეობის დარაჯმა გორგილაძემ. მკვლელობის მოტივი: ორი კვირის წინ გორგილაძემ მეურნეობის პლანტაციის დასაცავა ბასაძის საქონელი, მაგრამ პატრონს დროზე არ აცნობა. ამის გამო ბასაძე და გორგილაძე წალაპარაკდნენ და ბოლოს მოკვლითაც დაემუქრნენ ერთმანეთს.

ბასაძეს თავისა და გულმკერდის არეში ორი სასიკვდილო ჭრილობა აქვს მიყენებული საფანტიანი თოფით. გორგილაძემ განაცხადა, რომ მკვლელობის დღეს ბამბუკის ტყეში თოფი მართლაც ისროლა ორჯერ, მაგრამ ორჯერვე ფრინველს ვეკროლეო.

გვამთან ნახული იქნა თოფიდან განასროლი დასატენის ჩვრების ნაგლეჯები. ისინი იდენტური აღმოჩნდა იმისა, რომლითაც დატენილი იყო გორგილაძის თოფის სხვა, დარჩენილი მასრებზე. მკვლელობის დღეს გორგილაძეს ეცვა სისხლიანი ხალათი რომლის ვადაშლევა, როგორც ჩანს, ვერ მოახერხა. ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ, საერთოდ, სისხლის დენა ვიციო ცხვირიდან.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორატორიის დასკვნით გორგილაძეს და მოკლულ ბასაძეს ერთი და იგივე ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდათ.

პროკურორი ჩაფიქრდა და გამომძიებელი გაჰმოიძახა.

— ამხანაგო კოტე! თქვენს მიერ შეკრებილი ნივთიერი დამამტკიცებელი მასალები გორგილაძის დანაშაულზე ლაპარაკობს.

— დიახ, ამხანაგო პროკურორო!

— კი მაგრამ, თავის ახსნა-განმარტებაში გორგილაძე თითქოს დამაჯერებლად აბათილებს ამ მტკიცებებს?

— ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მას სხვა გამოსავალი არა აქვს.

— ვნახოთ, მოიყვანეთ იგი და ერთად დავკითხოთ.

დიდხანს გაგრძელდა გორგილაძის დაკითხვა,

მაგრამ მიუხედავად მრავალი, თითქოს უტყუარი ფაქტისა, იგი კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებას.

— კეთილი, უთხრა. ბოლოს პროკურორმა, ჩვენ კიდევ შეხვდებით ერთმანეთს, მაგრამ თუ არასწორი ჩვენებით ჩვენს შეცდომაში შეყვანას ცდილობთ, ამით მხოლოდ თქვენ საქმეს გაართულებთ.

— აბა რა ვქნა, ბატონო, არ ჩამიდგინა ეს საშინელი დანაშაული და ძალით ხომ არ დავიბრალდებ.

გორგილაძემ უხმოდ დატოვა კაბინეტი.

სავამომძიებლო ორგანოებში დიდი ხნის მუშაობის მანძილზე ვინ მოთვლის რამდენნაირი ჯურის ბოროტმოქმედს არ შეხვედრია მიხეილი. ყველას თავის დაჯერების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა ახასიათებდა, მაგრამ მათ შორის იყო რაღაც საერთო. გორგილაძის მოქმედება განირჩეოდა ამ საერთოდანაც თავისი ხასიათით, რასაც აშკარად ეტყობოდა გულწრფელობა.

— კოტე, გამოერკვა ფიქრებიდან მიხეილი— გორგილაძის ასეთი მშვიდი მოქცევა, ჩემი აზრით, შესაძლოა ასეც აიხსნას: მან იცის, რომ ჩვენ არა ვგაქვს ისეთი მამხილებელი მასლა, რომ პასუხისგებაში მივცეთ, ან... შეიძლება ეს მტკიცებები სულაც მოჩვენებითია და საერთოდ, არ გამართლდეს აღებული ვერსია. თქვენ რას იტყვიან?

— ამხანაგო პროკურორო, თქვენ მგონი ეჭვი გეპარებათ ჩატარებული გამოძიების ობიექტურობაში. თუმცა გამოძიება მთლიანად არ დამთავრებულა, მაგრამ გორგილაძის მიმართ ბრალდება არსებული მასალების მიხედვით სავსებით დადასტურებულად მიმაჩნია.

— არსებული მასალების მიხედვით კი!

— როგორ? რა გინდათ თქვან მაგით?

— ნუ ვაჩქარდებით კოტე, მოვიფიქროთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯერ გვამიც არ გავიკვებთ. ვარდა ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ვარემოებებს, რომ გორგილაძეს დადებითად ახასიათებს თქვენს მიერ დაკითხული ყველა მოწმე... და საერთოდ ჯერ რამდენი რამ არის გასაკეთებელი და დასაუხსნებელი.

— კეთილი, ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ იტყვით.

— მე კი არა, როგორც საქმის ვითარება მოითხოვს და შენი ინტუიცია გიკარანხებს, ოღონდ, დაკვირვებით, სერიოზულად აუჩქარებლად.


— გასაგებია.

— ექსპერტიზა როდის დანიშნეთ?

— ზვალისათვის.

— აბა თქვენ იცით.

— გამომძიებელი ოდნავ ნაწყენი გამოვიდა.



კაბინეტიდან და მისაღები ისე გაიარა, რომ არავისთვის შეუხედავს.

მისი ოთახი ვიწრო დერეფნის ბოლოში იყო. გულმა არ მოუთმინა და ჯერ პროკურორის თანამემშობის კაბინეტში შეიხედა.

— მოდი, მოდი კოტე — დაუძახა გიორგიმ.

კოტე უხმოდ შევიდა, სკამი გამოსწია, დაჯდა და ისე ამოიხენემა, თითქოს სული ეხუთებოდა.

— რა იყო ბიჭო, რას ოხრავ? — გაკვირვებით შეხედა გიორგიმ.

— რა და აი... ის...

— რა ის, ამოდერღე კაცო, რა მოხდა.

— მგონი მიხეილმა რატომღაც ამითვალისწინა.

— ნუ სულელობ ვართი.

— არა ნამდვილად.

— საიდან დაასკვენი მაინც?

— საიდან და ყველაფერს ეჭვის თვალთუყურებს, ჩემი არ სჯერა. მგონი აჯობებს განცხადება დაეწერო...

— კოტე! გესმის რას ლაპარაკობ? წადი ახლა და მეორეჯერ არ წამოგცდეს ეს.

მეორე დღით მელიქიშვილმა ექიმი-ექსპერტი გამოიძახა, რომელსაც ბასაძის გვამის გაკვეთა დაავალა.

ექსპერტის დასკვნაში სხვა მონაცემებთან ერთად, აღინიშნა, რომ ბასაძე მოკლული იყო საფანტიანი თოფით, ორივეჯერ ნასროლი იყო ახლო მანძილიდან. გვამიდან ამოდებული ტყვია ზომის მიხედვით გრაგოლადის თოფის მასრებში აღმოჩენილ ტყვიებს წაავაგდა, თუმცა ფორმით განსხვავდებოდა. ეს მასრები თოფთან ერთად გაიგზავნა ბალისტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ყოველივე დაუყოვნებლივ მოხსენდა პროკურორს.

— კეთილი, თქვა მიხეილმა, როცა ჩაიკითხა ექსპერტის დასკვნა.

— პატივცემული მიხეილ!

— დიახ!

— ორი წელია რაც თქვენთან ვმუშაობ და ამ ბოლო ხანებში ვამჩნევ ჩემი მუშაობა არ მოკლონთ. ასე რომ ჩემს გაჩერებას აქ აზრი არა აქვს...

— კოტე! — გაკვირვებით შეხედა მიხეილმა.

— დიახ, დიახ, გთხოვთ მიუთამდგომლოთ რესპუბლიკის პროკურორის წინაშე სხვა რაიონში გადამიყვანონ სამუშაოდ, სულერთია სადაც არ უნდა იყოს.

— მიზეზი? — ახლა უკვე მკაცრად იკითხა პროკურორმა.

— საყვედურები, ვითომ მე არ ვმუშაობ საკუთარ თავზე და ცხოვრებას ვრჩები, და ბოლოს ეჭვები უკანასკნელი საქმის შესახებ.

— აჰა, გასაგებია, — თქვა პროკურორმა და მშვიდად განაგრძო — ნუთუ არ იცით კოტე, რომ ჩვენი დარგის მუშაკებისათვის აუცილებელია სისტემატური მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებლად? ჩვენ არ გვთხოვენ მეცნიერების ყველა დარგის ღრმად დაუფლებას, ეს შეუძლებელია... მაგრამ ზოგადი თანამედროვე ცოდნას უნდა ვეუფლებოდეთ, რათა რომელიმე დამნაშავემ თავისი ვიწრო სპეციალობის კარგი ცოდნით არ აგვაცდინოს სწორ გეზს. განა არ გახსოვთ რა მოუვიდა გამოძიებულ ბრეგვაძეს ჩაის ფაბრიკაში დანაშაულის საქმესთან დაკავშირებით, წინასწარ არ მოემზადა დასაკითხად და ისე დაიბნა, რომ არ იცოდა საიდან დაეწყო, როგორ მიახლოვებოდა კონკრეტულ საქმეს.

თქვენ სწრაფი და ზშირად გამართლებული ინტუიცია გაქვთ. ამას მე დიდად ვფასებ. სხვა გამოძიებელი შეიძლება ბევრს მუშაობდეს თავის თავზე, მაგრამ აკლია ის, რაც თქვენ გაქვთ. ორივე ეს მონაცემი ერთად აღებული კი მოგვცემდა ისეთ ნიჭიერ გამოძიებელს, როგორსაც მე ვხედავ კოტე მელიქიშვილის მომავალში. ნუ აჩქარდებით კოტე, როცა საჭირო არაა. კარგად აწონ-დაწონეთ ყოველი ნაბიჯი. ზოგჯერ აჩქარებით წყვეთთ არა მარტო ცალკეულ საგამომძიებლო საქმეებს, არამედ პირად ამბავსაც — დიმილით დაასრულა მიხეილმა.

გამომძიებელი თითქოს უსმენდა მაგრამ სინამდვილეში ფიქრებით სხვაგან იყო.

— გმადლობთ დარიგებისათვის, მაგრამ მაინც გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი თხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე თვითონ უშუალოდ გავაგზავნი განცხადებას.

— კეთილი, მხოლოდ ამ საქმის დამთავრების შემდეგ და ბასაძის მკვლელობის საქმეზე მიუთითა.

— კი, მაგრამ კიდევ რა არის საჭირო?

— ბევრი რამ. უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს, როგორ მოხდა ბასაძე შემთხვევის ადგილზე, სხვისი ხელი ურევია თუ არა ამ საქმეში, რა იყო ამ მკვლელობის ნამდვილი მოტივი, რამ ჩააღვინა გორგილაძეს, თუ ის ნამდვილი მკვლელია, ასეთი დანაშაული? ხომ იცით, მკვლელობა მოტივის ვარეშე თითქმის არ ხდება. ჩვენ კი ჯერჯერობით ვერ დავვიდგენია ეს, ყოველ შემთხვევაში, ამის უფლებას არ გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული მასალები. რაც შეეხება თქვენს მიერ შეგროვებულ არაპირდაპირ მამხილებელ მტკიცებებს, ბრალდების დასადასტურებლად ისინი მხოლოდ მაშინ გამოდგება, როცა ამ ჯაჭვის ყველა რგოლი შეუსამდებია ერთმანეთს და ამრიგად, გამოირიცხება ყოველგვარი სხვა შესაძლებელი ვერსია.

4.

ახალსოფლის ერთ განაპირა სახლში თავშეყრილ მამაკაცებს ბანქოს თამაში ჰქონდათ გახურებული. სანამ დიასახლისი მეორე ოთახში ფაციფუცობდა, ბანქოს თანხა თანდათან იზრდებოდა. ბოლოს, მხოლოდ ორიღა შემორჩა თამაშს, დანარჩენები კი ვაცხოველებით აღეზნებდნენ თვალყურს ვინ მოიგებდა.

— კიდევ ერთი — წამოიძახა მალალი ტანის მოთამაშემ და ფეხზე წამოდგა. მიწოდებული კარტი დიდხანს ევირა ხელში, შემდეგ ახლოს მიიტანა თვალთან, ნელ-ნელა გახსნა და გულმოსულმა მაგიდაზე დაყარა.



— დასწყევლოს ეშმაკმა, დავიწვი და მერე როგორ.

— აჰა, მიიღე, ალალი იყოს — თქვა და მოწინააღმდეგეს მიულოცა.

— მასპინძელს დღეს ბედი არ წყალობს, ამდენი ფული წააცო, ახლა პურ-მარილი...

— ეგე, კარგი ერთი, დღეს წავაგე, ხვალ მოვიგებ, მაგრამ საწყენი ისაა, ვინ მომიგო, თამაში მაინც იცოდეს ამ უბედურმა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ ბიჭებო, გიორგიმ ასე იცის, როცა წავაგებს ლანძღვაზე გადადის.

ამ დროს ოთახში გრძელხალათიანი დიასახლისი შემოვიდა და სტუმრები სუფრასთან მიიბაძტეა.

გიორგიმ ერთ-ერთს ხელი მოჰკიდა, განზე გაიხმო და უთხრა:

- სერგო! ცუდადაა ბიჭო ჩვენი საქმე.
- რაზე კაცო.
- რაზე და შეიძლება ჩავვარდეთ. ბოლო

საქმეზე ყველაფერი იცის ერთმა კაცმა, რომელიც ნამდვილად არ დაგვზოგავს.

- ვინ?
- ვინ და ბასაძემ.
- კი ერთი თუ კაცი ხარ.
- იმ ვაჟბატონს რომ არ მოვეთხარეთ სეერთო კრებაზე, არ ვაგვრიცხავდნენ კოლმეურნეობიდან.
- მერე და რა არხეინად ვიყავით მოკალათებულნი.

მოკლედ, სულ მაგის ბრალია ყველაფერი. ამიტომ ჰქუა უნდა ვასწავლოთ, ან სულაც მოვაშოროთ აქაურობას.

— არ ვინდა გიორგი, თავი დაანებე, რას ამოიჩემე ეს კაცი. მაგის გარდა სხვა არ გამოსულა ჩვენს წინააღმდეგ? ისე ჩვენში რომ დარჩეს, რას ვაკეთებდით კოლმეურნეობაში. კიდევ დიდხანს მოგვითმინეს, ღმერთმანი.

- ფილოსოფიას თავი დაანებე, გეუბნები ეს კაცი უნდა ჩამოვიშოროთ მეტეჟი.
- არა, ძმაო, მე თავი დამანებეთ.
- ერთი შენც...

მათ საუბარში მესამე ახალგაზრდა ჩაება.

— გესმის, სპირიდონ — მიუბრუნდა მას გიორგი — ამ ილიოტს ჰგონია, რომ მარტო ჩვენ ჩავვარდებით, მას კი თავზე ხელს გადაუსვამენ, ჩვენზე მეტად რომ მოხვდება, ამაზე არ ფიქრობს.

— გამიგონე, სერგო, — ისევ სერგოს მიუბრუნდა გიორგი — ბასაძე ხვალ ჩამოდის თბილისიდან, ღამის თორმეტ საათზე. და ამაზე უკეთესი დრო როდის გვექნება.

— არა, არა ძმაო. მე თავი დამანებე — თქვა სერგომ და პირი ეზოსკენ იბრუნა.

— მასე ხომ! კაი ბატონო — მიაძახა მასპინძელმა, შენთვისაც მოვიცლით იცოდე.

- დიასახლისი ისევ გამოვიდა.
- სად ხარ, კაცო, რომ მიატოვე სტუმრები.
- მოვდივართ, მოვდივართ.


გიორგი და სპირიდონი უხმოდ მოუსხდნენ მაგიდას. მასპინძელი აღელვებული ჩანდა, სტუმრებს ეგონათ, წაგებამ თუ განაწყენაო და წასახალისებლად ხანდახან შესძახებდნენ ხოლმე, რა მოხდა შე კაცო, წაგება და მოგება ძმები არიანო.

სტუმრებმა მოიღბინეს ისე, რომ არც შეუმჩნევათ სერგოს წასვლა.

— ბიჭი გააღვიძე და აქ მომიყვანე ახლავე, — შესძახა გიორგიმ ცოლს, როცა შვილების სადღევრძელომ მოაწია.

— გიორგი! — გაიკვირვა დიასახლისმა — ბავშვს სძინავს.

- სტუმრებმაც კვერი დაუქრეს, გვიან არისო.
- როგორ, — არ იშლიდა გიორგი, — ახ-



ლავე აქ მომგვარეთ ჩემი მოსწრებული ბიჭი, გვერდი უნდა დამიმშვენოს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ოთახში ძლივს შემოიზღაპნა ახალგაზრდა, რომელიც ნამძინარეც თვალებს იფშენებდა.

— რას გამაღვიძე, რას — შემოსვლისთანავე შეუღრინა მამამისს.

— მოდი, ჩემი ბიჭი, მხარი დამიმშვენე, აბა, ჯერ ეს ყანწი გადაჰკარი.

ვაჟს დიდი ხვეწნა-მუღარა არ დასჭირებია. რალაც ჩაიბურტყუნა და უსიტყვოდ გადააპირქვეა ყანწი.

— აბა, ნუგზარ, როგორ იყო გუშინწინ რომ იჩხუბე? შეახსენა ბედნიერმა მამამ.

— ვიჩხუბე არა, ვილაც მატრბაზი იყო, ერთი „ვტყლიძე“ და „ვსიო“.

— ლომი, ლომი — წამოიძახა სიამაყით გიორგიმ და მხარზე ხელი დაარტყა „ლომს“. პოდა, ამისთანა ვაჟაკი ძველი დანჯღრეული მანქანით უნდა დადიოდეს? მოგიკვდეს მამაშენი თუ წელს ახალი „მოსკვიჩი“ არ გიყიდოს. მოდი ბიჭებო ჩვენს ვაჟაკებს გაუმარჯოს!

ღვინომ თავისი გაიტანა. სუფრამ დილაღედ გასტანა. დილით კი ერთმანეთს ჩასკვნილ-ჩახვეული სტუმრები ღრინაღვლით გამოიფინნენ შარავნაზე.

5.

გულამღვრული გამოვიდა მელოქიშვილი პროკურორის კაბინეტიდან. ფიქრებში ისე იყო გართული, რომ ვერც შეამჩნია, როგორ გადაჰკრა შარავნა, ციტრუსების პლანტაცია და მიადგა ზღვის ნაპირს.

გვიან ღამე იყო. შინ წასვლა მაინც ვერ გადაეწყვიტა. იქვე ჩამოჯდა და მთვარის ანარეკლს დაშტერდა გარინდულ ზღვაზე.

მოსვენებას არ აძლევდა ბასაძის მკვლელობის საქმე. რა უნდა იყოს აქ საეჭვო — ეკითხებოდა თავის თავს. გორგილაძე თუ უარყოფს დანაშაულს, ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. აბა რად სჯერა მიხეილს მისი, როცა ყველაფერი მის დანაშაულზე მიუთითებს. ნუთუ შეიძლება შემთხვევით დაემთხვეს ერთმანეთს ადენი მამხილებელი საბუთი? ჰმ, აჩქარება იცოდა — გაიხსენა პროკურორის სიტყვები და რალაც უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. ერთხელაც განიცადა ეს გრძნობა. თუმცა ეს იყო დიდი ხნის წინათ, სახელმწიფო გამოცდების დროს.

აუდიტორიასთან შეკრებილი სტუდენტების მღელვარებას მხოლოდ ის უცქერდა გულგრილად. არხეინად შემომჯდარიყო ფანჯარაზე, ხელში სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ჟიკირა და სხვათაშორის ჩაიხედვდა ხოლმე.

ამ დროს თანაქურსელი მეგობარი არჩილს მიუახლოვდა და უთხრა:

— იცი კოტე, რაზე ვფიქრობ ახლა? პირველი ლექცია გამახსენდა. გახსოვს, სწორედ ამ აუდიტორიაში ვიყავით, პროფესორმა რომ გვითხრა — გახსოვდეთ, ყმაწვილებო, ხუთი წელი სტუდენტური ცხოვრებისა ისე გაიპარება, რომ ვერც გაიგებთ. ასე რომ თავიდანვე სისტემატურად იმაცადინეთ, თორემ როცა იურისტის საგზურს მიიღებთ, იტყვიან ნეტავ ხელახლა დამაწყებინა სწავლა და მერე ნახეთ ჩემი ბეჯითობაო. აი, სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა ახლა. მართლაც, რამდენი რამ გველის, რამდენი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით ან ვიცით ბუნდოვნად...

— რამ შეგაშინა, ბიჭო. ვიმუშავებთ როგორმე. ისე თუ საკუთარი თავის იწედი არა გაქვს. სთხოვე, ეგებ დაგტოვონ მეხუთე კურსზე.

— არა, კოტე! შენ ვერ გამიგე და ისევე არ იწილი ამპარტავნობას. თუ კი ოდესმე ვაგიჟრდება ამ შენი აჩქარებული ხასიათის გამო, ვიცი, მომიგონებ, მაგრამ გვიანდა იქნება. სწავლა არც ახლაა გვიან, პირიქით, პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იქნება.

— ჩემო არჩილ, მეცადინეობა მეგონი დავამთავრე და არც თუ ცუდად...

...მართლაც არ იყო ამის მოგონება სასიამოვნო.

— ეჰ, სადა ხარ, ჩემო არჩილ. ნეტავ ჩემს ადვილზე შენ როგორ მოიქცეოდი. არა, სადღაც შევცდი. მაგრამ სად? ცხადია, მკვლელი გორგილაძეა. იმ დღეს ხომ იგი გაურკვეველი მიმართულებით გავიდა სახლიდან, მაგრამ თოფი რომ არ წაუღია? მამ რაშია საქმე, ნუთუ მკვლელობა სხვა იარაღით მოხდა?

დილით ადრე მელოქიშვილი გორგილაძის სახლისაკენ გაემართა.

ოჯახის წევრების ხელმეორედ დაკითხვას არაფერი ახალი არ მოუტია. იმედგაცრუებული წამოსვლას აპირებდა, როცა უეცრად პატარა ბიჭის ხელში ცარიელი მასრა შენიშნა. კოტემ ბიჭს მოუაღერსა და უთხრა, აბა, ერთი ეგ მაჩვენეო.

— სად გქონდა ეს?

— ასეთი ბეგრი მაქვს.

— მართლა?

ბავშვი მეორე ოთახში გავარდა და პატარა ყუთი შემოიტანა. ყუთში ორი ცარიელი მასრა იყო.


— აკი ბეგრი მაქვსო?

— მქონდა, მაგრამ კაქუნიას მივეცი.

— კაქუნია ვინ არის?

ჩვენი მეზობლის — ჯაყელის ბიჭია, — ჩაერია დიასახლისი.

— ქალბატონო, გთხოვთ ხელმეორედ მაჩვენე-



ნოთ ის ადგილი, სადაც თქვენი ქმარი ინახავს თოფის წამალს.

— კი ბატონო — მიუფო დისახლისმა და მეორე ოთახში შეუძღვა.

კარადის ქვედა უჯრაში კიდევ იყო რამდენიმე მასრა...

გამომძიებელი პროკურატურაში დაბრუნდა. არ გასულა დიდი დრო და მის წინ გორგილაძე იჯდა.

— მოქალაქე გორგილაძე! ზოგი დეტალის დაზუსტებაა საჭირო. იცოდეთ, თქვენს სწორ პასუხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და უპირველეს ყოვლისა, თქვენივე ინტერესებისათვის.

— ვასაგებია.

— მასრებს ჩაკეტულ კარადაში ინახავდით, არა?

— დიახ.

— სულ რამდენი გქონდათ?

— ოცი.

— რამდენი იყო დატენილი?

— რვა.

— ესე იგი ექვსი უნდა დაგრჩენოდით.

საჭირო იყო გამორკვევა თუ სად დიკარგა ორი დატენილი მასრა. ჯაყელის ათი წლის ვაჟის ჩვენებით გორგილაძის ბავშვს მისთვის მხოლოდ ერთი ცარიელი მასრა მიუცია, რასაც დედამისიც ადასტურებდა.

იმ დღეს, როდესაც გორგილაძის ბავშვს ზღვისპირას მასრები ჰქონდა გამოტანილი, ჯაყელის ვაჟი ადრე წასულა სახლში, გორგილაძის ბიჭი კი ბოშების ბავშვებთან სათამაშოდ დარჩენილა.

შუალდისას გამომძიებელი ბასაძის ოჯახს ესტუმრა. ხელმეორედ დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო, ოჯახის წევრებმა გამომძიებელს თხოვეს, დაზარალებულის ტყავის ჩანთისათვის, რომელიც თან ჰქონდა, გაემხვილებინა ყურადღება.

6.

მსუბუქი ავტომანქანა სოფლის საბჭოს წინ შეჩერდა. ის იყო პროკურორი, გამომძიებელი და მილიციის მუშაკი მანქანაში სხდებოდნენ, რომ ამ დროს მათ მამაკაცის ხმა შემოესმათ.

— უკაცრავად, ერთი წუთით თუ შეიძლება, — სამივემ ერთდროულად მოიხედა უცნობისაკენ. იგი მაღალი ტანის, კარგად ჩაცმული, შუახნის კაცი იყო.

— რა გნებავთ? — შეეკითხა პროკურორი:

— თქვენი კარგად ყოფნა უბასუხა უცნობმა.

— ვმადლობთ, ვაკვირვებით მიუფო პროკურორმა, მაგრამ მარტო ამის გამო არ შეწყუხდებოდით.

— ერთი პატარა საქმე მაქვს, — განაგრძო უცნობმა — მართალია, თქვენ უფრო სერი-

ოზულ ამბავთან დაკავშირებით ხართ ჩამოსული, ბასაძის მკვლელობაზე, მაგრამ...

— კი მაგრამ, საიდან იცით, რომ ბასაძის მკვლელობის საქმეზე ვართ?

— როგორ არ მეცოდინება, ყველა ამაზე ლაპარაკობს...

კარგი, ამას თავი დავანებოთ, რა გნებავთ?

— ჩემი თავგადასავლის მოსმენის საშუალება თქვენ ახლა არ გაქვთ... ამიტომ მოკლედ გეტყვით. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი სავაჭრო ორგანიზაციებში ვმუშაობდი თბილისში. მაგრამ ხომ იცით, ვადამეკიდნენ და ცხოვრების საშუალება არ მომცეს, ამიტომ აქეთ ვადმოვედი საცხოვრებლად. თითქმის ოცი წელია რაც სოფელში ვარ, მაგრამ აქაც მივეწროვებენ, კოლმეურნეობიდანაც კი გამრიცხეს, რადგან ავადმყოფობის გამო სამუშაოდ ვერ ვავდიოდი — ამ სიტყვებთან ერთად მან ხელი ჯიბისაკენ წაიღო და რაღაც ოთხად დაკეცილი, გაცრეცილი ქაღალდი ამოიღო.

— თქვენი გვარი? შეეკითხა პროკურორი.

— დარსაძე ბატონო.

— ამხანაგო დარსაძე, ნუთუ არ შეგიძლიათ მიიხრათ კერძოდ რა ვინდათ ჩემგან?

— რა მინდა ბატონო და ვინც რამეს დააშავებს ამ სოფელში ყველაფერს მე მაბრალებენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სასამართლომ ხულოვნობისათვის უქანონოდ იძულებითი მუშაობა მომისაჯა აი, ამ განაჩენის გასაჩივრება მინდა და გთხოვთ დამეხმაროთ.

— კეთილი. დამიწერეთ განცხადება და შევათწმენთ.

— დიდი მადლობელი ვიქნები ბატონო, განცხადებას ხვალვე მოგართმევთ, — უთხრა დარსაძემ, თავი თავაზიანად დაუკრა და გაშორდა.

მანქანა დაიძრა. სამივენი შარავზას გასცქეროდნენ და სდუმდნენ.

პროკურორი ფიქრებში იყო ვართული. რაში დაჭირდა დარსაძეს ჩემთან მოსვლა, — ორ თვეზე მეტია, რაც ვუსამართლებიათ, რაღა დღეს შეიწუხა თავი? უცნაურია. მისი საუბარი და სახის გამომეტყველება საიდუმლოებით მოცულ პიროვნების შთაბეჭდილებას სტოვებს. არა მგონია მას კოლმეურნეობიდან გარიცხვან განსამართლება აწუხებდეს.

— ამხანაგო პროკურორო, — დაარღვია სიჩუმე გამომძიებელმა, — არ გიკვირთ დარსაძის მოქმედება?

— რატომაც, ჩვენ, რომ დავგინახა, მაშინ მოავონდა თავისი საქმე. სად იყო ამდენხანს? ჩემის აზრით, იგი გამომძიების მსკვლელობითა დაინტერესებული.

— მეც ასე მგონია — მიუფო პროკურორმა — მაგრამ ერთი ავთანდილი რას გვეტყვის.

დარსაძე — უბასუხა მძღოლის გვერდზე



მჯდომმა მილიციის მუშაკმა, — სოფელში ცნობილია, როგორც ამორალური პიროვნება. იგი სისტემატურად ლოთობს, თამაშობს ფულზე, შემჩნეულია სპეკულაციაში, მაგრამ ისეთი გაიძვრა, რომ ძნელია დანაშაულზე წაასწრო. პასუხისმგებლობაში მხოლოდ ერთხელ არის მიცემული, მაშინაც მსუბუქი სასჯელით გადარჩა.

7.

ბამბუკის ტყე რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული. მკვლევლობის შემდეგ ათზე მეტმა დღემ განვლო და ძნელი იყო რაიმე კვალის აღმოჩენა, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე ადამიანისა და საქონლის მრავალი კვალი იყო არეული.

— საკვირველია — თქვა პროკურორმა, — თითქოს არ გაუძარცვიათ, მოკლულს ფული აღმოაჩნდა, მაგრამ სად არის მისი ტყავის ჩანთა?

გულდასმით შეუდგნენ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბასაძისათვის ბუჩქებიდან ე. ი. დასავლეთის მხრიდან უნდა ესროლათ. მოკლული ზურგზე დაცემულა, მაგრამ თხრილის დაქანების გამო გულდაღმა გადაბრუნებულია.

— კოტე, აბა წამოდი შარავზიდან ჩამომავალი ბილიკით და თუ დამინახავ, — უთხრა პროკურორმა გამომძიებელს, თვითონ კი ბუჩქებში გადავიდა, სადაც მათი დაკვირვებით მკვლეელი უნდა ყოფილიყო გაჩერებული.

— ხომ ხედავთ, — უთხრა გამომძიებელს, თქვენ ვერ შეამჩნიეთ, მე კი მოახლოებამდე სულ გხედავით. ბუჩქებიდან მწვენივრად ჩანს მთელი ბილიკი. ე. ი. ვამოდის, რომ მკვლეელი ჩასაფრებული იყო ამ ადგილზე და ელოდა თავის მსხვერპლს.

— მაგრამ რატომ უნდა წამოსულიყო ბასაძე ღამის თორმეტ საათზე ამ ვხით, მისი სახლი ხომ შარავზით უფრო ახლოა სადგურიდან? — იკითხა გამომძიებელმა.

— მეც ეგ მაფიქრებს კოტე, — უბასუხა პროკურორმა, — რამ აიძულა ბასაძე შარავზიდან ამ ბილიკზე გადმოსულიყო. საინტერესოა, აქედან რომელის სახლია ყველაზე ახლოს?

— თუ არ ვცდები, — უბასუხა მილიციის მუშაკმა, — ყველაზე ახლოს ჩვენი უბნის რწმუნებულთა ცნობილობა.

— კიდევ რა არის?

საბჭოთა მეურნეობის საერთო საცხოვრებელია. მაგრამ საეჭვოა, რომ შუალამისას იგი ვინმეს სტუმრებოდა და ისიც პირდაპირ სადგურიდან.

ამ ლაპარაკში გართულ პროკურორს და მილი-

ციის მუშაკს ბუჩქებიდან გამომძიებელმა დაუძახა.

იგი მიწაზე გაწოლილიყო და პაპიროსის ნამწვებს გულდასმით ათვალიერებდა.

საიდან გაჩნდა ეს პაპიროსები აქ? ნამწვი ძველი უნდა იყოს. თანაც დააკვირდით, გარკვევით ჩანს წარწერა „ყაზბეგი“ და ისიც ქ. ხარკოვის № 1 ფაბრიკა. უნდა შემოწმდეს.

— ეგებ ვინმე გამვლელმა ან ტურისტმა დატოვა.

— შესაძლებელია, მაგრამ აქ ბევრი ნამწვია. ასე რომ, თუ ბოროტმოქმედი მარტო იყო დიდხანს უცდია ან, შესაძლოა ბევრნი იყვნენ. ამიტომ აჯობებს, აქაურობას კიდევ გადავულო სურათი.

— კეთილი, ისე მე პირველსავე მოსვლის დროს ეს გავაკეთე და თანაც ავიღე თაბაშირით რამდენიმე საეჭვო ფეხის კვალი.

— მით უკეთესი.

8.

რესტორანის გასახდელ ოთახში შეგვერემანი, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟი შევიტარს ქალის საზაფხულო მოსასხამს ახარებდა. ქალი სარკეში იყურებოდა და წაბლისფერ თმას ისწორებდა.

— ფრიდონ! — მიმართა ქალმა ვაჟს. — ყველანი აქ იქნებიან და თუ გინდა, რომ საქმე გამოვიდეს, ეცადე როგორმე კონსტანტინ გრიგორის-ძის ყურადღება დაიმსახურო. აბა შენ იცი, — ხელი ხელში გაუყარა და რესტორანის დარბაზში შევიდნენ.

— აა, ირმა ნიკოლაენა, ჩვენი საყვარელი, მობრძანდით, მობრძანდით! — და შუა ხნის ქერათმიანმა კაცმა მის გვერდით სკამზე მიუთითა. ქალმა სუფრასთან მსხლმით თავაზიანად წარუდგინა ფრიდონი.

ღამის ორი საათისთვის მოქეიფენი კარგად შეზარხოშდნენ. ფრიდონი ორკესტრს ხშირად უკვეთავდა ქართულ საცეკვაოს, ფულსაც უხვად უგზავნიდა და თან იმიტაციური მანქვავარცხით დარბაზში მყოფ პირებს აცინებდა.

დროსტარებამ რესტორანის დახურვამდე გასტანა. ანგარიშის გასწორება ფრიდონმა არავის დააცალა.

კარებში უცნობმა კაცმა შემოყო თავი. ფრიდონი წამოდგა და შედიდურად განაცხადა:

— კონსტანტინე გრიგორის ძეგ! ჩემი მანქანა თქვენს განკარგულებაშია! აი, მძღოლიც მოვიღა.

უცნობი მაგიდას მიუახლოვდა.

— ფრიდონ სპირდონის ძეგ, მანქანა მოგართვით, რას მიბრძანებთ?

— დაიცადეთ კარებთან, ახლავე გამოვალთ.

თქვენ ამაღამ კონსტანტინე გრიგორის-ძის განკარგულებაში იქნებით.

მოქეიფენი მოედანზე გამოვიდნენ, ფრიდონმა ახლად გაცნობილ მეგობრებს მანქანა დაუქირავა, თვითონ კი ირმა ვააცილა სახლამდე.

— მაშ, ასე ფრიდონ, — უთხრა ქალმა, — შინ მისვლისას ყველაფერი მოვავარე, კონსტანტინე გრიგორის-ძე როგორც იქნა დავითანსმე, ჩაიწერე მისი ტელეფონის ნომერი და დიღობვე დაურეკე, დანარჩენი თქვენ იცით. — ფრიდონს ლოყაზე ხელთათმანიანი ხელი მოთათუნა და შინ შევიდა.

მოედანზე დანიშნულ ადგილას, ფრიდონის მიერ დაქირავებული „ზიმი“ მოვიდა.

— ყოჩად ვასო, კაცი ყოფილხარ კაცური — მიმართა მძღოლს ფრიდონმა და ფული დაუთვლელად ჩაუღო ჯიბეში, თანაც გააფრთხილა შეიძლება კიდევ დამჭირდეს და ხვალ დამირეკეო.

მეორე დღეს „საქმე“ მოგვარებული იყო. ბაზიდან გამოტანილი სამრეწველო საქონელი ფრიდონ ომაქემ მოიტანა და ბარჯი დანიშნულების ადგილზე გაავზავნა, თვითონ კი ხარკოვის ბილეთი აიღო.

9.

პროკურორის ლექცია დიდი ინტერესით მოისმინეს კოლმეურნეობის წევრებმა. ლექციის შემდეგ პროკურორი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და პარტორგანიზაციის მდივანს ესაუბრა.

— როგორია თქვენი აზრი, ამხანაგო ალექსანდრე, ბასაძის მკვლევობასთან დაკავშირებით? შეეკითხა იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— რა უნდა მოგახსენოთ, მკვლელი უკვე გყავთ და რა საფუძველი მაქვს სხვაზე ვიფიქრო. ისე გორგილაძის მოქმედება ჩემთვის მოულოდნელია. კეთილი კაცია და ვერ გამიგია როგორ მოუვიდა ეს ამბავი.

პარტორგანიზაციის მდივანმაც დადებითად დაასასიათა გორგილაძე, თანაც დასძინა, რომ თუ მართლა ისაა მკვლელი, მაშინ ამ საქმეში მარტო არ იქნებოდით.

— ხომ არ იცით, ვისთან იყო იგი ცუდ დამოკიდებულებაში?

— არავისთან — უპასუხეს ერთხმად. მაგრამ — განაგრძო პარტორგანიზაციის მდივანმა — გორგილაძემ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე რამდენჯერმე გაილაშქრა იმ პირების მიმართ, რომლებიც პატიოსან შრომას თავს არიდებდნენ. განსაკუთრებით ვერს იტანდა მისი ბრიგადის გამოუსწორებელ წევრს ჯაყელას და დარსაძეს და მოითხოვდა მათ მოშორებას. ამბობდა ჩემი ბრიგადიდან მომავორეთ ეს სპეკულა-

ნტები, ათასში ერთხელ გამოვლენ სამუშაოდ და მაშინაც, შეიპარებიან ბუჩქებში, ფულზე თამაშობენ და სხვებსაც ითრევენო...

— საღ არიან ახლა ისინი?

— ორივე გავრცხეთ კოლმეურნეობიდან, ისე აქ ცხოვრობენ.

პროკურორმა დარსაძის ხსენებაზე თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი გვარი პირველად გაეგოს. მეორე დღეს რაიკომში თათბირი გაიმართა.

თათბირის დასასრულს რაიკომის მდივანმა პროკურორს ცოტა ხნით დარჩენა თხოვა.

იცით — თქვა მდივანმა — მივლინებაში თქვენი ყოფნის დროს გამოძიებულმა მელიქი-შვილმა დაწვრილებით გაგვაცნო მასალები ბასაძის მკვლევლობის თაობაზე, საქმე თითქოს გახსნილია, მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველია, რისთვის უნდა ჩედინა გორგილაძეს ასეთი მიმღე დანაშაული. ვფიქრობ, საჭიროა ერთხელ კიდევ გადახედოთ მასალებს. ყველა საჭირო ზომები უნდა მივიღოთ, რომ დაჩქარებით და სრულყოფილად გაირკვეს ეს საქმე.

— ამქამად გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ, ამხანაგო მდივანო, — უპასუხა პროკურორმა — გამოძიება ჯერ არ დავემოთვრებია. ისე კი გვაქვს ახალი მონაცემები, რომლებსაც გულდასმით ვსწავლობთ. დარწმუნებული იყავით, რომ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ დანაშაულის გასახსნელად და შედეგსაც დაუყოვნებლივ მოგახსენებთ.

— კეთილი, — უთხრა წამოსვლისას მდივანმა, — თუ რაიმე დახმარება დაგჭირდეთ, აუცილებლად დამიკავშირდით. გარდა ამისა გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ ახალსოფლის კოლმეურნეობაში გაჩნდნენ ცალკეული პირები, რომლებიც საეჭვოდ იქცევიან.

საქმის შემდგომი მსვლელობიდან გამოძიებისათვის ცხადი გახდა, რომ დარსაძე და ჯაყელი სისტემატურად ეწეოდნენ მოსახლეობაში სამრეწველო საქონლით სპეკულაციას.

— რა გინდათ სული და გული მათ რომ არ პქონდეთ — ეუბნებოდნენ პროკურორს კოლმეურნეობის წევრები.

— მაგრამ თავზე ხელაღებული არიან და ამის გამო ყველა ერიდება.

დამატებით შეკრებილ მასალების შესახებ პროკურორმა და გამოძიებულმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს მონაცემები მხოლოდ ეჭვს ბადებდა დანიშნულ პირების მონაწილეობაზე ბასაძის მკვლევლობაში.

10.

პროკურორმა მილიციის უფროსს თავისი მოსაზრება გაუზიარა დარსაძისა და მისი მეგობრების შესახებ. მილიციის უფროსმაც შეატყო-

ბინა ზოგი რამ. საუბრის დასასრულს შეთანხმდნენ ერთად ჩასულიყვნენ სოფელში.

გამომძიებელი უკვე იქ იყო. ისინი სოფლის საბჭოში შეხვდნენ ერთმანეთს.

— ახალი არაფერია? — იკითხა პროკურორმა.

— არის, უბასუხა გამომძიებელმა, — ესაა დავამთავრე უკანასკნელი მოწმის დაკითხვა.

— ოჰო! ეს რაღაც რეცეპტები შეგიგროვებია.

— ეს რეცეპტები სისხლისდენის შესაჩერებელი საშუალებებია და გორგილაძეს ეკუთვნის... მას მართლაც ჰქონია სწორად სისხლისდენა ცხვირიდან.

შერე მაგიდის უკრიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ვადასცა, — ხედავთ? „ყაზბევი“ ხარკოვის № 1 ფაბრიკის გამოშვება.

— კი მაგრამ საიდან? — შეეკითხა პროკურორი.

— თქვენი დავალებით მე დაუყოვნებლივ შევამოწმე სეაჭორორგანიზაციები. ასეთი პაპიროსები მათ ჩვენს რაიონში საერთოდ არასოდეს არ შემოუტანიათ. მოწმეების დაკითხვისას ეზოში თვალი მოგკარი დარსაძეს, რომელიც ჩემს მიერ დაკითხულ ერთ-ერთ მოწმეს ელაპარაკებოდა. იგი რაღაც საეჭვოდ ტრიალებდა ეზოში, ადგილები ჩანდა. დაკითხვა რომ დავამთავრე, ფანჯარა გამოვადე. ის აივანზე ამოსულიყო. ვადავწყვიტე დალაპარაკება. დიდი თავაზიანობით მომესალმა.

— როგორ არის ამხანაგო დარსაძე თქვენი საქმე, საჩივარი დაწერეთ? — შეეკითხებოდა.

— ვანცხადება უკვე ჩავაბარე პროკურორის მდივანს, თქვენი იმედი მაქვს — მიბასუხა.

— მაპატიეთ, პაპიროსი ხომ არ გექნებათ? — ეუთხარა მორიდებით.

მან ეს კოლოფი ამოიღო და მომაწოდა. სხვა შეკითხვა მისთვის არ მიმიცია: მხოლოდ ვთხოვე, თუ შეიძლება, პაპიროსი დამიტოვებთ მეთქი, სიამოვნებით დამთანხმდა და მომცა მთელი კოლოფი.

— საინტერესო ფაქტია — თქვა პროკურორმა — ვნახოთ რას ვეჩვენებს სხვა გარემოებებიც.

მილიციის უფროსი ოპერატიულ მუშაკებთან ერთად დანიშნულ დროზე მოვიდა სოფლის საბჭოში, სადაც მცირე თათბირის შემდეგ მიღებული იქნა ოპერაციის ჩასატარებელი სამოქმედო გეგმა.

დილით მილიციის განყოფილებიდან პროკურორს აცნობეს, რომ ვიორგი დარსაძე დაპატიმრებულია, ხოლო სერგო ჯაყელი ბასაძის მკვლელობის შემდეგ მიიშალა.

პროკურორი მყისვე მილიციაში შევიდა. მილიციის უფროსი შესვლისთანავე გაეხუმრა — რომ იცოდეთ, რა საჩუქრები დავახვედრებთო.

ეზოში მანქანა იდგა.

— აი, ყველაფერი ეს — თქვა მილიციის უფროსმა და ცალი ხელით ერთ მხარეზე მანქანას ბრუნვითი ახსნა ჯაყელის და დარსაძის სახლიდან წამოიღებოდა.

— მთელი საწყობი ჰქონიათ, და კოლმეურნეობაში რაღას იმუშავებდნენ.

გამომძიებელმა და მილიციის უფროსმა დაწვრილებით უამბეს პროკურორს ჩატარებული ოპერაციის შესახებ.

პირველ დაკითხვაზე დარსაძე მედიდურად იჯდა პროკურორის პირისპირ. თავი ამაყად ექირა, თითქოს დიდი საგმირო საქმე ჩაედინა და დაჯილდოებას ელოდა.

— როგორც ხედავთ, პატივცემულო პროკურორი, დასწორო დარსაძემ, თქვენთან მოსვლას ვაპირებდი და მოვედი კიდევ, ბედმა გამილიშა, ახლა მაინც გაქვთ ჩემი მოსმენის საშუალება.

— კი არ მოხვედით, მოგიყვანეს, ამაში არის მგონი ვანსხვაება.

დარსაძემ უტიფრად გაიცინა.

— დარსაძე — დაიწყო პროკურორმა — ვინ იყო იმ დღეს... თქვენთან ერთად ბამბუკის ტყეში?

— სერგო ჯაყელი.

— სწორია, კარგია რომ სიმართლეს ამბობთ.

— დასამალი რა მაქვს, რასაც ვმალავდი თქვენთან არის.

— სად არის ამჟამად ჯაყელი?

— შეეშინდა და გაიპარა. ალბათ ძმასთან იქნება ქალაქში. მე კი აქ უნდა ვიჯდე — გაბრაზებით სიტყვა პატიმარმა, — ყველაფერი მისი ბრალია.


ვინ იყო მესამე თქვენთან ბამბუკის ტყეში?

— არაფერ. თქვენ ისე მეკითხებით თითქოს რამეში ბრალი მიმიძლოდეს. მართალია, ჯაყელს საშუალება მიეცა მისი ნივთები ჩემთან შეენახა, მაგრამ ამაშიც ვერ ვხედავ რაიმე ბოროტ-მოქმედებას. ვისი რა საქმეა საკუთარი საქონელი სად აქვს კაცს შენახული. მე რაღაც გაუგებრობის გამო დამაკავეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ შეცდომას მალე გამოასწორებთ და გამანათვისებთ.

დარსაძე კატეგორიულად უარყოფდა რაიმე დანაშაულს, თავს იკატუნებდა, კითხვებზე პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა და მაცდური ღიმილით ერთსა და იმავეს იმეორებდა. ბოლოს ისიც კი განაცხადა, — მიგიხვდით, ალბათ, ბასაძის მკვლელობა გინდათ დამაბრალოთო.

— რატომ, ახსენეთ ბასაძე — მიუფო გამომძიებელმა — თქვენთვის ასეთი კითხვა არავის მიუტია.

— ვიცი, ვიცი, ამის გამო რომ ჩავვარდი, თორემ ისე აქ რა მიხდოდა.



— თქვენ უკვე აღიარეთ, რომ თქვენ და ჯაყელი მკვლევლობის დღეს მართლაც იყავით ბამბუკის ტყეში, შემთხვევის ადგილზე. ხომ ვერ გვეტყვიან კერძოდ რისთვის?

— რისთვის და იქ ვიკრიბებოდით საერთოდ, (ზოგჯერ კარტს ვთამაშობდით.

— ეგ სწორია, — მიუგო პროკურორმა, — ის ადგილიც ისევე ბნელია როგორც თქვენი საქმეები. აი, ხომ ხედავთ დარსაძე, ცოტა ხნის წინათ თქვენ არაფერში არ ცნობდით თავს დამნაშავედ, ახლა კი როდესაც უფრო მძიმე დანაშაულზე აღიბრა ეპვი, იძულებული ვახდით აღიაროთ, ის რასაც პირველად უარყოფდით.

— მართალია, მიუგო დარსაძემ, — ჯაყელთან ერთად ზოგჯერ დავდიოდით სხვადასხვა ქალაქებში პირად საქმეზე.

— სასპეკულაციოდ, — გაუსწორა გამომძიებელმა.

— აქედან მიგვექონდა საკუთარი ხილი და დავნის ფოთოლი, ხოლო იქ ნაცნობ მეგობრების თხოვნით ვიძენდით ზოგიერთ ნივთებს, მაგრამ არავითარი გამორჩენა ჩვენ არ გვექონდა.

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკეთ, — უთხრა გამომძიებელმა — ახლა გვითხარით რა დამოკიდებულებაში იყავით კოლმეურნეობის ბრიგადირ ბასაძესთან?

— მაინც და მაინც არ გვიყვარდა ერთმანეთი. წაჩხუბებულები ვიყავით, ვინაიდან მისი ინიციატივით კოლმეურნეობიდან გავვირცხეს.

— ბოლომდე განაგრძეთ, — მიუთითა გამომძიებელმა.

— ძალით ვინდათ გამხადოთ კაცის მკვლელობა თუ რაშია საქმე?

— დარსაძე — დაიწყო პროკურორმა — ჩვენ სიმართლეს ვეძებთ და სულაც არ გვსურს ვინმე უდანაშაულო პირთგნებას მოვახვიოთ თავზე ასეთი მძიმე ბრალდება.

სად იყო სერგო ჯაყელი? მკვლევლობის წინა დამეს, როგორც ცნობილია, მან დატოვა დარსაძის სახლი, მასპინძელთან უსიამოვნობის გამო. კვირას კი გაიგო რა ბასაძის მკვლელობა დასკვნა, რომ ნამდვილად დარსაძემ და ომაძემ მოკლესო და გადაწყვიტა მიმალულიყო სანამ გამოძიება დამთავრდებოდა, მაგრამ მილიციის მუშაკებმა დააკავეს იგი თბილისში.

ჯაყელმა გამომძიებლის ოთახში შესვლისთანავე შეჰყვირა — ჩემი ცოდვა მიეცეს დარსაძესო.

— კი მაგრამ რა ვინდათ დარსაძისაგან?

— როგორ თუ რა! თქვენ გგონიათ არ ვიცი, რისთვის დამაპატიმრეთ? დასამალი მე არაფერი მაქვს... მართალია, უშუალო მკვლელობა არ ვარ, მაგრამ მეც მიმიძღვის მცირე დანაშაული, რადგან მათი განზრახვა ვიცოდით.

— ვინ მონაწილეობდა კიდევ ამ განზრახვის განხორციელებაში?

— ვინ და... როგორ სპირიდონ ომაძე არ დავიჭერით?

— მესამე, — თვალზე გაუბრწყინდა გამომძიებელს.

ჯაყელმა დაწვრილებით უამბო გამომძიებელს რაც იცოდა.

ომაძე იგივე ნაფეტვარიძე კატეგორიულად უარყოფდა რაიმე ახლო დამოკიდებულებას ბასაძესთან და ჯაყელთან. გვარის შეცვლა კი იმით ახსნა, რომ წინათ სხვა რაიონში გამასამართლეს საქონლის დანაკლისისთვის, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შემოშლიდა ისევე მოვწყობილიყავი სავაჭრო ორგანიზაციაში. ამიტომაც, ყალბი საბუთები შევადგინე და გვარი გამოვიცვალეო. გამოირკვა ისიც, რომ ნაფეტვარიძის უფროსი ვაჟი ლენინგრადში იმყოფებოდა, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ ჯერჯერობით გამოძიებამ არაფერი იცოდა. დაკითხვის შედეგები მელქიშვილმა დაუყოვნებლივ მოახსენა პროკურორს.

— კოტე, არის შემთხვევები, როცა ერთი საქმის გამოძიებისას, იხსნება სრულიად ახალი საქმე, რომელსაც შესაძლოა პირველთან არაფერი ჰქონდეს საერთო. ვშიშობ გორგილადის მაგალითი არ გავიმეოროთ.

— დიახ, ამხანაგო პროკურორო, მეც მაგ აზრის ვარ. გუშინ დიდხანს ვამუშავებდი მასალებს. აი, დააკვირდით ადამიდიბელი მინით ამ კვალს, შემთხვევის ადგილზე პირველად რომ ავიღე. იქნებ მე მეჩვენება?

— მკაფიოდ აქ არაფერი ჩანს. არის რაღაც მცირე მოცულობის, გაშავებული უბნები, მაგრამ ერთნაირი სიდიდისა.

— მეონი ეს ნალის კვალი უნდა იყოს.

— მართლაც, აშკარად შეიმჩნევა ნალები. ასეთ ფეხსაცმელს ალპინისტები და მოხეტიალე ბოშები ატარებენ.

— კეთილი, ახლა გავიმეოროთ, დღეისათვის რა მასალა მოგვეპოვება ბასაძის მკვლელობასთან დაკავშირებით.

— დღეისათვის დადგენილია, რომ პატიმარი დარსაძე სხვებთან ერთად იყო შემთხვევის ადგილზე მკვლელობის წინა დღეებში, რასაც ადასტურებს ყველა გარემოება და, მათ შორის, შემთხვევის ადგილზე დარჩენილი პაპიროსის ნაშვები, მაგრამ მათი მონაწილეობა ამ ბოროტ-მოქმედებაში მაინც საეჭვოა.

პროკურორი ჩაფიქვდა.

— როგორც ხედავთ — თქვა მან ცოტახნის შემდეგ — ახალმა მასალებმა ახალი დაბრკოლებები შეგვიქმნეს. მასალები თანდათან მატულობს და ერთმანეთში იხლართება. ერთი მხრივ იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ

პირებს თითქოს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეთ ბასაძის მკვლელობასთან, მაგრამ მეორე მხრივ ისიც დადგენილია, რომ მკვლელობის მომენტში სამივე სახლში იყო. მაშასადამე, რა აკავშირებს ამ პირებს მკვლელობასთან?

— განზრახვის გეგმის დამთხვევა მკვლელობის დროსთან და ადგილთან.

— კიდევ.

გამომძიებელი წამით შეყოვნდა.

— აი, სად არის საჭირო თქვენი ინტუიცია.

— დიახ, პატივცემულო მიხეილ, და ამიტომაც, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს სად არის გორგილაძის თოფის ორი მასრა, მოკლულის ტყავის ჩანთა და ის კაცი, რომელმაც შემთხვევის ადგილზე ნალის ძირიანი ფეხსაცმლის საეჭვო კვალი დატოვა. მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ახალსოფელში იმ ხანებში იღვა ბოშათა რამდენიმე კარავი და, როგორც მე ვფიქრობ, მგონი, რომელიღაც ბოშას რაღაც საეჭვო კავშირი უნდა ჰქონდეს ამ საქმესთან. რაც შეეხება, დარსაძეს და მის ძმაბიძეებს, მათი საქმე სულ სხვაა და ცალკე უნდა წარგმართოთ...

თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

— დიახ. ისინი უბრალოდ დროსტარებას ვადაყოლილი, ყალთაბანდები და სპეკულანტები არიან, თუ აღამიანების რაიმე მესმის, შემოძლია დაგარწმუნოთ, რომ კაცის სისხლში მათი ხელი ნამდვილად არ ურევია.

— ამრიგად გამოდის, რომ ძირითადი საქმე დღეისთვის გაუხსნელი გვაქვს. მამ ვიმოქმედოთ, რაღის ვუტყდით?

— დიახ, სწორედ ამ მხრივ უნდა წარიმართოს დღეიდან გამოძიება.

მილიციის მუშაყების დახმარებით გამომძიებელმა მალე ზუსტად დაადგინა, რომ ახალსოფლის ტერიტორიაზე იმხანად მართლაც იღვა ბოშათა კარავები, ზოგიერთების გვარიც გაიგო, მაგრამ მკვლელობის შემდეგ, ისინი არავის უნახავს. ამავე დროს, ისიც შეიტყო, რომ ამ ბოშათავან რამდენიმე კაცი დაკავებულიც ყოფილა საგამომძიებლო ორგანოების მიერ, მაგრამ სად და რისთვის ჯერჯერობით ვერ დაადგინა. ამიტომ კერძო დავალება დაუგზავნა მთელ რიგ რაიონებს, ხოლო ზოგიერთ ადგილზე შესამოწმებლად თვითონ გაემგზავრა.

11.

დღით პროკურორი ადრე მოვიდა სამსახურში. მდივანი გოგონა უკვე მოსულიყო და მასალებს ბეჭდავდა. ოთახი განიავებული დაუხვდა. ფართოდ გაღებული ფანჯრიდან ზღვის საამო ნიავი შემოდიოდა.

მიხეილმა ქუდი მოიხადა და ოთახი შეათვალიერა. დამლაგებლის მზრუნველი ხელი ეტყობოდა იქაურობას. დეიდა დაშას სარკესავით დაეკრიალებინა ყველაფერი.

— ახალი რა არის, ეთერ ქალო? — მიუბრუნდა მიხეილი მდივანს.

— გუშან როგორც კი წახვედით, თბილისიდან დარეკეს.

— რაო?

— თქვენეი თანაშემწე ვლადიმერა. გარეუბნის რაიონის პროკურორის კერძო დავალებაა.

— მერე, ვის გადაეცა ეს საქმე?

— გამომძიებელ გრძელიძეს.

— აბა, თხოვეთ.

მიხეილმა პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, გაბოლა და, როგორც კი გრძელიძე შემოვიდა საქმით ხელში, მაგიდას მიუჭდა.

— აბა, ვნახოთ ერთი რაშია საქმე.

თბილისის გარეუბნის რაიონის პროკურორი თავის კერძო დავალებაში იტყობინებოდა, რომ მათ წარმოებაში ჰქონიათ მძარცველთა ჯგუფის საქმე. ბოროტმოქმედთ კედელი გამოუწვრვავით და ისე გაუძარცვავთ ერთი მალაზია, მეორეს გატყვევის დროს კი, ისინი ადგილზევე შეუპყვრია მილიციის მუშაყებს. ნაძარცვი საქონლის დიდი ნაწილი ვინმე იგიდნანოვის სახლში აღმოჩნდა. მალაზიის მუშაყებმა ამოიციანეს გატაცებული საქონელი, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა ისეთიც, რომლებიც აღნიშნულ მალაზიას არ ეკუთვნოდა. ამასთან დაკავშირებით, ერთერთ მძარცველს ჩვენება მიუცია, რომ ეს ახალსოფლის მალაზიიდან წამოვიღეთო. გარეუბნის რაიპროკურორის მოთხოვნაზე რაიკავშირის გამგებობას უტნობებია, რომ ახალსოფლის მალაზია არ გაუქურდავთო. განმეორებით დაკითხვის დროს კი, პატიმარი დაბეჯითებით უჩვენებდა ახალსოფლის მალაზიის ვაძარცვის ფაქტს.

— რა ზომები მიიღეთ ამ დავალების შესასრულებლად? — იკითხა მიხეილმა.

— გუშინვე გამოვარკვეე, ამხანაგო პროკურორო, რომ ჩვენს რაიონში ამ ბოლო დროს საერთოდ არ გაუძარცვიათ მალაზია. სხვა არა მიღონია რა, რადგან ვიცოდი, რომ პატიმარი ომადის საქმე გამომძიებელ მელიქიშვილს აქვს და ვუტყდით მის ჩამოსვლას.

— აღნიშნული მასალები გთხოვთ კოტეს გადასცეთ.

მეორე დღეს ომაძე — ნაფეტვარიძე დაკითხვაზე გამოიძახეს. მელიქიშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ მოულოდნელ ამბავთან, რაღაც მიზეზობრივი კავშირი უნდა ყოფილიყო, რადგან დრო ბამბუქის ტყეში მომხდარ მკვლელობას ემთხვეოდა.

— ბრალდებულო ომაძე, იგივე ნაფეტვარიძე. რომელ საათზე გაიგეთ მალაზიის გაძარცვის ფაქტი? — შეეკითხა გამომძიებელი.

პატიმარმა თავი ჩაღუნა. იატაკს დაშტერდა. დუმდა. არც პროკურორი და გამომძიებელი არღვევდნენ სიჩუმეს.

— მე რომ დამაკავებს, მეგონა მაგ საკითხზე მაპატიმრებდით, მაგრამ მალე გავიგე, რომ თქვენ სხვა რამ გავინტერესებდათ...

— გიმეორებთ, რომელ საათზე გაიგეთ მეთქი მალაზიის გაძარცვის ფაქტი — შეაწყვეტინა გამომძიებელმა.

— დილის რვა საათზე.

— შემდეგ, — თქვენ სასწრაფოდ წახვედით მალაზიაში, რათა წინაღობით მიღებული უფაქტურო საქონელი, რომელიც უფროსმა ვაჟმა გამოფიგზავნათ ლენინგრადიდან, მალულად შეგეტანათ მალაზიაში. საერთოდ, სამრეწველო საქონლის ნაწილს სარეალიზაციოდ აძლევდით დარსაძეს და ჯაყელს, რომლებიც გაზრდილ ფასებში ჰყიდდნენ მათ, მოგებულ ფულს კი ერთად ინაწილებდით. იმ დღით ნახეთ, რომ მალაზია გატყეხილი იყო... მძარცველებს თქვენი საქონელი მთლიანად წაეღოთ. გამოდის თქვენ უფრო „დაზარალები“, ამიტომ საჭიროდ არ სცანით გაძარცვის გამომყვანება, პირიქით ყველა ზომა მიიღეთ მის დასაფარავად. ამავე დროს არც მალაზიაში გქონდათ საქმე მოგვარებული. მალაზიის საქონლის მცირე დანაკლისის დაფარვას კი ადვილად შეძლებდით. რას იტყვით ამაზე?

— რაღა მეთქმის, — დატუქსული ბავშვივით ჩილაბარაკა ომაძე-ნაფეტვარიძემ.

მეორე დღეს, მელიქიშვილმა ბასაძის მკვლელობის საქმე თბილისში წაიღო რესპუბლიკის პროკურატურის სავამომძიებლო განყოფილების უფროსთან მოსახსენებლად, თან პატიმარი ომაძე — ნაფეტვარიძეც წაიყვანა ნაძარცვი საქონლის ამოსაცნობად.

პატიმარმა მყისვე ამოიციწო თავისი საქონელი, რომელსაც, ჯერ კიდევ, შემორჩენოდა ლენინგრადის საწყობის იარლიყები...

გარეუბნის რაიონის პროკურორი გამომძიებელს უსმენდა. მელიქიშვილი კი სავარძელში იჯდა და მათ დიალოგს ადევნებდა თვალყურს. უნებლიედ გაახსენდა მისი და მიხეილის საუბარი. ამ ფიქრებში ვართულმა თვალი მოჰკრა ტყავის ჩანთას, საიდანაც გამომძიებელმა მაგიდაზე გადმოყარა მაჯის რამდენიმე საათი და სხვა ძვირფასი სამკაულები.

— ვისია ეს ჩანთა? — ცნობისმოყვარეობით ეკითხა მელიქიშვილმა.

— მძარცველებისა. იგიღხანოვის ბინაში არის აღმოჩენილი.

— მართლა? შესანიშნავია!

— რა, ჩანთა?

— ჰო, ჩანთა.

— ბევრი არაფერია. ჩვეულებრივი ტყავია.

— არა, მე სხვა რამ მაინტერესებს. ვგონებ, ეს არის რასაც ვეძებთ. შეიძლება, რაიონის დამაკავშიროთ?

— სიამოვნებით.

გარეუბნის პროკურატურის მუშაკებთან ერთად ნახევარი საათის შემდეგ მელიქიშვილი პირისპირ შეხვდა ბოროტმოქმედთა ჯგუფს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა მათი ხელმძღვანელი, რომელსაც მეტსახელად „ულვაშა“ ერქვა. მას შებრტყელებული სახე და მეტად დანაოჭებული შუბლი ჰქონდა. მასთან მცირე ხნის საუბრის შემდეგ, მელიქიშვილი დარწმუნდა, რომ მის წინ მკვლელი იჯდა.

12.

მეორე დღესვე ჩამოვიდა ბასაძის ქალიშვილი და იცნო მამამისის ტყავის ჩანთა.

ამის შემდეგ საქმე სწრაფად წარიმართა. რაც მთავარი იყო, მელიქიშვილი დარწმუნდა, რომ არ უღალატა ალღომ. ერთერთმა ბოროტმოქმედმა პირველსავე დაკითხვაზე უჩვენა, რომ ახალსოფლის მალაზიის გაძარცვის დროს ჩვენმა ხელმძღვანელმა ცირულენკომ, იგივე „ულვაშამ“ ვიღაც მდევარი მოკლაო. „ულვაშას“ პირველადი საბუთები წარუდგინეს, ბოლოს ისიც აღიარა, რომ მკვლელობა თოფის ორი მასრით ჩავიდინე, რომელიც ვიღაც ბიჭს მიეცა ჩემი ბავშვებისათვისო. ეს მასრები, როგორც ვიცით, პირველად ეკვმიტანილ გორგილაძეს ეკუთვნოდა.



გვიან ღამით პროკურორი და გამომძიებელი საქმეზე შეგროვილ მასალას აჯამებდნენ.

— აბა კოტე, მგონი კვანძი მთლიანად გაახსნა, გავიმეორეთ საქმის ვითარება.

გამომძიებელმა საქმის რამდენიმე ტომი მაგიდაზე დააწყო.



— მაშასადამე, პარასკევს, 17 ივნისს, კოლმეურნეობის ბრიგადირი ბასაძე თბილისიდან ღამის თორმეტ საათს და ოცდასამ წუთზე დაბრუნდა და ფეხით წამოვიდა შინისკენ.

ბნელი ღამე იყო. სოფლის მალაზიასთან გავლის დროს მან რაღაც ლანდები შენიშნა. მიხვდა, რომ მალაზიას ძარცვავდნენ. მერე ტომარა აკიდებული ორი კაცი დაინახა და უკან გაჰყვა მათ. მძარცველებმა შარავზე გადაჭრეს, ბამბუკის ტყეში შეუხვიეს. მაშინ ბასაძემ გადაწყვიტა გზა გადაეჭრა მათთვის და იქვე, ახლოს მცხოვრებ მილიციის უბნის რწმუნებულს დაკავშირებოდა. სწორედ აქ შეხვდა ის ბოროტმოქმედებს პირისპირ. დაკითხვაზე პატიმრებმა აღიარეს, რომ როცა მდედარი შევამჩნეთ ტყეში შევედით, დანარჩენი უკვე ცნობილია.

* * *

პროკურატურაში ბასაძის მკვლელობის საქმეზე საბრალდებო დასკვნის უკანასკნელი გვერდები იბეჭდებოდა, როცა მიხეილმა საქმის დამთავრება მოახსენა რაიკომის მდივანს.

— ძალიან კარგი, — უთხრა მდივანმა, — კმაყოფილი ვართ გამოძიების შედეგით. მაგრამ, ახლა გთხოვთ ერთი რამ მიიღოთ მხედველობაში. მოსახლეობის თხოვნით სასამართლო პროცესი ადგილზე უნდა ჩატარდეს და, აბა, თქვენ იცით სასამართლოსთან ერთად როგორ კარგად მოაწყობთ მის ორგანიზაციას.

— ყველაფერი წესრიგში იქნება, ამხანაგო მდივანო.

არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო მიხეილმა, როცა ქუჩაში გამოვიდა. იგი მიდიოდა წელიწადით და თითქოს საფიქრებელი არაფერი ჰქონდა.

— უკაცრავად — მოესმა მას.

მიხეილმა მოიხედა. მის წინ გორგიალაძე იდგა.

— აა, გამარჯობათ, გამარჯობათ! როგორ გუკითხოთ?

— გმადლობთ, კარგად. ოღონდ... მადლობა უნდა გადაგიხადოთ...

— მადლობა?

— დიახ. რა თქმა უნდა, ვიცოდი რომ სიმართლე არ დაიკარგებოდა, მაგრამ, ხომ იცით, მაინც შევწუხდი.

— როგორ გეკადრებათ. პირიქით, საბოლოო ჩვენ გვაქვს, რომ პირველ ხანებში ცოტა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

მიხეილი მეგობრულად გამოემშვიდობა მას და პროკურატურისაკენ წავიდა.

მელოქიშვილი მისაღებში დაუხვდა.

— განცხადება მომიტანე კოტე?

— რა განცხადება? — გაიკვირვა გამოძიებელმა.

— ხომ შეგპირდით, ბასაძის საქმის დამთავრებისთანავე დავწერდი შუამდგომლობას სხვა რაიონში სამუშაოდ თქვენი გადაყვანის შესახებ, მიუგო მიხეილმა ღიმილით. და თან რესპუბლიკის პროკურორის ბრძანების ასლი გადასცა მისი დაჯილდოების შესახებ.

კოტე ბავშვივით გაწითლდა და რაღაც ჩაიბუჩტყუნა თავისთვის...

* * *

გავიდა ხანი.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ახალსოფლის ჩაის ფაბრიკის დირექტორის კაბინეტში ახალგაზრდა ვაჟი გამოცხადდა.

— პატივცემულო დირექტორო, მე დაწვრილებით გიამბებ ჩემს შესახებ ყველაფერი. არაფერი არ დამიმაღავს. ზუსტად ასევე ვლინარე საგამომძიებლო ორგანოებშიც. დიახ, ზედამხედველობას მოკლებული ვიზრდებოდი, მაშას ჩემთვის არ ეცალა, ხოლო როცა წამოგზარდე თავის საქმეებში გამომიყენა... ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი პატიოსნად ვიმრომო თქვენს კოლექტივში. გაძლევთ ადამიანურ სიტყვას, რომ თუ სამუშაოზე მიმიღებთ, გავამართლებ ამ დიდ ნდობას.

ცოტა ხნის შემდეგ, კადრების განყოფილებაში შრომის წიგნაკი შეავსეს ახალგაზრდა ფრიდონ ნაფტევიანიძის სახელზე.



ჭიჭიკა ვაზ ბიჭოძე

იუკრიული ღიგეკუჰის სკიოზული ზენეჰენი

ს. ჯოზენადის წიგნი—„სახელმწიფო სოცი-
ალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავში-
რში“ წარმოდგენს კაბიტალური ხასიათის ნა-
შრომს. მასში მრავალი სოციალური და სამა-
რთლებრივი პრობლემა განხილული.

შრომის პირველ ნაწილში ავტორი მიმოი-
ხილავს სოციალისტურ საზოგადოებამდე არსე-
ბული საკუთრების ფორმებს. მეორე ნაწილში
გადმოცემულია სოციალისტური საკუთრების
წარმოშობის ისტორია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შრო-
მის პირველი ნაწილი, რადგან აქ ავტორი ეხე-
ბა სოციალური მეცნიერების მრავალ კარდი-
ნალურ საკითხებს.

ერთი შეხედვით, მკითხველის წინაშე შეიძლე-
ბა დაისვას ასეთი კითხვა: რა შეიძლება ითქვას
ახალ, ისეთ სოციალურ ფენომენებზე, როგო-
რიცა სხვადასხვა სახის საკუთრება ან წარმო-
ების ფორმები, რომლებიც შრომის პირველ
ნაწილშია განხილული. ეს პრობლემები ხომ
კაცობრიობის მსკელობის უმნიშვნელოვანეს
საგანს წარმოადგენდა ყველა დროში. მით
უმეტეს, როდესაც ამ კითხვებზე გამოკვეთილ-
დაა გაცემული პასუხი საბჭოთა მარქსისტულ
ლიტერატურაში, რომლის დასკვნებითაც განუ-
ჩრეულად და უხვად სარგებლობს ავტორი.

ასეთი კითხვა შეიძლება უფრო საფუძვლი-
ანად მოგვეჩვენოს, თუ მხედველობაში მივი-
ღებთ იმ გარემოებას, რომ ავტორს საკუთარი
კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალა არა აქვს
და იგი სარგებლობს არსებული მონაცემებით.

მაგრამ ცოდნის განუსაზღვრებლობა სწორედ
იმაშია, რომ ძველი და მარადიული პრობლემე-
ბი ახლებურ კვალიფიკაციას იღებენ ფართო
დიაპაზონის შემეცნებით გამოკვლევაში, მასა-
ლის უფრო ღრმად გაანალიზების, ცოდნის
ყველა სფეროში მოპოვებული მონაცემების და-
პირისპირებისა და მოვლენათა შორის ახალი
კავშირის აღმოჩენის გზით.

შრომში თითოეული საკითხის ირგვლივ მო-
ცემულია პარალელური იდეები, ტიპურიდან
გადახვევის მაგალითები. მეცნიერების სხვადა-
სხვა სფეროში მიღებული მიღწევები უხვდაა
გამოყენებული ამა თუ იმ პრობლემის განხი-
ლისას.

ამ მხრივ ეს შრომა განსაკუთრებით ძვირფა-
სია.


ს. ჯოზენადე საფუძვლიანად აკრიტიკებს კე-
რძო საკუთრების წარმოშობის შრომით თეორი-
ას. მისი შეხედვლებით, რომელიც მარქსი-
ზმის კლასიკოსების დასკვნებს ემყარება,
კერძო საკუთრება გაჩნდა გაცვლის პროცესის
განვითარების შედეგად (გვ. 40, 41). მაგრამ
ავტორი არ კმაყოფილდება ამ დასკვნით, მას
მოჰყავს მაგალითები, როდესაც მიწის დაკავე-
ბითაც წარმოიშობოდა საკუთრება, მაგალითად
ქართული სამართლის მიხედვით (გვ. 29). უფრო
მეტად, ავტორი რუსეთის კოლონიზაციის გან-
მტკიცებას და გავრცელებას განაპირა კუთხე-
ებში მიწის დაუფლებით ხსნის (გვ. 32). მართ-
ლაც, ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლე-
ბა მოყვანილ იქნას შემდეგი ფაქტი: პოლიტი-
კური ფაქტორებით გამორკვეული კრიზისი იმ-
დენად ძლიერი აღმოჩნდა მე-16 საუკუნის რუ-
სეთში, რომ გლეხობა მასიურად ტოვებდა მი-
წებს და განაპირა კუთხეებში გარბოდა, განსა-
კუთრებით სამხრეთით. მიწების დაცარიელება
ზოგიერთ რაიონში 90 პროცენტს აღწევდა, ხო-
ლო თვით მოსკოვის რაიონში 40 პროცენტს.
გაქცეული გლეხობა მიწის დაუფლების საშუა-
ლებით თავისუფალი ხდებოდა. მხოლოდ შემ-
დეგში შესძლო მოსკოვის მთავრობამ, კოლო-
ნიზატორების მხრივ თავისუფალი მიწით სარ-
გებლობის ლიკვიდაცია.¹

ეს გამონაკლისი საერთო კანონზომიერებიდან
მიგვითითებს იმაზე, თუ რამდენად ფრთხილად
უნდა მოვეყარათ საერთო კანონების გავრცე-
ლებას კონკრეტულ შემთხვევაზე და რამდენად
საშიშოა მათი ბოროტად გამოყენება.

ს. ჯოზენადის შრომის ღირსება სწორედ იმა-
ში მდგომარეობს, რომ იგი პირდაპირ და
არამოკიდებრივ, გამოდგმებით ავლენს მკი-
თხველს სოციალური მოვლენის სირთულეზე,
და ამით მეტ დაკვირვებულობას მოითხოვს იმი-
საგან, ვისაც ამ საკითხზე სურს აზრი გამო-
თქვას.

წარმოებას, ავტორი განიხილავს ისტორი-
ულ ასპექტში, როგორც სოციალური ცხო-
ვრების გამაპირობებელ და მამოძრავებელ ფა-
ქტორს. მაგრამ საზოგადოებრივი მეცნიერების
სპეციალური მიზნების შესაბამისად, წარმო-

¹ И. И. Смирнов, Восстание Болотникова, 1951 г. стр. 47, 74, 129.



ება აღიარებულია ისეთ მოცემულობად, რომელშიაც მისგან დამოკიდებული ფენომენები გარკვეულ ერთიანობაშია მასთან.

ამ საკითხის შესახებ ავტორი წერს: „ამასთან მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ არა მარტო საკუთრება ხორციელდება წარმოების მეოხებით, არამედ წარმოებაც არ არსებობს საკუთრების რომელიმე ფორმის გარეშე. მაშასადამე, საერთოდ, წარმოებას ყოველთვის აქვს საკუთრების ფორმა. უფრო მეტიც, კონკრეტულ სინამდვილეში წარმოებისა და საკუთრების ფორმები ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ფორმალურ-ლოგიკური კატეგორიები კი არ არიან, არამედ ყოველთვის ერთად არსებობენ და მათი გამოყოფა მეცნიერული აბსტრაქციის დროს იმისათვის ხდება, რომ ამ რთული საზოგადოებრივი მოვლენების არსი უფრო ზუსტად და ღრმად განისაზღვროს. შრომის იარაღებს ყოველთვის უნდა შეუერთდეს როგორც ცოცხალი შემადგენელი ნაწილი წარმოების მუშაის შრომა“ (გვ. 15).

მხოლოდ ასეთი შეხედულება უზრუნველყოფს სოციალოგიის არსებობას და დამოუკიდებლობას.

თუ პოლიტიკური ეკონომია სპეციალურად შეისწავლის წარმოებას, ხოლო სამართლის მეცნიერება იურიდიულ ნორმებს, სოციოლოგიისათვის ეს ასპექტები მთლიანობაშია მოცემული, ვინაიდან იგი სწავლობს საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც ერთიან მოცემულობას.

ამ თვალსაზრისით, წარმოუდგენელია ისეთი წარმოების არსებობა, რომელსაც სამართლის ნორმები არ აწესრიგებდეს. როგორც ცნობილია, საკუთრება სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენს და შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებაში.

„საკუთრების შენარჩუნება, მისი არსებობა, განვითარება,—ამბობს ავტორი, — წარმოების ფორმების მეშვეობით ხორციელდება. ასეთ უმჭიდროეს ურთიერთკავშირში იმყოფებიან საკუთრება, როგორც წარმოების სტატიკური ფორმა და წარმოება, როგორც საკუთრების დინამიკური ფორმა. მაშასადამე, საკუთრებათა „გარსი“ მუდმივად თანსდევს წარმოებას“ (გვ. 16).

წარმოების „გარსი“ ანუ რასაც უმჯობესია საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა ვუწოდოთ, მხოლოდ მომწესრიგებელი ნორმების სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამ ნორმათა შორის უმნიშვნელოვანესია არიან სამართლის ნორმები.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს საკუთრება, ყოველთვის საკუთრების რეალურ ურთიერთობას გამოხატავს. იურიდიულ ფორმას მხოლოდ სამსახურებრივი ფუნქცია აქვს,

თუმცა თავის მხრივ „აქტიურ ზემოქმედებას“ ახდენს წარმოებაზე“ (გვ. 17).

ხომ არა გვაქვს საქმე წინააღმდეგობასთან, როდესაც ერთის მხრივ ნორმებს (საკუთრებას) წარმოებით ურთიერთობის ფორმად, მის განუყოფელ ინგრედიენტად ვაღიარებთ, რომლის გარეშე შეუძლებელია კლასობრივი საზოგადოების წარმოდგენა და მეორეს მხრივ, როდესაც ეს ფორმა სამსახურებრივ მნიშვნელობის მოვლენად დაგვყავს.

ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია. ისევე როგორც ყოველი ცალკე სოციალური ფენომენის ფორმა, წარმოებით ურთიერთობის ფორმაც, მისი ფორმალურ-რელიგიური ნიშნობა, და, მაშასადამე, მოვლენის მყარ და უცვლელ მხარეს გამოსახავს, განსაზღვრავს რა ამით მის ლოგიკურ იგივეობას დროში.

სამართლის სისტემა მუდმივ ცვალებადობაშია და დამოკიდებულია წარმოების განვითარებაზე. ასეთ ცვალებადობას განიცდის განსაზღვრული ნორმების სისტემა (საკუთრება) და არა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, როგორც შემეცნებითი კატეგორია.

ასეთი დასკვნა თავისთავად გამოიმდინარეობს ავტორის შემდეგი შენიშვნიდან: „წარმოებით განსაზღვრული საკუთრების ფორმა მისი წარმოშობის შემდეგ თვითონ ხდება წარმოებაში ცალკეული სოციალური ჯგუფების მდგომარეობისა და ურთიერთდამოკიდებულებების განსაზღვრის პირობად, თავის მხრივ წარმოების ფორმების განვითარება იქცევა წინამძღვრად წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმების განსაზღვრისა“ (გვ. 16).

აღამიანები თავის საწარმოო გამოცდილებით და შრომითი ჩვევებით წარმოებით ურთიერთობის სუბიექტურ მხარეს წარმოადგენს. მართალია, მთელი მათი საქმიანობა განსაზღვრულია არსებული წარმოებით შექმნილი კანონზომიერებით, მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ს. ჯორბენაძე „ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღამიანები პასიური მეთვალყურენი არიან საზოგადოების განვითარების პროცესისა“ (გვ. 7). პირიქით „აღამიანები შეგნებით დაჯილდოვებულნი თვითონ ქმნიან თავის ისტორიას, რომ მათი ღიალი შემოქმედებითი ენერჯის საშუალებით ასპარეზო საწარმოო ძალების ჩარჩოებითაა განსაზღვრული“ (გვ. 7).

ავტორი სპეციალურად არ განიხილავს აღამიანის ნების საკითხს. მაგრამ მისი შეხედულება ამ საკითხზე დედუციურებული უნდა იქნეს მისი ზემოთ აღნიშნული სიტყვებიდან და საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებიდან, როგორც ერთიანობიდან, სადაც სამართლის ნორმები „გარსის“ როლს ასრულებენ.

ნების თავისუფლება არ წარმოადგენს თვით-

ნებობას. მაგრამ, თავისუფლება არ განისაზღვრება მარტოოდენ აუცილებლობის შეგნებით.

თავისუფლების ასეთ გაგებასთან ერთად მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ აღამიანებს სოციალური ცხოვრების ფარგლებში შეუძლიათ მოახდინონ შესაძლებელ მოქმედებათა შორის ერთ-ერთის არჩევა.¹

ავტორი არც მეორე საკითხზე შეჩერებულა, რომელიც იმავე პრინციპებიდან გამომდინარეობს: სამართლის ნორმების როგორც სოციალური ცხოვრების „გარისს“ (ჩვენი გამოთქმით „ფორმის“) მნიშვნელობაზე განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის მიმართ.

თუ სამართლის პოლიტიკაში არ გადავიჭრებით და სამართლის ნორმებს ტექნიკურ-იურიდიული თვალსაზრისით განვიხილავთ, ისინი თავის ფუნქციას შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი იქნებიან მოცემული წარმოებისა და მომწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

სამართლის ნორმები იმანენტურად შეიცავენ სავალდებულობის მოთხოვნას და თუ ეს მოთხოვნა ხორციელდება თვით კანონმდებლის მიერ, მაშინ ჩვენ შევძლებთ სამართლის ნორმების შინაარსის ცვალებადობის მიუხედავად დავასაბუთოდ უფლებრივი რეჟიმის ცნება და გავმიჯნოთ ასეთი რეჟიმი თვითნებობისაგან და ანარქიისაგან.

განხორციელებული კანონიერება გარკვეულ სიკეთეს ქმნის და დემოკრატიის ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

ამგვარად, გავგება სამართლის ნორმებისა, როგორც წარმოების „გარისსა“ (ფორმისა) მთლიან და კონსტრუქციულ შეხედულებას გვიქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ავტორის ეს შეხედულებანი არ უნდა ავურიოთ **ო. ს. იოფეს** შეხედულებას ამავე საკითხზე, რომელსაც მხოლოდ გარეგნულად აქვს მსგავსება მასთან. **ო. ს. იოფემ** თავის შრომაში — „Правоотношение по советскому гражданскому праву“ დაასაბუთა სამართლის ნორმათა სისტემა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების გარეგანი წინაპირობა.

„საკუთრების მარქსისტული ცნება, — ამბობს **ო. იოფე**, — შეიცავს წარმოებით ურთიერთობის ერთობლიობის ცნებას, რომელიც თავის გამოხატულებას საკუთრების უფლების იურიდიულ ფორმაში პოუვებს. ამასთანავე ეს ისეთი ფორმაა,

რომლის გარეშე შეუძლებელია კლასობრივ საზოგადოებაში საკუთრება არსებობდეს.“²

საკუთრების ფორმა, განაგრძობს **ო. იოფე**, წარმოადგენს წარმოების წესის წინაპირობას, რომელიც თავის გარეგნულ გამოვლინებას იურიდიულ სისტემაში პოულობს. მაშასადამე, ასკენის **ო. იოფე**, „ეს უკანასკნელი (ე. ი. წარმოების წესი) განმტკიცდება სამართლის ნორმებით, ხოლო საკუთრებიდან გამომდინარე ურთიერთობები კი ამით იღებენ უფლებრივ ურთიერთობის სახეს.“³

ამგვარად, **ო. იოფეს** შეხედულებით საკუთრება წარმოების „წინაპირობაა“ და მისი მოძრაობის გარეგნული საშუალება.

ორივე ავტორი გაურბის საზოგადოებრივი ცხოვრების განაწევრებას მატერიალ და ფორმად (ფორმა არ შეიძლება მატერიის გარეშე) და ეს გასაგებიცაა ვინაიდან დასახელებულ შრომებში ავტორებს საბოლოოდ არ ჩამოუყალიბებიათ თავიანთი შეხედულებანი.

მიუხედავად ასეთი გარეგნული მსგავსებისა, **ს. ჯორბენაძის** სამართლებრივი კონსტრუქცია მკვეთრად უნდა განვასხვავოთ ამავე საკითხზე **ო. იოფეს** შეხედულებიდან.

ს. ჯორბენაძის თავის საკუთრების უფლება არ არის გამოსავალი წერტილი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური ურთიერთობა შევიცნოთ. თუმცა საკუთრება „მუდმივად თანსდევს წარმოებას“, მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ „როგორც ეკონომიური ურთიერთობა, როგორც მოცემული წარმოებითი ურთიერთობის საფუძველი და ამ თვალსაზრისით, მკვეთრად განვასხვავოთ იგი საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტისაგან ან თვით საკუთრების უფლებისაგან, რომელიც შეიძლება არსებობდეს ისე, რომ არ იყოს დავაშირებული წარმოებასთან, გულისხმობდეს წარმოებას შესაძლებლობაში“ (გვ. 17).

ო. იოფეს თავის კი საკუთრების ფორმის გარეშე შეუძლებელია წარმოებითი ურთიერთობის შემეცნება. „თუ წარმოებითი ურთიერთობანი, ამბობს **ო. იოფე**, წარმოადგენენ ყოვლისმომცველ ურთიერთობებს, საკუთრების ურთიერთობებიც, რომელთა იურიდიულ ფორმაში პოულობენ ისინი გამოსახვას, უნდა იყვნენ ასეთივე ყოვლისმომცველი ურთიერთობები, და აღვენდნენ არა მარტო მესაკუთრის ურთიერთობას განსაზღვრულ პირებთან, არამედ მის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი წარმო-

¹ Т. Ойзерман, А. Акулов, „Об итогах IV Всемирного социалистического конгресса“, журнал „Вопросы философии“, 1959 г. № 12, стр. 85.

² О. Иоффе, Правоотношение по советскому гражданскому праву, 1949 г. стр. 6.

³ იქვე.

ების და მოცემულ საზოგადოებრივი სისტემის ყველა მონაწილესთან.¹

რამდენადაც ს. ჯორბენაძე საკუთრებას აღიარებს საზოგადოებრივი ცხოვრების იმანენტურ კატეგორიად და ამავე დროს რეალურ ურთიერთობად, მან საჭიროდ მიიჩნია საკუთრების სამართლებრივი თვალსაზრისით შესწავლის გვერდით, მოეხდინა საკუთრების წარმოშობის და განვითარების მიმოხილვა ისტორიულ ეკონომიური თვალსაზრისით.

ავტორი განსხვავებს კერძო საკუთრებას პირად საკუთრებისაგან. ეს უკანასკნელი ჩნდება პირველყოფილი თემური საზოგადოების რღვევის შედეგად. „კერძო საკუთრება,—წერს ავტორი,—დასაწყისი მოძრავ ქონებაზე უნდა გაჩენილიყო“ (გვ. 41). ის გარემოება, რომ საკუთრების უფლება პირველად გავრცელდა მოძრავ ქონებაზე სალიკური სამართლის ძველიდანაც სჩანს. ეს ძველი უმთავრესად ასახავს თემური წყობილებიდან ინდივიდუალურ საკუთრებაზე გარდამავალ მდგომარეობას. ამგვარად, ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას ეს ძეგლიც ადასტურებს.

მართალია, სალიკური სამართლის შედგენის დროს ფრანკებს ჰქონდათ კერძო მფლობელობა კომლის „საკარმიდამო მიწაზე“², მაგრამ მას არ მიუღია ისეთი გარკვეულობა, როგორც ეს მეფე ხილბერკის ედიქტით იქნა დადგენილი.³

ეს ედიქტი, რომელიც გამოიცხავეს მეზობლების ჩარევას მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევებზე, მიუთითებს იმაზე, რომ ამ ედიქტის გამოცემამდე მიწა მეზობლების „Vicini“ ანუ თემის წევრებზე გადადიოდა.

ამ დროს უკვე საკმაოდ განვითარებული სახით გვევლინება საკუთრების ინსტიტუტი მოძრავ ქონებაზე, რომელშიაც მრავალი სახის ცხოველების გარდა, საცხოვრებელი ქიხიც შედის.⁴

სალიკური სამართალი, რომლის პირველი ნუსხები მეზუთე საუკუნეს მიეკუთვნება, არც ქალების მემკვიდრეობას იცნობდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იცნობდა საკუთრების უფლებას მიწაზე დასრულებული სახით.

მაგრამ ვუბრუნდებით რა ს. ჯორბენაძის მოსაზრებას ამ საკითხზე, მართლზომიერად მიგვაჩნია ასეთი კითხვა დავაყენოთ:

გვაქვს თუ არა საფუძველი, ისტორიულ ასპე-

ქტში, პრინციპულად განვასხვავოთ პირადი და კერძო საკუთრება ერთმანეთისაგან და მათი წარმოშობა სხვადასხვა კანონზომიერებას დავუკავშიროთ, როგორც ამას ს. ჯორბენაძე უშეგებს თავის შრომაში?

ასეთი განსხვავება მას საკუთრების სოციალურ-ეკონომიური ანალიზიდან გამოყავს, რაც საესეებით სწორია დღევანდელ პირობებში და განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში, ვინაიდან ამ ორი სახის საკუთრებათა შორის იურიდიულად გამიჯვნა არ არსებობს და, მაშასადამე, იგი გამონახული უნდა იქნეს ცვალებადი ეკონომიური თვისების მიხედვით, რაც უძველესი საზოგადოების მიმართ თითქმის შეუძლებელია.

დღესაც კი ამ ორი სახის საკუთრების განსხვავება მეტად საძნელოა. მით უმეტეს შეუძლებელი იყო ასეთი განსხვავების პოვნა. იმ დროს, როდესაც პირველყოფილი საზოგადოება ინტერდა.

ავტორი ასაბუთებს ხანდაზმულობის საშუალებით საკუთრების შექმნის შესაძლებლობას. მას ამის შესახებ მოაქვს მასალა ქართული სამართლიდან და, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ვახტანგ VI სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები, ვინაიდან ავტორის შეხედულებით, აღათობრივი სამართლისათვის თუ მას რომის გავლენა არ განუცდია ეს ინსტიტუტი უცნობია (გვ. 41).

ვახტანგ VI კანონების სავალდებულობის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში ვრცლად აქვს გამოქმეული აზრი პროფ. ალ. ვაჩიიშვილს „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევების“ პირველ ნაწილში.

მაგრამ, როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა აქვს შეტანილი თავის კოდექსში ვახტანგ VI-ს, თუ საკუთრივ შემუშავებული ნორმები, ქართული სამართლებრივ აქტებში უხვად მოიპოვება მასალა რომლებიც არ ადასტურებს შექმნითი ხანდაზმულობის არსებობას.⁵

შესაძლებელია მიწათსარგებლობა საქართველოში ამით განსხვავდებოდა სხვა ქვეყნებისაგან, შესაძლებელია მოსახლეობის კომპაქტურობა შენარჩუნებული იყო სწორედ ამის გამო. ათასგვარი უბედურების მიუხედავად ქართველი კაცი არ კარგავდა თავის მიწას და უბრუნდებოდა მას, მფლობელობის დაკარგვიდან დიდი ხნის შემდეგაც.

¹ О. И. Ф. Ф. е, Правоотношение по советскому гражданскому праву, 1949 г. стр. 105.

² ი. დ. ლ. ი. დ. ე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1951 წ., გვ. 77.

³ იქვე, გვ. 87.

⁴ იქვე, გვ. 58.

⁵ თ. უორდანი, ცრონიკები ტ. I, გვ. 279, იგივე 1355 წლის ქვეშ.

მიუხედავად ამისა, ხანდაზმულობის არ არსებობა, თავისთავად სამართლის ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. მჭიდრო კავშირი არსებობს ხანდაზმულობასა და მესამე პირთა მიერ საკუთრების უფლების შექმნას შორის. იქ, სადაც არ არსებობს ქონების ხანდაზმულობით შექმნის შესაძლებლობა, წარმოუდგენლად უნდა იქნეს მიჩნეული მესამე პირის მიერ საკუთრების შექმნა არა ნამდვილი მესაკუთრისაგან, როგორც კეთილსინდისიერიც არ უნდა იყოს იგი. მესამე პირი შეიძენს უფლებას საღაო ნივთზე მხოლოდ იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც პრინციპულად დასაშვებად მიაჩნია მესაკუთრის ნების გარეშე ხანდაზმულობით საკუთრებას გადასვლა სხვა პირზე. არც ვახტანგის და არც ბექა-აბულას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხანდაზმულობით უფლების შექმნას უძრავ ქონებაზე.¹

ხანდაზმულობით ქონების შექმნა დასაშვებია იმ სამართლის მიხედვით, რომელიც იცნობს bona fides პრინციპს. მიუხედავად მფლობელობა „უამთა სიგრაით“, რაზედაც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ხანდაზმულობის დასაბუთებლად,² არ არის კეთილსინდისიერი მფლობელობის აღქმავატური.

მაგრამ ამასთანავე, თუ აღიარებული იქნება ქართული ფეოდალიზმის განსაზღვრა, როგორც „მოწყვსრივებული ფეოდალიზმისა“³, რაც მას ნიშნავს, რომ იგი მოწყვსრივებული იყო სამართლის ნორმებით, ხანდაზმულობის არსებობის უარყოფა ძველ საქართველოში, არაღმაჯერებლად უღერს.

ერთი სიტყვით, საბოლოო მოდუსის მიღება ან საკითხზე შეუძლებელია ერთიმეორე საწინააღმდეგო ტენდენციების არსებობის გამო ძველ ქართულ სამართალში. შესაძლებელია ქართულ სამართალში, სხვადასხვა პირობები არსებობდა ხანდაზმულობის პრინციპის გამოსაყენებლად მოძრავი და უძრავი ქონების მიმართ და ქონების შემქმნი სუბიექტის მიხედვით.

კაპიტალისტური საზოგადოების საკუთრება, ს. ჯორბენაძეს განხილული აქვს საქციო საზოგადოების მავალითზე. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საკუთრების ეს ფორმა დამახასიათებელია მონოპოლისტური კაპიტალისათვის. ამა-

სთან დაკავშირებით შეიძლება განხილული იქნეს უძრავი და მოძრავი ქონების მონაწილეობის საკითხიც სამოქალაქო ბრუნვაში, რაზედაც ავტორს საკმარისი ადგილი აქვს დათმობლი თავის შრომაში.

ავტორის შეხედულებით საქციონერო კაპიტალის ბრუნვა, უძრავ ქონების ხედრითი წონის შეზღუდვას ნიშნავს (გვ. 95).

მართლაც, საქციო კაპიტალმა სწრაფ ბრუნვაში მოაქცია უძრავი ქონება და ამ ქონების საფუძველზე წარმოშობილი მრავალმხრივი ურთიერთობა მოწარმოებულისა „გაანვიფერა“ აქციების საშუალებით. ამის გამო თვით საკუთრების ნივთობრივი სუბსტანციის ხედრითი წონა და მნიშვნელობა ბრუნვაში, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ნ. ჯორბენაძე, შეიზღუდა, მაგრამ ამასთანვე აღსანიშნავია ის გრეამოებაც, რომ აქციების სახით წარმოშობილი ურთიერთობათა განვითარებამ, როგორც ამას ს. ჯორბენაძის მიერ დამოწმებული ავტორი ეულოო დე ლა მორანდიერი აღნიშნავს, აქციის მფლობელები უძრავი საკუთრების კოლექტიურ მფლობელებად გახადა.⁴

ამავე ფაქტორმა კაპიტალიზმის ახალ სტადიაში გამოიწვია სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ერთგვარი დაახლოება,⁵ რასაც ბრუნვაში მოძრავი ქონების ხედრითი წონის შეზღუდვაც მოყვა სასივთო—ვალდებულებითი ხასიათის რუდიმენტული ვარიეტების გაზრდის ხარჯზე.

ასეთი სანივთო-ვალდებულებითი ვარიეტების გაზრდას კი საქციო კაპიტალის განვითარება იწვევს.

ს. ჯორბენაძე შენიშნავს, რომ აქციების გადაქცევა საკუთრების ტიტულად ქმნის ილუზიას, რომ ისინი შეადგენენ ნამდვილ კაპიტალს (გვ. 94).

თანამედროვე მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში აქციები არამეტუ შეადგენენ ნამდვილ კაპიტალს, არამედ განუსაზღვრავად ზრდიან ძირითად და სარეზერვო კაპიტალს.

საქციო საზოგადოებებში სულ უფრო და უფრო კლებულობს გასაცემი დივიდენდის დონე (არა თანხობრივად, არამედ შეფარდებით მოგებასთან) და პროპორციულად იზრდება საშემოსავლო გადასახალი საქციო საზოგადოებიდან

¹ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887 г. რედაქტორის შენიშვნა, გვ. 58.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 403—404.

³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. II, გვ. 164.

⁴ Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, т. II, стр. 77.

⁵ იგივე ავტორის შრომა, ტ. I, გვ. 32.



მიღებულ ინდივიდუალურ შემოსავალზე, რის გამო ღივიდენდის დიდი ნაწილი მწარმოებელ კაპიტალში გადადის.¹

სწორედ ამით უნდა აიხსნას სამოქალაქო ბრუნვაში ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის გაზრდა ასეთი უჩვეულო ოდენობით და წვრილ აქციონერთა გამრავლება, რომელთაც რეალური უფლებები არ აქვთ წარმოების მართვის სფეროში.

ს. ჯორბენაძის შრომის მეორე ნაწილი სოციალისტური საკუთრების წარმოშობის ისტორიას ეხება. ამ საკითხს დათმობილი აქვს წიგნის 259 გვერდი, თითქმის ორი მესამედი.

მასში მოცემულია ისტორიული, ეკონომიური, პოლიტიკური, სტატისტიკური მასალა და ცნობები სოციალისტური საკუთრების წარმოშობის შესახებ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტური საკუთრების ისტორია ჯერ კიდევ არ გვაძლევს წარმოდგენას სოციალისტურ საკუთრებაზე, მის არსსა და მოძრაობის შესახებ.

სოციალისტურ საკუთრების ბრუნვაში მონაწილეობის საზღვრების და მნიშვნელობის გაგება შეუძლებელია თუ არ იქნა გარკვეული შემდეგი საკითხები: გეგმის დაშვების იურიდიული შედეგი, გეგმიანობა და სახელმწიკრულებო ურთიერთობა, იურიდიული პირის ბუნება და პასუხისმგებლობა, სოციალისტური საკუთრების უფლებრივი რეჟიმი და სხვა.

ავტორი სამართლიანად გვაფრთხილებს, რომ საქმე არ იქნეს წარმოდგენილი იმდაგვარად თითქმის სოციალისტური საკუთრება შედეგი იყოს მართოდენ კერძო საკუთრებას განსაზღვარებისა (გვ. 354). მართლაც, ამჟამად საწარმოებს თითქმის არაფერი საერთო არ აქვთ იმ საწარმოებთან, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადავიდა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შემდეგ. მიუხედავად ამისა, კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია სოციალისტური კვლავწარმოების საფუძველი და წინაპირობა იყო.

თავისთავად პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად დარღვეული მეურნეობით, საკმარისი არ იყო მიგვეღწია ისეთი დიდი სამეურნეო წარმატებებისათვის როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. თუ როგორ დაგროვდა კაპიტალი ქვეყნის ინდუსტრია-

ლიზაციისათვის და რა პირობებმა შეუწყო ხელი სამეურნეო ცხოვრების აღდგენას, ავტორს განხილული არა აქვს.

ავტორს ამომწურავად არა აქვს მოცემული რევოლუციამდელი რუსეთის ეკონომიკის დახასიათება, თუმცა ამის შესახებ იყენებს მრავალ ცნობებს. თუ ამას თემასთან კავშირი ჰქონდა, ავტორი ვალდებული იყო უფრო დაწვრილებით შეხებოდა მას. ავტორის შრომიდან არ ჩანს თუ როდის იწყება სამრეწველო მონოპოლიების ხანა რუსეთში, ან უკეთ რომ ვთქვათ, როდის იწყება რუსეთში კაპიტალიზმი, ბატონყმობის პერიოდში თუ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ? ვინაიდან მონოპოლისტურ წარმოებებს რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს.

რამი მდგომარეობდა რუსეთის მონოპოლიების პრივილეგიური მდგომარეობა გამძაფრებულ კონკურენციის პირობებში უცხოეთთან? ხომ ცნობილია, რომ რუსეთის ეკონომიკა ფაქტიურად დამოკიდებული იყო უცხოეთის საბანკო და საფინანსო კაპიტალზე.²

მეურნეობის ისეთი ნაციონალური სფეროდანაც კი, როგორცაა ხორბლის საფქვევი საქმე, რუსეთის ბურჟუაზია განდევნილი იყო უცხოელების მიერ.³ უცხოეთის ფირმების სამრეწველო ინვესტიციები მთელ სამრეწველო ინვენსტიციებში 72 პროცენტს აღწევდა. სამთო და ლითონის დამამუშავებელ მრეწველობაში უცხოეთის კაპიტალი 54 პროცენტს უდრიდა.⁴ რუსეთის მონოპოლიებს ტრესტების და კარტელების სახე არ მიუღია, ამის გამო რუსეთის მონოპოლისტური კაპიტალის არსებობის დადასტურება მხოლოდ ეკონომიური ანალიზით შეიძლება. ასეთი მიმოხილვა კი შრომაში არ არის.

ეხება რა საბჭოთა სახელმწიფოს როლს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საქმეში, ავტორი წერს: „ახალი სახელმწიფო, ხელისუფლების ისტორიაში არსებული სახელმწიფოს უმაღლესი ტიპი“ (გვ. 106). თავისთავად ეს აზრი სწორია, რადგან ყველა სახელმწიფოებს, როგორც არ უნდა იყოს მისი სოციალური შინაარსი, აქვთ რაღაც გამაერთიანებელი თვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შედარება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ შემდეგში ავტორი იქვე უარყოფს აღნიშნულ დებულებას.

სახელმწიფო ქონების ნაციონალიზაციის

1 Н. Р. Вейцман, Балансы капиталистических предприятий. Москва, 1954 г., стр. 92.
2 П. И. Пященко, История народного хозяйства СССР, т. II, стр. 346.
3 იქვე, გვ. 502.
4 იქვე, გვ. 380.

შესახებ ავტორი წერს შემდეგს: „სოციალისტური სახელმწიფო ექსპროპრიაციის კი არ უშეგა, არამედ იგი აფეთქებს, სობის ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანას და ავტომატურად ხდება ბურჟუაზიული სახელმწიფო ქონების მესაკუთრე თვით სოციალისტური რევოლუციის რიღით ე. ი. პროლეტარული ვადატრიალების შედეგად“ (გვ. 108).

ეს აზრი ვაუგებარია. იურიდიულმა მეცნიერებამ არ იცის „ავტომატური“ მესაკუთრეობა. საკუთრების ობიექტი (მატერიალური თვალსაზრისით) არ შეიძლება იყოს ბურჟუაზიული ან სოციალისტური, იგი ხდება ასეთი, იმის მიხედვით თუ რომელ საზოგადოებას ემსახურება იგი, როგორც ქონება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასევე შეურლებელია კერძო საკუთრების განსხვავება პიიად საკუთრებისაგან იურიდიული ნიშნის მიხედვით. ეს განსხვავება მხოლოდ ეკონომიური შეფასების შედეგად შეიძლება იქნეს დადგენილი.

ავტორი მიუთითებს 1918 წლის 18 აპრილის დეკრეტზე, რომლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო აქციების და საპროცენტო ქალაქების მესაკუთრეებისათვის ანაზღაურება ასეთი ქალაქების თავის დროზე რეგისტრაციის შემთხვევაში (გვ. 130).

ეს დეკრეტი ვაგებული უნდა იქნეს სხვა მნიშვნელობით, ვინაიდან ქონების მესაკუთრეებისაგან გამოსყიდვა კომუნისტურ პარტიას რევოლუციის პერიოდში არ ჰქონია ათვალისწინებული¹.

ავტორის ვრცლად აქვს გამოკვლეული ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი მუშათა კონტროლის ისტორია და მისი მნიშვნელობა საწარმოების ნაციონალიზაციის საქმეში.

ავტორის ერთი გამოთქმით, მუშათა კონტროლის საშუალებით, „ხელისუფლებას სურდა გამოერკვია თუ რამდენად შეუძლია მუშათა კლასს ნაციონალიზებული საწარმოების ფაქტიური რეალური მართვა, როგორია კაპიტალისტ-მესაკუთრეთა წინააღმდეგობის დონე, სურთ თუ არა მათ, განსაზღვრულ პირობებში ითანამშრომლონ სოციალისტურ სახელმწიფოსთან“ (გვ. 176). ასეთი მიზნები შესაძლებელია მართლაც დასახული იყო მუშათა კონტროლის წინაშე, მაგრამ ამან არ განაპირობა მუშათა კონტროლის შემოღება.

მუშათა კონტროლი შემოღებული იქნა მამინ როდესაც „ქვეყანა უკვე საბოლოო ეკონომიური დაშლისა და დაღუპვის უფსკრულში

ვარდებოდა“² და მიზნად ისახავდა საწარმოების დეგრადაციისა და განადგურებისაგან გადარჩენას, ვიდრე ეს მიზანი საბოლოოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზით არ განხორციელდა.

ავტორის მიერ გამოთქმულია მეტად საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები მუშათა კონტროლის შესახებ, მაგრამ ამ საინტერესო თავში ავტორს უხერხული და ერთიმეორის საწინააღმდეგო დებულებებიც აქვს წარმოდგენილი.

ავტორის შეხედულებით ერთის მხრივ მუშათა კონტროლი „თავისთავად კერძო კაპიტალისტურ საკუთრების გაუქმებას არ ითვალისწინებდა“ (გვ. 178.), მეორე მხრივ, ამბობს ავტორი, „სრული საფუძველი გვაქვს სოციალისტური განსაზოგადოების ისტორია მრეწველობაში მუშათა კონტროლის შემოღებით დაიწყეთ“ (იქვე გვ. 182). მუშათა კონტროლი, განაგრძობს ავტორი, „კლასობრივი ბრძოლის უფრო აქტიურ ფორმებს გულისხმობდა ვიდრე ეს ჩვეულებრივ გვაქვს სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს“. ამავე დროს „მუშათა კომიტეტები ფაბრიკა-ქარხნების ფაქტიური გამგებლები იყვნენ (გვ. 182) და, მაშასადამე, არ შეიძლება მუშათა კონტროლის საშუალებით „უფრო აქტიურ“ კლასობრივ ბრძოლის ფორმებზე ლაპარაკი.

ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ საწარმოები მთლიან ნაციონალიზაციამდე კერძო მესაკუთრეების იურიდიულ მფლობელობაში იყო, მეტად სადაოა და ეწინააღმდეგება ავტორისავე ერთ-ერთ გამოთქმას, რომლის მიხედვით სამოქალაქო ბრუნვის შეზღუდვის და საქონლის გაცვლის პირობებში, საწარმოები ფაქტიურად და იურიდიულადც მესაკუთრეებს უკვე არ ეკუთვნოდათ. (გვ. 232).

მუშათა კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და უშუალოდ სახელმწიფოს გამგებლობაში მყოფი საწარმოები, სოციალური თვალსაზრისით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მათ შორის განსხვავდება მხოლოდ დაქვემდებარებაში უნდა ვეძიოთ ისევე, როგორც ეს ამაჟამად საბიუჯეტო და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ორგანიზაციების მიმართ გვაქვს.

საწარმოების დენაციონალიზაციის და შენობათა დემონიციპალიზაციის შესახებ აქტებისა და მათი განხორციელების პრაქტიკის ვრცელი მიმოხილვიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, თითქოს ახალ ეკონომიურ პო-

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ქართული გამოცემა, ტ. I, გვ. 480.

² იქვე, ტ. I, გვ. 478.

ლიტიაზე გადასვლა მომენტის მოთხოვნით იყო გაპირობებული. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ სკპ (ბ) მეთერთმეტე კონფერენციის დაგენილების შემდეგი ნაწილი:

„ევრეთწოდებულ“ ახალი ეკონომიური პოლიტიკა“, რომლის ძირითადი საწყისები ზუსტად იყო განსაზღვრული ჯერ კიდევ პარველი „შესვენების“ დროს, 1918 წლის განაზღვრულზე, საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ ძალთა ზუსტ აღრიცხვას ემყარება. ამ პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შეწყვეტილი იყო მუშურ-გლენურ სახელმწიფოზე რუსეთის მემამულეებისა და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ძალების და ევროპის იმპერიალიზმის კომბინირებული თავდასხმით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1921 წლის დასაწყისისათვის მოხდა კონტრრევოლუციის ცდების სამხედრო ლიკვიდაცია“.¹

ავტორი დიდ შეცდომად თვლის, მიწაზე საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრებასა და საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიულ უზენაესობის გაიგივებას. „სუვერენიტეტი, წერს ავტორი, ტერიტორიული უზენაესობის უფლებასთანა დაკავშირებული, რაც მიწაზე კერძო საკუთრების პირობებშიაც შეიძლება არსებობდეს“ (გვ. 329).

თუ ასეთ უზენაესობას ჩვენ ვხვდებით ფე-

ოდალურ სახელმწიფოში ეს დაკავშირებული იყო საჯარო და კერძო უფლებრივი ურთიერთობების აღრევით. ბრჟუაზიულ სახელმწიფოებში კი კერძო საკუთრება სუვერენიტეტის შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს.

საბჭოთა სახელმწიფო ერთადერთი მესაკუთრეა მიწის, ამის გამო იგი განუსაზღვრელად განკარგავს მას.

ავტორი სამართლიანად მოითხოვს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში ცალკეული ნორმით იქნეს გათვალისწინებული საწარმოს პროდუქციაზე სახელმწიფოს საკუთრება. ავტორის შეხედულებით, საკუთრების უფლება ნივთზე არ შეიძლება დასაბუთებული იქნეს არც გადამმუშავების საქმიანობით და არც მასალაზე მესაკუთრის უფლებით. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოყავს შემთხვევა, როდესაც შენობებზე მონმარებული მასალის მესაკუთრეს არ წარმოეშობა უფლება შენობის წილზე (გვ. 350).

ს. ჯორბენაძის შრომა სერიოზული მონაპოვარია იურიდიული ლიტერატურისათვის. მისი ავტორის სახით ჩვენა გვყავს მრავალმხრივ განათლებული და მრავლისაღმქმელი მკვლევარი.

ა. სოპოლაგა

¹ სკპპ ყრილობის, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ქართული გამოცემა, ტ. I, გვ. 764.

მონოგრაფია დანაშაულის ჩადენის მოზიკეზე*

ბ. ბ. ხარაზიშვილის მონოგრაფია „დამნაშაულის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში“ უძველესად საინტერესოა თეორიულად. იგი ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკისათვისაც.

მონოგრაფიის თემა აქტუალურია. საკითხი დანაშაულის მოტივების შესახებ, ამ მოტივების დადგენა და მათი შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების და მიზეზების გარკვევისა და თავიდან აცილებისათვის, სასამართლო პროცესის აღმზრდელითი როლის ამაღლებისათვის.

მაგრამ, გამოძიებისა და სასამართლოსათვის სისხლის სამართლის ბეგრ საქმეზე დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა მნიშვნელოვან სიძნელესთანაა დაკავშირებული. აქ ლაპარაკია სუბიექტური მომენტის, სუბიექტური გარემოების (რომელიც ეხება დანაშაულის ჩამდენი პირის შეგნების სფეროს, აზრებსა და გრძობებს) აღმოჩენაზე, მტკიცებასა და დადგენაზე. ეს გარემოებანი შეიძლება დაფარული იქნეს, დამახინჯებული სახით იქნეს წარმოდგენილი დაინტერესებული პირების მიერ, ზოგჯერ საჭირო ხდება მათი გამოვლენა სხვა საკმაოდ რთულ ფაქტებიდან და გარემოებებიდან. ამ დროს მეცნიერულმა გამოკვლევამ შეიძლება არსებითი დახმარება გაუწიოს საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკას. საკითხი დანაშაულის მოტივების შესახებ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დამუშავებულია ძალიან სუსტად და ცუდად. ბ. ბ. ხარაზიშვილის მონოგრაფია ავსებს ძალიან არსებით მნიშვნელოვან ხარვეზს. ამ მონოგრაფიის დიდ ღირსებას წარმოადგენს ავტორის მიერ აღებული ძალზე რთული თემის ფართოდ განხილვა. შრომის დასაწყისში განხილულია ქცევის მოტივების საერთო საკითხები ზოგადი ფსიქოლოგიის ასპექტში, შემდეგ განხილულია საკითხები დანაშაულის მოტივის შესახებ სისხლის სამართლის თვალსაზრისით და ბოლოს, იგივე პრობლემა განხილულია სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის თვალსაზრისით — ამრიგად,

ავტორმა იკისრა მეტად რთული და მძიმე ამოცანა. როგორც მე ვფიქრობ, ავტორმა ეს ამოცანა წარმატებით დასძლია. რასაკვირველია მან არ ამოწურა თემა, მაგრამ მის გამოკვლევაში მან ცოტა რამ არ გააკეთა.

უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ ლიტერატურის, საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის მასალების ფართო გამოყენება. ავტორი სწორად მოიქცა, როცა სისხლის სამართალში მოტივის გამოკვლევას, დანაშაულებრივი ქცევის მოტივის მან წინ წარუმიძღვრა ადამიანის ქცევის მოტივის შესახებ საერთო საკითხების განხილვა. ამ განხილვას ავტორი აწარმოებს ფსიქოლოგიური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე. მე მინც ავტორს უნდა ვუსაყვედურო ერთი რამ: ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოტივის საკითხების განხილვისას ავტორის მიერ არაა საკმაოდ ნათლად გამოყოფილი, ხოლო ხშირად კი არეულია საზოგადოებაში ადამიანის ქცევის მოტივის საერთო საკითხები და დანაშაულებრივი, ანტისაზოგადოებრივი ქცევის მოტივის საკითხები. მაგალითად, 50-ე და მომდევნო გვერდებზე ლაპარაკია მოტივების კლასიფიკაციაზე. არსებითად მსჯელობა ეხება დანაშაულებრივი ქცევის მოტივებს, მაგრამ ეს გამიჯვნა ზოგჯერ როგორღაც იშლება. 57 და 58 გვერდებზე მოყვანილია მოტივების კლასიფიკაცია პროფ. ა. ა. გერტენზონის მიხედვით. გასაგებაა, რომ აქ ლაპარაკია დანაშაულის მოტივებზე, ხოლო 60 და მომდევნო გვერდებზე, ეს საკითხი შეცვლილია ადამიანის ქცევის მოტივების შესახებ საერთო საკითხით. ის კლასიფიკაცია, რომელსაც თვითონ ავტორი იძლევა 63-ე გვერდზე პრეტენზიულია, მოიცავს ადამიანთა ქცევის ყველა მოტივს, საზოგადოებრივად სასარგებლო და დადებითს, ანტი-ზოგადოებრივ, დანაშაულებრივ მოტივებთან შეერთებით.

ვფიქრობ, ეს უნდა გაკეთებულიყო სხვანაირად. საკითხი დანაშაულებრივი ქცევის მოტივების შესახებ უნდა გამოყოფილიყო და გამოივლიყო ქცევის საერთო საკითხებისაგან. გარკვეული ზომით ავტორი ამას თვითონ აკეთებს შემდგომი გამოკვლევისას, მაგრამ შესავალში, რომელიც მოიცავს 63 გვერდს უშ-

* ბ. ბ. ხარაზიშვილი — დამნაშაულის ქცევის მოტივის საკითხები საბჭოთა სამართალში. გამომცემლობა ცოდნა, თბილისი 1963 წ.



ვებს, როგორც მე ვფიქრობ, გაუძარტლებელ აღრევას.

დაწვრილებით და საფუძვლიანადაა გამოკვეთული საკითხები დამნაშავეის ქცევის მოტივის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ (თავი II). ვფიქრობ, რომ ავტორი მართალია, როცა იგი უარყოფს იმ აზრს, რომ თვითონ ცნება დანაშაულის მოტივისა უკვე გულისხმობს ამ მოტივის დანაშაულებრივ ხასიათს (გვ. 71), და ამტკიცებს, რომ „შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა მოტივი და მიზანი თავისთავად არ წარმოადგენენ დანაშაულებრივს, მაგრამ გარკვეული მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებანი და ხერხები ქმედობას აძლევენ დანაშაულებრივ ხასიათს (გვ. 72). წიგნში დაწვრილებითაა განხილული მოტივის მნიშვნელობა ცალკეულ დანაშაულებათა შემადგენლობების ანალიზის დროს (მკვლელობა, გატაცება და სხვა).

მონოგრაფიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დამნაშავეის ქცევის მოტივის მტკიცებულებითი მნიშვნელობის განხილვა (თავი II) და მოტივის დადგენის პროცესუალურ საშუალებათა და ხერხების განხილვა (თავი III). პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში სწორედ ეს საკითხებია ყველაზე სუსტად დამუშავებული, უფრო სწორად თითქმის სრულებით არ არის დამუშავებული. ამ საკითხების ძირითადი დებულებები, რომლებსაც ავტორი აწვითარებს, სწორია და ყოველივე იმას, რაც ამ მონოგრაფიაშია, ღიბი მნიშვნელობა აქვს საგამომიებლო და სასამართლო პრაქტიკისათვის.

ავტორი სწორად განასხვავებს დანაშაულის მოტივს, როგორც მთავარი ფაქტის შემადგენელ ნაწილს, მტკიცების საგანს და მოტივს, როგორც მტკიცებით ფაქტს, რაც ემსახურება მთავარი ფაქტის დამტკიცებას (გვ. 142 და შემდეგი). სწორია ავტორის დასაბუთება, რომ მოტივი, როგორც მტკიცებითი ფაქტი წარმოადგენს არა პირდაპირს, არამედ არაპირდაპირ მტკიცებულებას (გვ. 150-151).

მართლაც, ამა თუ იმ პირის მოტივის არსებობა, რომ დანაშაული ჩაიდინოს, სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ დანაშაული ჩადენილია სახელდობრ მოცემულ პირის მიერ და აქ საჭიროა ვერდიქტ ბრალის შესახებ საკითხის გამარტივებლად გადაწყვეტას. შრომის ნაკლად აქ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ავტორმა დაწვრილებით არ განიხილა, თუ როგორ უნდა შეუთავსდეს დანაშაულის ჩადენის მოტივი სხვა მტკიცებულებებს (პირდაპირ და არაპირდაპირს) და როგორ უნდა გამოაგრდეს მათით იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ბრალეულობაზე დასკვნის გაკეთება. მიზეზობრივი კავშირის ფორმების შესახებ ავტორის თავის-

თავად სწორი მოსაზრება არ წყვეტს ამ საკითხს.

საინტერესოა და პრაქტიკული ღირებულებითაა ავტორის მოსაზრება მოტივის მნიშვნელობის შესახებ საგამომიებლო ვერსიების აგებისათვის (გვ. 170 და მომდევნო). მაგრამ, მე აქ არ შემიძლია დავეთანხმო ავტორს შემდეგში: ავტორი წინააღმდეგია განვასხვავოთ ვერსიები მათი წყაროების მიხედვით ან იმ პირობების მიხედვით, რომლებიც აყენებენ ვერსიებს (გვ. 193). ეს სწორია, ვერსიებისათვის არა აქვთ მნიშვნელობა თუ საიდან წარმოიშვნენ ისინი — ბრალდებულმა აღიარა იგი თუ მის შესახებ მოწმემ თქვა, ან იგი თვითონ გამოძიებელს მოუყვანა თავში და ა. შ. თუ საქმის გარემოება გვაძლევს საფუძველს ამა თუ იმ ვერსიისათვის — ეს ვერსია აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი და შემოწმებული და ვიდრე იგი არ იქნება დამტკიცებული ან უკუგდებული გამოძიება არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად.

მაგრამ, ავტორი სხვანაირად აყენებს საკითხს. იგი თვლის, რომ ბრალდებულის ჩვენება ან დამტკიცების მტკიცება არასდროს არ წარმოადგენენ ვერსიებს (გვ. 193), რომ „საგამომიებლო ვერსიის ადგენს გამომძიებელი, მოსამართლე და არა სხვა პროცესში ჩაბმული პირი“. ავტორის აზრით, მხოლოდ გამომძიებელი ან მოსამართლე წყვეტს საკითხს — მოცემულ საქმეზე რა არის ვერსია და რა ვერსიები არსებობენ. ეს არასწორია. ვერსიები წარმოიშობა საქმის ფაქტიური გარემოებებიდან და თუ კი ეს ასეა, მაშინ სასამართლოსა და გამომძიებელს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ მას. თუ კი ბრალდებულმა წამოაყენა დანაშაულის გარემოებათა ამხსნელი რომელიმე განმარტება, რაც მის ბრალეულობას უარყოფს, სასამართლოცა და გამომძიებელიც ვალდებული არიან შეამოწმონ ეს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვერსია როგორღაც შეიქმნება, აიგება სასამართლოსა და გამომძიებლის გადაწყვეტილებით, რომ თითქმის მათზე დამოკიდებული ამა თუ იმ ვერსიის აგება. არავითარი პროცესუალური აქტი „ვერსიის შედგენისა“ არ არსებობს. აქ ლაპარაკია საქმის ყველა გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და მიუკერძოებელ გამოკვლევაზე და არა სხვა რაიმეზე.

აღვნიშნავ ავტორის სწორ აზრს იმის შესახებ, რომ კიბერნეტიკამ, მისი მნიშვნელობის ყოველდღიური ზრდის მიუხედავად, მტკიცებითი სამართლის დარგში არ შეიძლება მიიღოს პრაქტიკული გამოყენება (გვ. 266).

სასოგადოდ ცნობილი მზარდი ინტერესი ელექტროგამომიებლო მანქანების პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში გამოყენების მხრივ, კიბერნეტიკის

უდიდესი მნიშვნელობა, მისი გამოყენების სულ ახალი გზები და სფეროები. მაგრამ, ამასთან ერთად არსებობს საშიშროება ამ მეტად მნიშვნელოვანი და რთული პრობლემის გამარტივებულად გადაწყვეტისა, მაგალითად, აქ რომ ვეძებოთ დანაშაულის ჩამდენი ამა თუ იმ პირის ბრალულობის დადგენის ხერხები. ავტორი სწორად გვაფრთხილებს ამის წინაღობად.

ძირითადად სწორია ავტორის აზრი ე. წ. „დანაშაულის ადგილზე დამნაშავესთან ერთად გასვლის“ არაკანონიერი აქტის შესახებ, რასაც მხარს უჭერს რიგი კრიმინალისტებისა და რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს მართლმსაჯულებისათვის. სამწუხაროდ, ავტორმა ამის შესახებ თქვა ძალიან მოკლე, არ გაშალა ეს საკითხი თუმც მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მონოგრაფიის თემასთან (გვ. 270). აქ კი საჭიროა საკითხის სრული სიტყვად.

„შემთხვევის ადგილზე ბრალდებულთან ერთად გასვლა“, როგორც განსაკუთრებული პროცესუალური აქტი, არ არსებობს, არის დანაშაულის ადგილის დათვალიერება, არის საგამომძიებლო ექსპერამენტი, რომლის ჩატარების დროსაც სათანადო შემთხვევებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულმა, მაგრამ კანონის ყველა პირობების დაცვით, და მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე თუ მათი წარმოებისას რა ფაქტები და გარემოებანი დადგენილი და არა იმაზე, თუ როგორ იქცეოდა ბრალდებული მათი ჩატარების დროს და მიუხედავად თუ არა იგი იმას, რაც გამომძიებლისათვის ამ აქტების ჩატარებამდეც იყო ცნობილი. ბრალდებულის არავითარ „გამოცდას“, მისი დაფარული აზრების გამომქლავების მიზნით, აქ ადვილი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

არ შეიძლება დავეთანხმო ავტორის ექსპერტების ალბათური დასკვნის თაობაზე (გვ. 275, 276). ამაზე არსებობს სხვადასხვა შეხედულება და ავტორი პირდაპირ აკრიტიკებს ჩემს აზრს ალბათური დასკვნების დაუშვებლობის შესახებ (გვ. 275). რასაკვირველია, სხვადასხვა აზრები შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ ამ სა-

კითხში ავტორის შეხედულებას ახასიათებს არათანმიმდევრობა და გაურკვეველობა. ის ამტკიცებს, რომ ექსპერტის საალბათო დასკვნას არა აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა (გვ. 276), რაც სრულიად სწორია. მაგრამ, ამავე დროს ავტორი თვლის, რომ ექსპერტს შეუძლია მისცეს ალბათური დასკვნა და ექსპერტის მიერ ალბათური დასკვნის მიცემა კანონზომიერია (გვ. 275—276). მაგრამ, თუ კი ალბათური დასკვნა არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რატომ უნდა მისცეს იგი ექსპერტმა? ზინანის გარდა მას არაფრის მოცემა არ შეუძლია. მართლაც, თუ კი ექსპერტი მისცემს დასკვნას, მაგალითად, რომ არ შეუძლია დაამტკიცოს ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა ბრალდებულს, მაგრამ „ემზავსება“ და რომ ეს მინც მისი ხელმოწერაა, — რამდენიც არ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ დასკვნას არა აქვს მტკიცებულებითი ძალა, იგი აუცილებლად მიიყვანს გამოძიებასა და სასამართლოს ამ დასკვნამდე.


ვფიქრობთ, რომ თუ კი ექსპერტს არ შეუძლია მისცეს კატეგორიული სარწმუნო დასკვნა მის წინაშე დასმული საკითხის თაობაზე — იმიტომ, რომ მეცნიერების მოცემული დარგი ჯერ კიდევ არ განვითარებულა იმ დონემდე, რათა გადაწყვიტოს მოცემული საკითხი ან იმიტომ, რომ ექსპერტის განკარგულებაში მყოფი მასალები არასაკმარისია ან სხვა მიზეზით — ექსპერტმა პირდაპირ უნდა თქვას, რომ მოცემულ საკითხზე მას არ შეუძლია პასუხის გაცემა და არ მისცეს არაფრისმთქმელი დასკვნა იმაზე თუ რა წარმოადგენს ალბათურს, უფრო ალბათურს, ნაკლებად ალბათურს და ა. შ.

ბ. ბ. ხარაზიშვილის წიგნზე კიდევ შეიძლება როდესაც შენიშვნების გაკეთება, მაგრამ მე შემოვიფარგლები ზემოაღნიშნულთ.

მთლიანად ბ. ბ. ხარაზიშვილის მონოგრაფია საჭირო, სასარგებლო წიგნია.

მ. ს. სტროგოვინი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მე-
ცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წიგნი კავათის თეორიის შესახებ*



კავათი სხვადასხვა სახისაა: კავათი შეიძლება წარმოებდეს ორ ან რამდენიმე პირს შორის, როგორც დამსწრეთა მონაწილეობით, ისე დამსწრეთა გარეშე, ზეპირი სახით, წერილობით და სხვ. ამასთან ერთად განსხვავებულია კავათის ფორმა, ხერხი და ა. შ., მაგრამ ყოველ კავათს ამოცანად ჭეშმარიტების ძიება, განმტკიცება, გავრცელება აქვს დასახული. მეტიც, სწორედ კავათია ჭეშმარიტების ძიების უმნიშვნელოვანესი საშუალება. აზრთა დაპირისპირება და ჭადილი სინამდვილის დრამა და ყოველმხრივ შესწავლის გზაა. შეუძლებელია რაიმე რეცეპტურის შექმნა თუ როგორ ვაწარმოთ კავათი, მაგრამ არსებობს თეორია, რომლის განხილვის საგანია კავათი და მისი მსვლელობა. ეს თეორია ლოგიკის მეცნიერების ნაწილია. იგი ხელს უწყობს იმას, რომ კავათი მართებულად მიმდინარეობდეს და ის უდიდესი ენერჯია, რომელიც საერთოდ კავათის პროცესში იხარჯება, საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული ჭეშმარიტების სასარგებლოდ.

კავათის თეორიისადმი მიძღვნილი ცნობილი ქართველი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის პროფ. ლ. ზ. გოციელის მონოგრაფიული ნაშრომი.

საკვლევი საგნის დრამა ცოდნა, ფართო ერუდაცია მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, ამა თუ იმ დებულების საილუსტრაციოდ მოტანილი შესანიშნავი ლიტერატურული და ისტორიული მაგალითები, — განსახილველ ნაშრომს პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე შეუნელებელი ინტერესით საკითხავ წიგნად ხდის.

მთავარი მართო ის კი არ არის, რომ ავტორი მიმოიხილავს კავათის ამოცანებს, მისი მსვლელობის სწორად წარმართვის გზებს, არამედ ის, რომ ამასთან ერთად დაწვრილებით ახასიათებს იმ ლოგიკურ შეცდომებს, რომელიც კავათს შეიძლება ახლდეს.

კავათის შესახებ მოძღვრებისათვის განმსაზღვრელია ჭეშმარიტების ცნება, ამიტომაც ეს მოძღვრება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ხელოვნებად კავათის ხერხების თაობაზე. ჭეშმარიტება დაკავშირებულია როგორც კავათის პროცესთან, ისე მის შედეგებთან. პროფ. ლ. გოციელი დამაჯერებლად ასაბუთებს იმ შეხედულებას, რომ კავათის მიზანი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტების მავგარობის დადგენა. კავათის მონაწილეთა დარწმუნება ჭეშმარიტების დადგენის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, დარწმუნებას არ შეუძლია ჭეშმარიტების მაგიერობა გასწიოს.

კავათის პროცესში დიდი ადგილი უკავია მოწინააღმდეგის შეცდომის ჩვენებას; ამიტომაც საჭიროა ამ შეცდომების ნათლად გამოვლენა. არსებობს მთელი რიგი ტიპური ლოგიკური შეცდომები, რომლებიც კავათის წარმოების დარღვევასთან, კავათის ხასიათის, ხარისხისა და ამოცანების დამახინჯებასთანაა დაკავშირებული. ამ შეცდომათა და დარღვევათა ცოდნას დიდი შედეგებითი ღირებულება აქვს.

* ლ. გოციელი, კავათი და მასში მონაწილეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

დიდი ინტერესით იკითხება გვერდები სოფისტური ხერხების წინააღმდეგ კამათში. პროფ. ლ. გოკიელი დამაჯერებლად უარყოფს იმ მტკიცების უსაფუძვლობას თითქოს საშიშია სოფისტური ხერხების დახასიათება, ვინაიდან ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს ამ ხერხების შესწავლა და მათი ბოროტად გამოყენება. სინამდვილეში კი სოფისტური ხერხების დახასიათება იმისათვის კეთდება, რომ გამოვლენილ იყოს სათანადო საშუალებათა მიუღებლობა და გადავიღდეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

დაუშვებელია სოფისტური ხერხების გამოყენების გამართლება ჭეშმარიტების სიყვარულით; იმის მტკიცებით, რომ იცავს რა ჭეშმარიტ აზრს მოკამათე ფიქრობს, რომ მას უფლება აქვს გამოიყენოს ისეთი საშუალებები, რომლებიც მართალია არაა დასაბუთებული, მაგრამ მამენელს უქმნის დასაბუთების ილუზიას და ამით აადვილებს ჭეშმარიტი აზრის მიღებას. მიზანი არ შეიძლება საშუალებას ამართლებდეს. ჭეშმარიტების სიყვარულით არ შეიძლება მცდარი დასაბუთების გამართლება. სოფისტური საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა იმას კი არ ნიშნავს, რომ სოფიზმს კვლავ სოფიზმით ვუპასუხოთ. სოფიზმს სოფიზმი კი არ ამარცხებს, არამედ ჭეშმარიტება. პროფ. ლ. გოკიელის წიგნი შესაბამისი დასაბუთებითაა მდიდარი. აქ მკითხველი პოულობს იმის ახსნას, თუ რა კონკრეტული ფორმები გვხვდება სოფისტური მსჯელობისა.

საკმაოდ გავრცელებული ხერხი კამათის არასწორად წარმოებისა ესაა თეზისის გადატემა, გაჭირვების შემთხვევაში საქმის იმგვარად მოჩვენება თითქოს წამოყენებული იყო სხვა თეზისი, თავის თეზისში უკანა რიცხვით გარკვეული ცვლილებების შეტანა და ა. შ. „ყველაზე უხეში ფორმა თეზისის შეცვლისა არის ის, როდესაც მოკამათე მოულოდნელად მოწინააღმდეგეების თეზისს თავის თეზისად აცხადებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად ლუარსაბისა და დარეჯანის კამათის დროს იმის შესახებ, თუ რომელი თეზისია თეზისა შორის მეფე“.

ხშირად კი თეზისის შეცვლა კამათში უფრო შეუმჩნეველად ხდება. ასევე ზოგჯერ შეუმჩნეველად ხდება გატარება დაუსაბუთებელი წანამძღვრისა, ან დასაბუთების სუსტი ადგილებისა. ეს სხვადასხვა ხერხით კეთდება. მაგალითად, გამოთქვამენ რაიმე საეჭვო აზრს და თან დაურთავენ: ყველამ კარგად იცის.

ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს მოკამათეზე: უფიცობის დაწამების რიღით ის უარს ამბობს შედაგებაზე, რაც მოპირდაპირეს უადვილებს თავისი თეზისის გატარებას.

ზოგჯერ სასურველი აზრის გასატარებლად მიმართავენ მლიქვნელობასაც და ამბობენ: თქვენისთანა მცოდნე და განათლებული კაცისათვის სავსებით ნათელია ასეთი და ასეთი აზრი. ამ გზით პირი ადვილად შეიძლება გაებას სოფისტის მიერ დაგებულ მახეში.

სოფისტური საშუალებების გამოყენებას ზოგჯერ ხელს უწყობს მეტყველების სხვადასხვა შემოკლებული ფორმების ბოროტად სარგებლობა. მეტყველებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს, რომელშიაც ესა თუ ის ტერმინი მონაწილეობს. კონტექსტის გათვალისწინება საჭიროა არა მარტო მეტყველების ეკონომიისათვის, არამედ პრინციპული ხასიათის, ზოგად-ლოგიკური მოსაზრებების ძალით. შემოკლებული გამონათქვამების ხმარება მაშინ აღწევს თავის მიზანს, თუ ისინი გავიგეთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ როგორც სხვა აზრის შემოკლება. გამორიცხული არ არის სიტუაცია, როცა გამოთქმათა ჩვეულებრივმა შემოკლებულმა ფორმამ შეუმჩნეველი გახადოს დადებული პირობის რეალურად განხორციელების შეუძლებლობა. როგორც ცნობი-



ლია, შექსპირის „ვენეციელ ვაჭარში“ მდიდარმა ებრაელმა შეილოკმა დადებულ-ლი გარიგებით შეიძინა უფლება: ამოჭრას სხეულიდან ერთი გირვანქა ხორცი ქრისტიან ვაჭარს ანტონიოსს. ადვოკატად გადაცმული ერთ-ერთი მოქმედი პირი ადასტურებს ამ უფლებას, მაგრამ თან დასძენს, რომ შეილოკი სათანადოდ დაისჯება თუ ქრისტიანს ხორცს ისე ამოჭრის, რომ თუნდაც ერთი წვეთი სისხლი დაიღვრება. რა თქმა უნდა, ხორცის ამოჭრა სისხლის დაღვრასაც ნიშნავს და თუ ამაზე პირდაპირ არ იყო ნათქვამი პირობაში, ეს ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, შეილოკის მიერ შეძენილი უფლება სინამდვილეში არარა უფლებაა.

კამათის დროს არ შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ავტორიტეტებზე დაყრდნობა. საბუთის ძალა მის შინაარსზეა დამოკიდებული და არა იმაზე, თუ ეს საბუთი ვინ წამოაყენა. სხვანაირად სქოლასტიკური ლოგიკის ბოზიციებზე აღმოგჩნდებოდით. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ვახდენდეთ სხვადასხვა მკვლევარებზე მითითებას. არ შეიძლება ყველაფრის ყოველთვის თავიდან დაწყება. ამასთან ციტატების მოყვანა არ შეიძლება თვითმიზანი იყოს, არამედ უნდა გამოხატავდეს სხვადასხვა მეცნიერთა მიღწევების გამოყენებას სათანადო აზრების ფორმულირების, ან მათი დასაბუთების მხრივ. უკიდურესობას წარმოადგენს როგორც გატაცება ციტატების მოყვანით, ისე თავიდანვე მიღებული გადაწყვეტილება უარი თქვან ციტატების მოყვანაზე. უკანასკნელ შემთხვევაში კვლავ გამოდის, რომ თვით ფაქტს ციტატების მოყვანისა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერენ, რაკი რაღაც პრინციპული გადაწყვეტილების ფორმით ციტატების მოყვანაზე უარს აცხადებენ.

ზოგჯერ სოფისტურად განწყობილი მოკამათე საბუთის მოყვანის ნაცვლად კმაყოფილდება გამოთქმით: „ყველამ კარგად იცის, რომ ეს ასეა“, „ეს დიდი ხანია, რაც დამტკიცებულია“ და სხვ. ასეთ შემთხვევებში მას უნდა მოვთხოვოთ გვიჩვენოს თუ როგორაა ეს „დიდი ხანი დამტკიცებული“ და სხვ.

სოფისტი კამათის დროს ცდილობს არა ჭეშმარიტების გარკვევას, არამედ იმას, რომ სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, რაც შეიძლება მეტი მომხრეები შეიძინოს კამათის მსვლელობაში და შემდეგ მითითება მომხრეების რაოდენობაზე გამოიყენოს როგორც ახალი საბუთი თავისი აზრის სასარგებლოდ. პროფ. ლ. გოკიელის წიგნში დამაჯერებლადაა ნაჩვენები კამათის დროს უხეში ხერხების, დამახინჯებების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი მეთოდები.

პროფ. ლ. გოკიელის წიგნი გვეხმარება იმაში, რომ კამათის პროცესმა თავისი დანიშნულება შეასრულოს, გარკვეული შემეცნებითი ღირებულების მქონე იყოს და უშედეგოდ არ დარჩეს, რათა კამათს სათანადო ფორმა არ ჰქონდეს, ერთგვარი ორგანიზაციულობით ტარდებოდეს.

პროფ. ლ. გოკიელის „კამათი და მასში მონაწილეობა“ უაღრესად საჭირო და სასარგებლო წიგნია. აუცილებელია ამ წიგნის ხელახალ, გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემაზე იზრუნოს „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობამ, ამასთან ერთად ეს საინტერესო ნაშრომი დიდი ტირაჟით უნდა გამოიცეს.

ს. ლმხელი

ინფორმაცია



სახალხო რაზმეულები ახალი პირობების წინაშე

ქ. თბილისში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად იქცა. სხვადასხვა პროფესიის ათასობით ადამიანი ზრუნავს ქალაქში კანონიერების დარღვევის აღკვეთისათვის, იმისათვის, რომ ყველგან — სამუშაოზე, ქუჩებში, მოედნებსა და დასვენების ადგილებში სრული წესრიგი სუფევდეს. ყველა, ვისაც უყვარს ჩვენი ქალაქი, ღრმად განიცდის, როცა იღახება მისი კარგი სახელი, თბილისელთა ღირსება. სამწუხაროდ, თბილისში ჯერ კიდევ ვხვდებით მუქთახორებს, ბილწნიტყვაობას, ამორალურ გამოვლინებებს. ამ მოვლენათა წინააღმდეგ არის მიმართული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მთელი საქმიანობა. რაზმეულები ფართოდ იყენებენ უკვე შეძენილ გამოცდილებას, სრულყოფენ და დაუღალავად ეძებენ ახალ ფორმებს ადამიანთა ყოფაქცევაზე აქტიური ზემოქმედების მოსახდენად.

სახალხო რაზმეულების საქმიანობასა და ამოცანებს მიეძღვნა ქალაქ თბილისის სახალხო რაზმელთა მეორე შეკრება, რომელიც 20 მაისს გაიმართა ძერუფისკის სახელობის კლუბში.

შეკრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიქიმ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბის უფროსი ო. ლოლაშვილი.

უკანასკნელ პერიოდში, — ამბობს მომხსენებელი, — ქალაქში მკვეთრად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავდადებით შრომობს კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, პატივს სცემს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.


საბჭოთა ადამიანების კანონიერ გულსწყნარ-

მასა და აღზოფოტებას იწვევს ის, რომ ცალკეული პირები ჯერ კიდევ სჩადიან ანტისაზოგადოებრივ ქმედობას, ხულიგნობენ, ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლესა და ღირსებას. საზოგადოება, ხალხი შეურიგებელია უსაქმურების, ხორცმეტების მიმართ, ვინც სხვის ხარჯზე, უშრომლად ცხოვრებს.

ქალაქში 318 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულია, რომელშიც 18 ათასზე მეტი რაზმელია გაერთიანებული, მათ შორის ბევრია პარტიის წევრი და კომკავშირელი. სწორედ მათი მონაწილეობით აღიკვეთა მრავალი საშიში დანაშაული, გამოვლინდა წესრიგის დამრღვევი ტრანსპორტზე და ქუჩაში, აილაგმა ხულიგანი, უსაქმური და ქორვაჭარი.

საუკეთესოთა შორის ამხ. ო. ლოლაშვილი ასახელებს ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის (მეთაური ქარხნის უფროსი გ. მაცაბერიძე), № 1 მექანიკური ქარხნის (მეთაური ქარხნის დირექტორი გ. ჯაფარიძე), № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის (მეთაური ნ. ცერცვაძე), მუდკამვლის კომბინატის (მეთაური პარტკომის მდივანი ვ. გეგიძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მეთაური პარტკომის მდივანი ა. კარანაძე), ქარხანა „ელექტროავტომატის“ (მეთაური პარტკომის მდივანი გ. ვაჟაძე), მთავარი ფოსტამტის (მეთაური ფოსტამტის უფროსი ა. გაბიტაშვილი) და სხვა დაწესებულებათა სახალხო რაზმეულებს.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ წესრიგის ნამდვილ გუზაგებად ითვლებიან ის სახალხო რაზმეულები, რომელთაც საქმიანად უძღვებიან წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სადაც კარგად არის დაყენებული პარტიული მუშაობა. ამ მხრივ მისაბძია ლენინის რაიონის რაზმეულების ნაყოფიერი მუშაობა. არ არის ისეთი დღე, რომ რაზმეულები არ მორიგეობდნენ ქუჩებში, მოედნებზე, მაგისტრალებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ოპერატიულ პუნქტებში. რაზმეულებმა გამოავლინეს და



შეიპყრეს არა ერთი საშიში დამნაშავე, დროზე, ადვოკატს წესრიგის დარღვევა.

ამას წინათ შამპანური ღვინის ქარხნის სახალხო რაზმელებმა გ. ნანთიშვილმა და რ. ეჭუბოგმა დააკავეს ქურდები, რომლებმაც გატეხეს სააქრო და უთებით მიჰქონდათ პროდუქცია. თავის დროზე ქება დაიმსახურეს № 4 სავაგონო დეპოს (რაზმეულის მეთაური დ. ჯვარშიევილი) რაზმელებმა. მათ ქუჩაში გაბედულად დააკავეს მთვრალი ხულიგნები, რომლებმაც მოქალაქე დანით დაჭრეს.

აღსანიშნავია 26 კომისიის რაიონის შტაბის მიერ ოპერატიულად შედგენილი მორიგეობის ადგილები. ახლა რაიონში უზრუნველყოფილია სახალხო რაზმელთა მუდმივი პატრულირება, რომელთაც ევალებათ მეთვალყურეობა ახალგაზრდების ქცევაზე კინოთეატრებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პირველი მაისის რაიონის სახალხო რაზმელთა შტაბი. მათი საზრიანი მოქმედებით თავიდან იქნა აცილებული ბევრი საშიში დანაშაული.

ბევრი სახალხო რაზმელი თავისი საქმის ნამდვილი ერთუზიასტი გახდა. ისინი არ იშურებენ ძალას და ენერგიას საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, უწყყმანოდ იღებენ დავალებებს. მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან: კომუნისტური შრომის დამკვირვლი, ჭარბი ვ. ასათიანი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი ა. ლანგურაშვილი, ბამბის ფაბრიკის მუშა ი. მეტრეველი, გზატკეცილების სამმართველოს მუშაი ბ. ჯმუხაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ქანთარია და მრავალი სხვა.

ამს. ო. ლოლაშვილი ლაპარაკობს მოსკოვის სახალხო რაზმელთა საქმიანობის გამოცდილებაზე. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ყოველი სახლი სახალხო რაზმელების კონტროლქვეშაა. მიკრორაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხს აგებენ ცალკეული საწარმოები და დაწესებულებები, დიდი ყურადღება ექცევა წესრიგს საწარმოში, ორგანიზაციაში, საცხოვრებელ ადგილას. მკაცრი ბრძოლა აქვს გამოცხადებული ლოთობას, ბავშვთა უმეტესად უურეობას, სატრანსპორტო შემთხვევებს. მოსკოველი ამხანაგების გამოცდილება ფართოდ უნდა გავავრცელოთ.

მომხსენებელი ეხება ნაკლოვანებებს ერთ სახალხო რაზმელთა საქმიანობაში. ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, — აღნიშნავს იგი — ის არის, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის კამპანიურობისა და ფორმალიზმის ელემენტები. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, სახერხი ჩარხების ქარხნის, რენტგენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, № 1 სამკერვალო ატელიესა და სხვა დაწესებულებათა სახალხო რაზმეულები არაორგანიზებულად მორიგეობენ. არის შემთხვევები, როცა რაზმელები საერთოდ არ ცხადდებიან სავაგონოზე, შლიან მორიგეობას.


სისხლის გადასხმისა და კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახალხო რაზმელების არაოპერატიულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აპრილში მათ ვერ შესძლეს კინოთეატრ „ნაკადულთან“ დაეკავებინათ ხულიგანი, რომელმაც მოქალაქე დასჭრა, რაიონული შტაბის დღიურში კი გაჩნდა ჩანაწერი: „კინოთეატრ „ნაკადულთან“ მოხდა წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა მოქალაქისათვის ჭრილობის მიყენებით. დამჭრელი გაგვიტყა, ხოლო დაზარალებული დაკავებულ იქნა, მაგრამ უარს ამბობს დამნაშავეს მხილებაზე“.

არის არა ერთი შემთხვევა, როცა ზოგი ვარეწარი ხულიგნობს სახალხო რაზმელთა თვალწინ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ხმას არავინ იმაღლებს.

სახალხო რაზმელი, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს სანიმუშო როგორც დისციპლინის, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობის მხრივ. მაგრამ ზოგი ვერ იჭერს თავს საზოგადოებაში, თვით არღვევს წესრიგს, ლოთობს და აყალმაყალს ტყბს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიმდინარე სასწავლო წელს შექმნა სამართლის საქალაქო უნივერსიტეტი. მის ჩაიონულ სექციებში სწავლობენ სახალხო რაზმელებიც, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების წევრები.

— საბჭოთა ხალხის წინაშე, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, მათ შორის მნიშვნელოვანია სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს პერიოდში მკვეთრად შემცირდეს, ხოლო მომავალში



მთლიანად აღიკვეთოს დანაშაულობანი. თბილისის სახალხო რაზმელები ამ საპატიო დავალებას პირნათლად შეასრულებენ.

შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სახალხო რაზმელთა კარგი და ოპერატიული საქმიანობით შესამჩნევად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი წესრიგი ჩვენს ქალაქში, თავიდან აცილებულია ბევრი საშიში დანაშაული. უფრო ეფექტური იქნება რაზმელთა საქმიანობა, თუ მათ უფრო აქტიურად მხარს დაუჭერენ მშრომელები.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო რაზმელი გ. გოცირიძე ამბობს: ჩვენს რაზმში 15 კაცია გაერთიანებული, მორიგეობა გვისდება თვეში ერთხელ, საღამოს 6-დან 10 საათამდე. სამორიგეო პუნქტია გადასასვლელი ხიდის მიდამო, რომლის ახლოს გვაქვს პუნქტი. საზოგადოებრივი წესრიგის ყოველ ცალკეულ დარღვევას აღვრიცხავთ დღიურში, დამნაშავე პირთა შესახებ ვაცნობებთ მილიციის განყოფილებებს და იმ ორგანიზაციას, სადაც დამრღვევი მუშაობს. მილიციასთან მჭიდრო ურთიერთკავშირი გვებმარება წესრიგის დარღვევათა დროულ აღკვეთაში. ამ გზით ავლაგებთ არს ერთი ხელივანი, ღოსთი, ქორვაჭარი.

ამს. გოცირიძე შეკრების განახილველად აყენებს ზოგიერთ საკითხს, კერძოდ: რაიონულმა შტაბებმა სისტემატური კონტროლი უნდა დააწესონ საწარმო-დაწესებულებებში რაზმელთა მიერ გაგზავნილი სიგნალების შესრულების მდგომარეობაზე, მიზანშეწონილი იქნება მოეწყოს მოწინავე რაზმელთა საპატიო დავები იშაით სურათებით, ვინც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში; კარგი შედეგი ექნება მილიციის მუშაკთა და რაზმელთა პერიოდულ შეხვედრებს, რომელზედაც მოხდება გამოცდილების გაზიარება.

საინტერესო იყო მე-6 სამკერვალო ფაბრიკის რაზმელთა საბჭოს თავმჯდომარის უცაავას გამოსვლა. მან ილაპარაკა ფაბრიკის 160 რაზმელის პატიოხან, ნყოფიერ საქმიანობაზე.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სახალხო რაზმელთა საქმიანობაზე შეკრებილთ ესაუბრა

რაზმელი ა. კოზლოვი. მან მოიყვანა მაგალითები საუკეთესო რაზმელთა საქმიანობაზე.

თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი ა. ოსეფაიშვილი მიესალმა შეკრების მონაწილეებს და ილაპარაკა მილიციის ორგანოების კავშირზე სახალხო რაზმელებთან. მილიციის ორგანოების მუშაობაში, ამბობს ამს. ა. ოსეფაიშვილი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი უნდა იყოს დანაშაულთა თავიდან აცილება და აღკვეთა. ისინი მოვალენი არიან ამ საქმეში უფრო მეტად დაეყრდნონ სახალხო რაზმელებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დახმარებას.

შეკრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორგანიზაციის რაიკომის მდივანმა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბის უფროსმა ვ. მოსულიშვილმა, 26 კომისრის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელთა შტაბის უფროსის მოადგილემ ა. ჩემბერჯიანმა, საქართველოს ალკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. მახარაძემ.

შეკრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიძემ.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა, რომელშიც მოუწოდებენ თბილისის ყველა რაზმელს კიდევ უფრო ენერგიულად აწარმოონ ბრძოლა დამნაშავეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ, მიიღწიონ იმას, რომ თბილისში დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ვ. ჩალაძემ წაიკითხა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სიგელით იმ რაზმელების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც აქტიური მუშაობით თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. დაჯილდოებული 16 ორგანიზაციის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელი და 92 რაზმელი. 59 რაზმელი დაჯილდოებულია ფასიანი საჩუქრებით.



პროფ. გ. ნანეიშვილისადმი მიძღვნილი საჯარო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი იურისტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პროფ. გიორგი ალექსანდრეს-ძე ნანეიშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფ. ე. ხარაძემ.

გიორგი ალექსანდრეს ძე ნანეიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ივ. სურგულაძე.

ნიჭიერი მკვლევარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, გულისსმირი ადამიანი—ასე იცნობდნენ იურისტთა საზოგადოება, ფართო მასები, სტუდენტები პროფ. გ. ნანეიშვილს, აღნიშნავს მომხსენებელი.

გ. ნანეიშვილმა იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა პროფ. ტუგან-ბარანოვსკისა და პროფ. პეტრაჟიციის სამეცნიერო წრეებში.

1917 წელს გ. ნანეიშვილი, როგორც მეცნიერული მუშაობისათვის მოწოდებული ნიჭიერი ახალგაზრდა, პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვეს ლენინგრადის უნივერსიტეტში.

თბილისში უნივერსიტეტის გახსნისთანავე ის ბრუნდება სამშობლოში და იწყებს მუშაობას უნივერსიტეტის ასპირანტად. 1919 წელს გ. ნანეიშვილი მივლინებული იქნა დასავლეთ ევროპაში სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საზღვარგარეთ ისმენდა ფილოსოფიის კურსს პროფესორ ე. ჰუსერლის კათედრაზე, ბერლინის უნივერსიტეტში ცნობილი იურისტების რ. შტამლერის და სხვათა ხელმძღვანელობით ეუფლებოდა სამართლის სხვადასხვა დარგებსა და ფილოსოფიას. გ. ნანეიშვილი პარიზში აგრძელებდა თავის მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას.

1926 წელს საქართველოში დაბრუნებისთანავე გ. ნანეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვია სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე ბურჟუაზიულ სახელმწიფო წყობილების კურსის წასაკითხად. შემდეგ კი დაეავალა სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის წაკითხვაც.

1929 წელს გ. ნანეიშვილმა გამოაქვეყნა სადოქტორო შრომა — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატული ფაქტების დასაბუთებისა“, რომელიც დამოკიდებულია 1930 წლის 11 აპრილს თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე. ეს მეთრე შემთხვევა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე დისერტაციის დაცვისა. ამას მოჰყვა მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო შრომები „იურიდიული სუბიექტი“, „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“, „სამართლის ნამდვილობა, ნორმატული ფაქტები“ და მრავალი სხვ.

პროფ. გ. ნანეიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კადრების აღზრდის საქმეში. პირველყოფლისა თავისი შრომებით და ლექციებით ის აღრმავებდა ახალგაზრდა იურისტების თეორიულ ცოდნას. ამასთანავე პროფ. გ. ნანეიშვილი ეწეოდა პრაქტიკულ მოღვაწეობას, როგორც სახკომსაბჭოს იურისკონსულტი, და მისი ლექციები და სემინარები მუშაობა ყოველთვის მდიდრად იყო ილუსტრირებული პრაქტიკიდან აღებული მაგალითებით.


უნივერსიტეტში გ. ნანეიშვილთან ერთად გატარებულ დღეებზე მსმენელებს ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გ. ახვლედიანი. მან ილაპარაკა გ. ნანეიშვილზე, როგორც გამოჩენილ მეცნიერზე, რომელმაც დიდი ენერგია და სიყვარული მოახმარა ახალგაზრდა იურისტ მეცნიერთა კადრების აღზრდის საქმეს.

გ. ნანეიშვილი პატიოსნებისა და სათნოების განსახიერება იყო. მისი გული ღია იყო მეგობრებისათვის სიხარულსა და მწუხარებაში. გ. ნანეიშვილს ჰქონდა შთაგონების დიდი უნარი, ის ხიბლავდა ადამიანს თავისი ნიჭით და ორიგინალური აზროვნებით. მისი ნათელი სახე, მეგობრობა და კეთილშობილება პირდაპირ მომაჯადოებელი იყო. ის გვიყვარდა ყველას — უფროსებს და უმცროსებს, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

გ. ნანეიშვილი ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო. ნამდვილი მეცნიერი, — აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ლ. გოკიელმა, — ის ფილოსოფიური თვალსაზრისით უდაგებოდა იურიდიული მეცნიერების საკითხების გაშუქებას. გ. ნანეიშვილს შეეძლო მნიშვნელოვანი იდეის გადმოცემა ფრიად დამახასიათებელი ილუსტრაციებით.

ერთხელ, გაიხსენა ლ. გოკიელმა, გ. ნანეიშვილი და მე სპორტულ სანასაობას ვესწრებოდით. გ. ნანეიშვილმა მიმითითა ერთ-ერთ სპორტსმენზე და დასძინა: როდესაც იგი მოხუცდება, შეილიშვილებს გაუჯაგრდება ნუ სტუნაობთ, ნუ მაწუხებთო, ხოლო როდესაც შეილიშვილები შეეკითხებიან თუ რისთვის აქვს მკერდე მედლები, იგი გაიცინებს და აღნიშნავს, რომ იგი სტუნისათვის მიიღო.

სიყვარულით იგონებს მწერალი სერგო კლდიაშვილი გ. ნანეიშვილს, პიროვნებას, რომლის იუ-



რიდიული და ფილოსოფიური აზროვნება ემყარებოდა მაღალ ინტელექტუალურ საფუძვლებს. მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონი იყო შედეგი, უდავოდ ნიჭიერი კაცის მიერ, ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების სრულყოფილად დაუფლებისა და მათი თეორიული და პრაქტიკული გამოყენებისა.

მას კარგად ესმოდა ესთეტიკის საკითხები, იცნობდა მსოფლიო და ეროვნული ლიტერატურის ღირსშესანიშნავ ნიმუშებს, თეატრს, მხატვრობას, მუსიკას და თავის ლექციებში ფართოდ იყენებდა ამ ცოდნას, მსმენელებში აღვივებდა ესთეტიურ გემოვნებას. მისი ბინა წლების განმავლობაში გადაქცეული იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერად, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მომღერლები, მხატვრები, კულტურის დარგის სხვა მუშაკები. ზოგჯერ ნანეიშვილის და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სჯა-ბაასში მოისმენდით დრმა შინაარსიან საუბრებს: მოსკოვის კაზმულ ნაკეთობათა მუზეუმის, პეტროგრადის ერმიტაჟის, დრეზდენის, ლუვრის და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლებზე, მუსიკაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე და ფილოსოფიაზე.

ზოგჯერ სწორი სტუმრები იყვნენ ცნობილი მხატვრები: ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი, რომლებთანაც მას კარგა ხანი პარიზში მოუხდა ცხოვრება, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ახმეტელი, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები.

— ძვირფასი ადამიანების მოგონებისას, — ამბობს გ. ნანეიშვილის ყოფილი სტუდენტი, ადვოკატი გ. უგრეხელიძე, — ჩვენს გონებრივი მხედველობის არეში ისინი წარმოისახებიან არა როგორც უტყუი, უძრავი პორტრეტები, არამედ — მოქმედებაში, მოვლენებთან ურთიერთობაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

ამის მიხედვით გ. ნანეიშვილი დღესაც ჩვენს წინ დგას, როგორც გონებრივი სამყაროს დაუღალავი მამგრადი, როგორც მეცნიერი — პედაგოგი, მგზნებარე პოლემისტი და პირადი ურთიერთობის უანგარო მხარისდამჭერი.

გ. უგრეხელიძემ გაიხსენა უნივერსიტეტის ის აუდიტორია, სადაც პირველად შეხვდა გ. ნანეიშვილს. დგას აუდიტორიის წინაშე შესანიშნავი გარეგნობის ადამიანი და თავისი დახვეწილი მეტყველებითა და აზრთა სილადით, ესთეტიური შთაგონებითაც კი ბატონობს მსმენელის ფსიქიკაზე — კი არ ყვება ან ხსნის, თითქოს ქადაგებს მოწამებრივი ექსტაზით სამართლის ურთულეს პრობლემებზე.

გ. ნანეიშვილის რკინისებური ლოგიკა, აზრის მსუბუქი კონსტრუქცია, თხრობის რიტმი და ტემპი შე-

სანიშნავ ფორმაში ჩამოსხმული, უძლიერეს თავდასხმას ახდენდა მსმენელზე ყოველი მისადგომიდან და თითქოს ფსიქიური ძალადობის ნიშნით შეუმჩნევლად აღწევდა მისადმი მორჩილებას.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, რომელმაც გ. ნანეიშვილი დაასახიათა როგორც უადრესად გულისხმიერი ადამიანი. ს. ყაუხჩიშვილმა შეკრებილთ მოუთხრო გ. ნანეიშვილთან ერთად გერმანიაში გატარებულ დღეებზე.

გ. ნანეიშვილი იყო ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე, ამბობს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი. გარდა გამოქვეყნებული შრომებისა, ნანეიშვილს დასაბეჭდად გამოზადებული ჰქონდა მრავალი წერილი ქართული ენციკლოპედიისათვის. სამწუხაროდ, ენციკლოპედია და ეს წერილები დაიკარგა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. ა. შანიძე გ. ნანეიშვილს იგონებს, როგორც სპეტაკ და გულწრფელ, პრინციპულ ადამიანს, თავდადებულ პედაგოგს.

მე და გ. ნანეიშვილი სწორად ვგვძებოდით ერთმანეთს ქართული ენციკლოპედიის გამოცემასთან დაკავშირებით, — აღნიშნავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. ჩიტაია. გ. ნანეიშვილს დავალებული ჰქონდა ენციკლოპედიის სამართლის განყოფილების რედაქტორობა. იგი არ იშურებდა თავის ცოდნასა და ენერგიას ამ საქმის განსახორციელებლად.

გულთბილი მოგონებით გ. ნანეიშვილის შესახებ გამოვიდა მისი ყოფილი სტუდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. თ. წერეთელი.

გ. ნანეიშვილი მეტად პოპულარული და საყვარელი ლექტორი იყო. იგი განაგებდა სამოქალაქო სამართლის კათედრას და კითხულობდა ლექციებს სამოქალაქო სამართალში. გ. ნანეიშვილს ემარჯვებოდა მეცნიერული პრობლემის სიღმეში ჩაწვდომა და თანაც ისე ცოცხლად და ისე უშუალობით გადაუშლიდა მსმენელებს საკითხის გამოკვლევის პროცესს, თითქოს ლექტორის აზრი იქვე ლექციის კითხვას იბეჭდებოდა. იგი ძალიან უყვარდათ სტუდენტებს.

გ. ნანეიშვილი გარდაიცვალა შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში. მისი იდეები გამოქვეყნებული და შეუსწავლელი დარჩა.

გ. ნანეიშვილის მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დეტალურ შესწავლას მოითხოვს. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდა იურისტებს, ფილოსოფოსებს და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებს.

გაეროკიბლის შრომის მაღალი შეუსახე

ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის გარეშე, დიდი სიყვარულით ემსახურებიან თავის საქმეს, წლების განმავლობაში ქმნიან საინტერესო, შინაარსით აღსავსე ცხოვრებას.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი დავით არტემის-ძე ქორიძე, სკკპ წევრი, დიდი სამამულო ომის მონაწილე.

თავიდანვე რთული და ძნელი გზა აირჩია, გამომძიებლის მოსუვენარმა პროფესიამ გაიტაცა.

24 წლის წინათ ახალგაზრდა გამომძიებელმა მთელი სიყვარულითა და სათნოებით, ენერგიულად მოკიდა ხელი საქმეს. ძირითადად იგი მუშაობს მკვლევლობის, ბანდიტიზმისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გამოძიების საქმეებზე. იგი ერთადერთი გამომძიებელია რესპუბლიკაში, რომელიც ძირითადად გაუსწნელ საქმეებზე მუშაობს. დ. ქორიძის მიერ გამოძიებული ბევრი საქმე სამაგალითოა და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღებას იმსახურებს.

უპრეტენზიო შრომით დავით ქორიძემ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომაც დაუფასეს კოლეგებმა ამაგი.

23 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში თავი მოიყარეს რესპუბლიკის და თბილისის პროკურატურის მუშაკებმა, უმაღლესი სასამართლოს, რაიონული სასამართლოების მუშაკებმა, ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა, თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის თანამშრომლებმა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რათა აღენიშნათ დავით ქორიძის დაბადების 50 და პროკურატურის ორგანოებში მუშაობის 24 წლისთავი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა, იუსტიციის მეორე კლასის სახელ-

მწიფო მრჩეველმა პ. ბერძენიშვილმა. იგი დამსწრეთა უმეტესობა იუბილარის ცხოვრებაზე.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლექტივის მისაღობის ტექსტი წაიკითხა საქართველოს სსრ პროკურორის უფროსმა მოადგილემ კადრების დარგში, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა პ. შუშინამ.

იუბილარს გულთბილი სიტყვით მიმართეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ბ. ფურცხვანიძემ, საქართველოს სსრ საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტიზურის მდივანმა, დოც. ა. ფალიაშვილმა.

იუბილარს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგემ პროფ. ვ. შანიძემ, თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის თანამშრომლების სახელით, უფროსმა ექსპერტმა თ. მეგლაძემ, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა სახელით ადვოკატმა ბ. ბარათაშვილმა, ქ. თბილისის პროკურატურის სახელით პროკურორმა ა. ლუკავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივის სახელით—უმაღლესი სასამართლოს წევრმა ს. ჭელიძემ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელით სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილემ ფ. მამუჩაშვილმა.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მიერ ამხ. დ. ქორიძეს გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოებულ იქნა ფასიანი საჩუქრით.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა იუბილარმა, რომელმაც დამსწრეთ მადლობა გადაუხადა მისი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

დ. ნანობაშვილი

ლაქსიანი იურიდიულ თემაზე

მიმდინარე წლის იანვარში შეიქმნა საზოგადოება „ცოდნას“ ქუთაისის ორგანიზაციასთან მოქმედი სახელმწიფოსა და სამართლის სექცია. სექცია აერთიანებს 18 წევრს. თავმჯდომარედ არჩეულია ქ. ქუთაისის პროკურორის თანაშემწე ბ. ჩეჩელაშვილი. სექციის

წევრების მიერ ქუთაისის სხვადასხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში საბჭოთა სამართლის აქტუალურ საკითხებზე წაკითხულია 111 ლექცია, ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამოები.

აზერბაიჯანელი სტუმრები თბილისში

1964 წლის მაისში თბილისის სამეცნიერო-კვლევით კრიმინალისტურ ლაბორატორიის გამოცდილების გაზიარების მიზნით სტუმრად ეწვია აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი — 24 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ფ. დაუდოვი, დირექტორის მოადგილე ს. მუსაევი, ავტო-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების გამგე







დ. ალიაროვი, ექსპერტები, მეცნიერ მუშაკები და სხვ.

აზერბაიჯანელი სტუმრები გაეცნენ თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაობას, საარქივო მასალებს, პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობის გეგმებს. შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სასამართლო ექსპერტიზის აქტუალურ საკითხებზე.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს წარსულისადმი, იყვნენ მცხეთაში, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას და შრომით საქმიანობას.

მიმდინარე წლის 21 აპრილს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილებით მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა ცნობილ დანიელ მხატვარს, საზოგადო მოღვაწეს პერლუფ ბიდსტრუპს.

ვაქვეყნებთ ბიდსტრუპის ერთ-ერთ ნამუშევარს—ლობები ცხოვრების გზაზე.





ფასი 50 ჰბზ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР